1954 წლის 7 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაობის გასაუმჯობესებლად. სცენარების შესაქმნელად მოწვეულ იქნა მწერალთა და დრამატურგთა ფართო წრე, გაუმჯობესდა წარმოების ორგანიზაცია, სტუდიის ტექნიკური ბაზა შეივსო ახალი აპარატურით, მოწოდდა რეჟისორების, ოპერატორების, მხატვრების, მსახიობების ახალი კადრები.

კინოხელოვნებისა და მთელი საბჭოთა კულტურის შემოქმედებითი ზრდა გამოიწვია სკკპ XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და ცნობილმა პარტიულმა დოკუმენტმა „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“.

არ შეიძლება შევურთოთ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე, — უფერულ, ნაქაჩრაველ დაწერილ ნაწარმოებს, როგორც ამას სჩადს ზოგიერთი ამხანაგი ხელოვნების ორგანიზებმა, რედაქციებსა და გამოცემლებში. უფერულობასა და სიყალბეს ხშირად საკმაო წინააღმდეგობა არ ეწევა, რაც ზიანს აყენებს ხელოვნების განვითარებას და ხალხის მხატვრულად აღზრდას.

ჩვენ შევიძლია აღვინიშნოთ ერთგვარი ძვრები კინოს დარგში. ჩვენში დაიწყო ფილმების მეტი რაოდენობით გამოშვება, მაგრამ კინოს მუშაკები, რომლებიც გატაცებული არიან რაოდენობით, ხშირად ამცირებენ მომთხვენილობას სურათების იდეურ-მხატვრული ხარისხისადმი, ქმნიან სუსტ, ზერელე ნაწარმოებებს, რომლებიც მიძინებია წვრილმანი და უმნიშვნელო მოვლენებისადმი. ასეთ პრაქტიკას აუცილებლად უნდა მოეყოლოს ბოლო. გვახსოვდეს, რომ კინო მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი იარაღია“.

პარტიული კრიტიკა და აგრეთვე შემოქმედებითი პროცესისადმი ხელმძღვანელობის მეთაურობის გაუმჯობესებდა დაეხმარა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს თავიანთი ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული ღონის ამაღლებაში, საბჭოთა ხალხის დიდებული შემოქმედებითი შრომის უკეთ ასახვაში.

უკანასკნელ წლებში გამოშვებულ ქართულ ფილმებს შორის მაღალადიფერული და მხატვრული ღირსებით გამოირჩევიან „ჭრიჭინა“, „ისინი ჩამოვიდნენ მთებიდან“, „ჩვენი ეზო“, „მაგდანას ლურჯა“, „საბუდარული ჭაბუკი“, „ჩრდილი გზაზე“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ფატიმა“, „განძი“,

„სხვისი ვიდეოები“, „მე, ბები, ილიკო და ილიაონი“, „ერთი კის ქვეშ“, ფილმი — ბალეტი „ოტელო“ და მრავალი სხვა. საგრძნობლად გაიზარდა საბავშვო, დოკუმენტური და ნახტი ფილმების გამოშვება.

ქართული კინემატოგრაფიის წარმატებებთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მისი შესაძლებლობები ჯერონდ არ არის გამოყენებული. კინოხელოვნების ოსტატები ჯერ კიდევ ვალში არიან მაცურებელთა...

შემოქმედებითი ინტელიგენციის აქტივობა განსაკუთრებით გაძლიერდა სკკპ ისტორიული XX, XXI და XXII ყრილობების შემდეგ.

პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ მხატვრული საწყისი კიდევ უფრო შიამაგონებელი იქნება შრომისა, გამაშვენიერებს ყოფაცხოვრებასა და გააყვეთღობილებს ადამიანს.

კომუნისტური აშენების დიად პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში ხელოვნების ყველა დარგის ოსტატები უფრო აქტიურად მუშაობენ თანამედროვეობის თემებზე, უფრო ღრმად და დამაჯერებლად ასახვენ ცხოვრებას.

სოციალისტური კულტურის განვითარებაში დიდი მოვლენა იყო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1962 წლის დეკემბერში და მიმდინარე წლის მარტში.

„კომუნისტისათვის ბრძოლაში, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში 1963 წლის 8 მარტს, — უდაღესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის აღზრდას კომუნისტური იდეალების სულსისკეოებით. და ეს შეადგენს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანას ამჟამად. ჩვენ საბრძოლო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებაც, როგორც არის ლიტერატურა და ხელოვნება“.

ამ სიტყვებში დასახულია საბჭოთა ხელოვნების განვითარების ხაზი კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ბოქაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1963 წ.) პლენუმმა ახალი ძალით აღნიშნა მხატვრული შემოქმედების შინაარსისა და მიმართულების უდიდესი იდეოლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები ვალდებული არიან სასტიკად ებრძოლონ ფორმალზმის ყოველგვარ გამოვლინებას. საბჭოთა ხელოვნებაში არ შეიძლება ერთმანეთს შეეგუოს სოციალისტური რეალიზმიც და ფორმალისტური, აბსტრაქციონისტული მიმდინარეობები. კომუნისტური პარტია გადაჭრით გამოიღოს სოციალისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის თანაარსებობის წინააღმდეგ.

ქართული ხელოვნების მოღვაწენი მთელ თავის ძალეებს, ნიჭსა და უნარს ამხარუნ სამშობლოსადმი, ხალხისადმი, პარტიისადმი ერთგულ სამსახურს, კომუნისტური ნათელი იდეალების გამარჯვების კეთილშობილ საქმეს.




საბჭოთა კოეზიის გამოჩენილი ოსტატი

ჩვენს სასიქადულო პოეტს სიმონ ჩიქოვანს სამოცი წელი შეუსრულდა. ქართულ საბჭოთა პოეზიას მუდამ დაამშვენებს მისი ინტელექტით აღბეჭდილი შემოქმედება... მეტად პოეტური, ფაქიზი, გულიდან ნათქვამი მართალი სიტყვა... საბჭოთა პოეზიის მრავალ ხმათა შორის ყოველთვის იცნობთ სიმონ ჩიქოვანის ხმას.

ლიტერატურისა და ხელოვნების თითქმის არცერთი დარგი არ გვეგულება, რომ სიმონ ჩიქოვანს, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, მონაწილეობა არ მიეღოს, თავისი მფარველი კალთა არ გადაეფარებინოს მისთვის... ის არის ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელსაც ახარებს ჩვენი მწერლობის, თეატრის, მუსიკის, მხატვრობის ყველა გამარჯვება, მუდამ ჭაბუკური ენერგიით აღსავსეს სიბოძო და სიხარული მოაქვს თან...

ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია ათასობით ხმას უერთებს თავის ხმასაც და უსურვებს საყვარელ პოეტს დღეგრძელობას და მრავალ შემოქმედებით სიხარულს ქართველი ერის სასიქადულოდ.





ს. მაისაშვილი

ვიტკმურენი მთაში

დაიწყო წარსულის მონაპოვართა ერთგვარი გადასინჯვა და გადაფასება.

სახობო, პანეგირიკული ლიტერატურის, პარადულისა და ემპირიული ნატურალისტური ნაწარმოებების კრიტიკამ ზოგიერთ არა მყარ შემოქმედს საბაბი მისცა, ისე ვფიქრობ, რომ თითქოს მხოლოდ ახლა, 50-იანი წლებიდან უნდა დაიწყო ნამდვილი საბჭოთა, დიდი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება. თითქოს და მანამდე მხოლოდ ისეთი ნაწარმოებები იწერებოდა, სადაც არ იყო ღრმა კონფლიქტი, რთული ფსიქოლოგიური ხასიათები, მაღალი ინტელექტუალური აზროვნება.

ამ ტენდენციას ის მოჰყვა, რომ მათ დაივიწყეს საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიცია, დაივიწყეს ის ჭეშმარიტება, რომ არ შეიძლება პიროვნების კულტის კრიტიკას ამოფარება, არ შეიძლება საუკეთესო მონაპოვარის შეუფასებლობა. განა შოლოხოვის ბრწყინვალე ნაწარმოებები იმის მაგალითად არ კმაბა, რომ იგი რთულ კონფლიქტებზეა აშენებული? სად არის აქ ცხოვრების წინააღმდეგობათა ნიველირება, ან შელაპაჯება? განა იგივე არ თქმის ჩვენს საუკეთესო პიესებზე, სპექტაკლებზე? გაიხსენეთ „ოქტიმისტური ტრაგედია“ და „რღვევა“, „ლუბოვ იაროვია“ და „ტურბინების ოჯახი“. რაოდენ ღრმა სოციალურ და პოლიტიკურ კონფლიქტებზეა აგებული, რაოდენ დიდა მათი იდეური ძალა.

რთული და მიმზიდველი, სულიერად ძლიერი, დიდი ენებისა და ემოციის, დიდი იდეური და მხატვრული ძვრადობის ხასიათები არასოდეს არ შექმნილა ცხოვრების შელაპაჯებით, ისინი არასოდეს არ წარმოშობილან საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი კონფლიქტების გარეშე.

ამიტომაც არ „ბერდებიან“ ეს პიესები, მათი დღევანდელი განსაზღვრა და განამტკიცა ცხოვრებისეული სიმართლის ძლიერმა მხატვრულმა წარმოსახვამ.

მაგრამ ამის დამკვიდრება თეატრსა და დრამატურგიაში იოლად როდი მოუპოვებიათ ხსენებულ პიესათა ავტორებს. იყო მძაფრი კამათი, ბრძოლა, მოწონება და უარყოფა. როცა „ტურბინების ოჯახი“ დაიდგა — „იდეურმა კრიტიკამ“ მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, ისინი ასე მსჯელობდნენ: როგორ შეიძლება სიმპატიით დასატვა თეთრგვარდიელი ოფიცრებისა, როგორ შეიძლება ისინი დაჯილდოებულნი იყვნენ რაიმე პოეტური ღირსებებით? მათ მიაჩნდათ, რომ რაკი მტერია ის აუცილებლად ცუდი უნდა იყოს, უნდა იყოს მსუცერი, არა ადამიანური ინსტიქტების მქონე.

და ეს ყველაფერი უსათუოდ შეცდომა იყო. ჯანსაღმა, მოწინავე კრიტიკამ კარგად დაინახა „ტურბინების ოჯახის“ დიდი იდეური ძალა, დაინახა თუ როგორ მარცხდებოდნენ ახლის წინაშე განსაჯელული და სიმპატიური ადამიანები, რადგან მათ არ ჰქონდათ ნათელი იდეური საფუძველი, არ გააჩნდათ ხვალინდელი დღე.

რა იყო ამ პიესაში ახალი და ნოვატორული, რა თვისება შემოიჭრინდა საბჭოთა თეატრსა და დრამატურგიაში?

შენიშნულია და მეც უნდა გავიფიქრო, რომ ახლადადგებადგმულ საბჭოთა თეატრში, არა მარტო მის ლიტერატურულ საფუძველში, არამედ თვით აქტიურობულ შესრულების ხასიათ-

9025

ტრადიციისა და სიახლის გამო

ვასილ კიკნაძე



ხლა ბევრს წერენ ტრადიციისა და სიახლის, ნოვატორობის შესახებ. ოცი-ოცდაათიანი წლების შემდეგ ეს საკითხი ასე მწვავედ არსადეს არ წამოჭრილა, როგორც ამ უკანასკნელ წლებში. ამას აქვს თავისი მიზეზი. და ეს მიზეზი ერთი როდია. იგი მრავალია და ასე წარმოიდგინეთ გარკვეულ ობიექტურ საფუძველს დამყარებული.

ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო დიდი სულიერი მობრძობა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. პიროვნების კულტის ლიკვიდაციამ გზა მისცა ახალ მხატვრულ ტენდენციებს, დაიწყო განაზღვრა და გადახალისება შემოქმედებითმა ენერგიაში.

2. „საბჭოთა ხელოვნება“, № 8.





შიც იყო უარყოფითი გმირების ხაზგასმულად მახინჯ ფორმებში გაშლასთვის ტენდენცია. თითქოს და ამით მეტი იდეური ძალა ემატებოდა დადებითს, მეტი იყო უარყოფითის მხილების პათოსიც.

მაგრამ ეს ყველაფერი ახალ საბჭოთა თეატრში როდი შეინიშნებოდა და მხოლოდ მაშინ როდის წარმოიშვა. მას ღრმა და შორეული საფუძვლები აქვს. მე გგონია იგი სათავეს იღებს ხალხური პრიმიტიული თეატრალური სანახაობებიდან. კლასობრივი და სოციალური ბრძოლების ამსახველ სანახაობებში ყოველთვის გამოირჩეულია და ხაზგასმული იყო მოწინააღმდეგის მახინჯი თვისებები. ამ გზით ადვილი იყო მტრის მხოლბა და მათურებელში მისდამი სიძულვილის გამოწვევა.

ამ ტენდენციის გამო ილია წერდა: „ასე ყოვლად მშვეცობა მტრისა, ყოვლად სისრულე და სასება ქართველებისა, ბავშვური წადილია, კაცმა თავი მოაწონოს მათურებელსა. ბუნება ადამიანისა — ქართველია თუ გარმიანელი ავ-კარგია-ნოთი ისინი სასტე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწვეული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დღე მანძილს ვერ გაირბენს მწურლობაში“¹. და შემდეგ „ჩვენ კარგნი ვართ, ისინი კი მხეცები და აფთრები არიანო, ეს გრძნობის ჭეშმარიტს გზაზე დაყენება კი არ არის, გრძნობის წაწყვეტა, გაყალბებაა, დაბრმავება“².

ასე წერდა ილია ამ სამოცდა ათი წლის წინათ ქართულ თეატრში შენიშნული მცდარი ტენდენციისა გამო.

ახლოგიური მავალითი შეიძლება მივიტანოთ რუსული და სხვა ქვეყნების თეატრალური პრაქტიკიდანაც.

მაგრამ სიმრავლე მავალთებისა ველარაფერს შემატებს იმ უცილობელ არსს, რომ ზემოხსენებული ტენდენცია მძლავრი იყო ძველ თეატრში, და იგი გადმოვიდა ახალშიაც. ამ ტენდენციისა რა თქმა უნდა არის ჯანსაღი და მართებული ნაკადიც, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მის ძირითადას და ნაკლოვან მხარეებზე ვლაპარაკობთ.

„ტურბინების ოჯახის“ ავტორმა იგრძნო ამ ტრადიციის სიძველე და მანკიერება. მან სცადა აღმოებრდა დაენახა საბჭოთა ქვეყნის მოწინააღმდეგე ადამიანთა სულიერი სამყარო, ეჩვენებოდა თუ რა ტკივილით, რა სევდითა და ნადვლით მიიღიან ცხოვრების ასპარეზიდან თეთრფარდული არისტოკრატები. მიდიან, რადგან ნიადაგი გამოივლიათ.

ეს იყო მწერლის გაბედული და ნოვატორული გამოსვლა. მას ჰქონდა მტკიცე იდეური საფუძველი და ამიტომ გაიმარჯვა კიდევ.

„ტურბინების ოჯახის“ ეს თვისება არის თუ არა სადღეისოთაც ნოვატორული? არის თუ არა იგი საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ტრადიცია, რომელიც დღესაც ინარჩუნებს თავის ძალასა და მიზმიდელობას? რა თქმა უნდა არის.

მე აქ მაკონდება ერთი ფაქტი, რომელიც ამ სამიოდე წლის წინათ შემემთხვა ერთ-ერთი გახუთის რედაქციამი. ჩემს წერილში ს. ზაქარაიძის თინიბევი მოხსენიებული იყო, როგორც მხანობის დიდი წარმატება, როგორც ძლიერი მხატვ-

რული სახე. იგი ამოიღეს, ამოშალეს იმიტომ რომ თინიბევი უარყოფითი როლია და მიღწევა რეორდა არისო?

ამ პრიმიტიულ ლოგიკაში გარკვევით აირგვლა უარყოფითი ტიპის მხოლბის ის პრიმიტიული ტენდენცია, რომელსაც ასე იმხდარა და ასე ბევრი შტამბები წარმოქმნა თეატრსა და დრამატურგიაში..

ჩვენ ნოვატორულ პიესებად მიგვანჩია „ტურბინების ოჯახის“ და ისინი, ზემოთ, რომ მოვისწინეთ. მათ შემოიტანეს არა მარტო ახალი იდეური ძალა, არა მარტო მათფრი კლასობრივი ბრძოლის ამსახველი ეპოქალური სურათი, არამედ წმინდა დრამატურგიული თავისებურებანიც, რომელმაც გარკვეული პროფილი მისცა საბჭოთა დრამატურგიას.

მაგრამ იგი არ არის (და არც შეიძლება იყოს!) ერთდერთი და ყოვლის მომცველი ფორმა.

უკანასკნელი წლების საბჭოთა (და არა მარტო საბჭოთა) დრამატურგიაში გაიღვიძა განსაკუთრებულმა ინტერესმა ფორმისადმი. ამ გამახვილებულ ყურადღებანიბის აქვს თავისი გამართლებაც. საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე (განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში) თავი იჩინა მხატვრული ფორმის მნიშვნელობის დამიგრებისა და მისი ნივთიერების ტენდენცია.

ფორმალზმის მიშით იღვემებოდა შემოქმედის ყურადღების სვეროდან ნაწარმოების ფორმაზე ფიქრი. გამრავლდნენ უსახური და უდღეური პიესები, სპექტაკლები, ისინი ხშირად ისე ჰგავდნენ ერთმანეთს თითქოს არსებობდა ერთი კლიშე საიდანაც დაუსრულებლად იბჭვებოდა ნაწარმოებები¹.

და ეს მაშინ როცა ფორმის ძიება ფორმალზმი არ არის, და არც ყოველი ახალი არის ნოვატორული და ძველი ტრადიციული.

50-იანი წლებიდან დაიწყო ბრძოლა იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ნაწარმოების ფორმაზე ზრუნვას რომ ხელს უშლიდა. პრინციპში ეს იყო სწორი, იგი ნაკარნახევი იყო თვით ცხოვრების მოთხოვნილებებთ. ამ ძიებაშიც განცდა არასწორი ტენდენცია, მაგრამ ამაზე შემდეგ.

მერე და რა მოიტანა დრამატურგიაში, თეატრში მხატვრული ფორმისადმი გამახვილებულმა ყურადღებამ? უნდა ითქვას, რომ ბევრი სიკეთე, მაგრამ ჩვენ ამჯერად ერთი მომენტი, მეტად საინტერესო და მრავალისმთქმელი მომენტი. უნდა მოვიგონოთ.

ლაპარაკია ქორის ალორძინების ცდებზე საბჭოთა დრამატურგიასა და თეატრში.

სურათი ჩვენს კრიტიკაში იხსატება, რომ ეს არის ნოვატორული ძიება, რომ ეს არის ახალი. თუმცა იგი სათავეს ანტიკურ საბჭონშითში იღებს.

ბუნებას და ცხოვრებაში ბევრი რამ მორიდება. ყოველ გამორთავს აქვს თავისი შინაგანი ლოგიკა, იგი ემყარება განვითარების გარკვეულ კანონზომიერებას. ჩვენ, თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებაში მომხმარ ცვლილებებში, მის ძიებათა ხასიათში არ შეიძლება არ დავინახოთ

¹ ი. ჩხეიძე.

საბჭოთა ქვეყნის პირველი ათწლეულის შემოქმედებითი ტენდენციების გამოვლილება და განახლება.

ზოგიერთ მომენტს ამ პროცესიდან დღეს ობიექტური საფუძველი აღარ აქვს, მაგრამ იგი მაინც გაჩნდა. ორიგინალობის მძლავრი სურვილით, რაღაც განსხვავებულის, ახლის მოძებნის იმედით.

ზოგმა ჩვევ უბრალოდ გაიმეორა ტრადიცია და ახლად მონათლა. ჩვევ ასეთად მიგვაჩინა ქორო არზუზოვის „ირაკტისის ისტორიაში“.

სტილიზაცია ძველი ბერძნული ქოროს პრინციპებისა ზოგიერთისათვის საბაზი გახდა, რომ ეს ბიესა ნოვატორულად გამოეცხადებოდა. ნოვატორულად დრამატურგიულ ფორმის სფეროში, თორემ სხვა მხრივ ბიესას ბევრი ღირსება აქვს და ეს არა ერთხელ აღინიშნა კიდევ. რაც შეეხება ქოროს საკითხში, ამ მხრივ არაფერი ახალი და დრამატული არ მოუტანია. გაცილებით უფრო პრინციპული იყო და საინტერესო ქორო შ. დადიანის „თეთნულდში“¹.

„თუთნულდის“ გამო ცნობილი ამერიკელი კრიტიკოსი ანა ლუიზა სტრონგი წერდა: „ეს არის გამოაგნებელი მასალა და პირველ სცენებში იგი ასევე გამოაგნებლად არის დამუშავებული ახალი ტექნიკური ფორმებით, რომელიც ათვისებულია კლასიკური ბერძნული ტრადიციიდან, სადაც მოქმედება იწყება ქოროს გამოსვლით და მითივე მთავრდება.“

ქართული თეატრი შორდება ბერძნულ ტრადიციას, როცა უჩვენებს ორ მოწინააღმდეგე ქოროს, — ერთს „ბაბებისაგან“ შედგარს — მეორეს „ახალგაზრდა კომუნისტებისაგან“. და შემდეგ დასკვნის: „თეთნულდს“ არა მარტო უნდა უყურობდნენ, არამედ იგი უნდა შეისწავლონ საბჭოთა დრამატურგებმა“.

შ. დადიანი მარტო ანტიკური ქოროს პრინციპიდან როდი გამოვიდა. მან ჩინებულად იცოდა ქართული ტრადიცია ამ მხრივ.

ქოროს პრინციპი უძველეს დროიდანვე იყო გავრცელებული საქართველოში, მართალია მას ისე სრულყოფილი და იმ-განრი დრამატურგიული ფორმა არ მიუღია, როგორც ეს საბერძნეთში იყო, მაგრამ ხალხურ სანახაობებში კი შენევიარად გამოიხატა იგი.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე ქართული „ფერხულის“ გამო წერდა: „ისინი ასეულებად დაწყვენენ და დიდგენ ერთიმეორის პირდაპირ, როგორც ქოროები“. ხოლო სულხან-საბა თავის ლექსიკონში განმარტავს „ხორო — ბერძნულია, ფერხულ ჰქვია“.

და. ჯანელიძის განმარტებით ქოროსა და ფერხულის მსგავსება „არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს. როგორც იტყვება, ძველ ქართულ დრამატულ სანახაობებში ფერხულს იმის მსგავსი მნიშვნელობა ჰქონია, რაც ქოროს ჰქონდა ბერძნულ თეატრში“².

ძველ საბერძნეთში ვიდრე პირველი მსახიობი გაჩნდებოდა, წარმოგონებს მარტო გუნდი — ქორო ასრულებდა. მას ჰყავდა თავისი მოწინავე, კორიფე. ქართულ ფერხულშიაც იგივე პრინციპია. იგიც ისევე ორ-გუნდოვანია და მოძრაობის ის ფორმები აქვს, ანტიკურ ქოროს რომ ჰქონდა.

ქართული სანახაობის ფორმების ეს შორეული გამოძახილი იყო შ. დადიანის „თეთნულდში“. ეს იყო პირველი საბჭოთა ტრადიციის შექმნის ცდა!

ს. ასმეტელმა ბრწყინვალედ იგრძნო ქოროს როლი და მნიშვნელობა ახალ ქართულ თეატრში. მან შემოქმედებითად გამოიყენა ძველი პრინციპი ქოროსი, მანიატა სრულად ახალი აზრობრივი ფუნქცია და ახლებურად გადაწყვიტა მისი სცენური ქმედობის პრინციპიც.

და ეს ყველაფერი ბუნებრივად ნოვატორული იყო! „ირაკტისის ისტორიაში“ კი ქორო შექმნიურად არის მიტანსებელი, იგი არ არის მხატვრული აუცილებლობით გაპირობებული. ამიტომაც არ გამოვიდა იგი სცენაზე. მას ვერ უშვავს ვერც ფრაგმენტი გამოვიკლამ და ვერც თანამედროვე მოდურ კოსტუმებით გამოცხადებამ. ყველაფერი ეს დარჩა კრუნაჯატობის სფეროში.

ეს არის ძიებათა ნაკლოვანი მხარე, მაგრამ მას აქვს მეორე მხარე ძლიერი, დადებითი მხარე.

ხომ ფაქტია, რომ წლების მანძილზე ქებათა ქება და საყოფიერო „დაღერება“ ჰქონდა ისეთ ნაწარმოებებს, რომელიც არაფერს არ მატებდა ჩვენ სულიერ კულტურას, არც არაფერს არ იყო საინტერესო და ამაღლებველი. ასეთი ნაწარმოებები საღმებოდა, როგორც სოციალისტური რეალიზმის პრინციპით დაწერილი. ამ იარაღიყის შემდეგ, შეუძლებელი ხდებოდა მისი კრიტიკა. ფარავდენ უფერულსა და უსიციფლო ნაწარმოებებს. და ეს მაშინ როცა სწორედ სოციალისტური რეალიზმია მრავალფეროვანებათა საფუძველი, სწორედ ის არის ყოველგვარი უსაურობათა და პრიმიტივიზმის წინააღმდეგ დაუნდობლად მებრძოლი, ვინ მოსთვლის რამდენი უსუსტი ლექსი დაწერილა და მეორე შექმებულა იმის გამო, რომ იგი მაღალ-ღიფურ ნაწარმოებად მიჩნეულ? მერე და ვის უნდა ისეთი იდებობა, რომელიც მხატვრული სიციფილით არ არის სავსე? ან რა საერთო შეიძლება ჰქონდეს მას? საქმე იმაშია, რომ ეს „ღიფურობა“ მოჩვენებითია და არა ნამდვილი. იგი პრიმიტიულია და მამასადამე არც შეიძლება მათ რაიმე მხატვრული ღირებულება ჰქონდეს.

განა იგივე არ ხდებოდა თეატრიაც? აიღეთ თუნდაც სტანისლავსკის სისტემის მავალით. რატომ გაისმა უკანასკნელ წლებში ასე მკაფიო, კრიტიკული გამოსვლები საკავშირო თაბიბრებზე ამ სისტემის წინააღმდეგ? ეს ხომ შემთხვევითი არ არის? ერთია რაღაც მოკაფიო თუ არ არის წორი და მეორე თუ რამ განაპირობა კამათის ასეთად წარმართვა. რა თქმა უნდა სტანისლავსკის სისტემის მოწინააღმდეგეები ცდებოდა. ისინი დღემატურად უღებოდა საკითხს და ამშინა მათი შეცდომაც, მაგრამ თვით ამ ფაქტს ხომ აქვს თავისი ლოგიკა? საიდან წარმოსდგა იგი? ვფიქრობთ, რომ სუვეტიკურ თანხიყის ხელი შეუწვეს ისეთმა დამცველებმა, რომელიც მიაჩნდათ, რომ

¹ შ. დადიანი ქორო გამოიყენა ბიესაში „შავი ქვა“, ქორო დიფერენცირებულია. ერთ მხარეზეა შუშათა ქორო, მეორეზე ბურჯანული.

² და. ჯანელიძე „ქართული თეატრის ხალხური საწყისებში“ გვ. 197.

თითქოს სისტემა „თეატრალური კანონია“, რომ თითქოს სტანისლავსკის მეთოდი ეს არის მარქსიზმი თეატრში და ა. შ. ასეთ ვულგარიაზატორულსა და დიგმატიკურ პოზიციას ან შეიძლება მძიმე შედეგებიც არ მოყოლოდა. და აი, ერთმა ნაწილმა დაიწყო მკაცრი კრიტიკა ამ სისტემის უარსაყოფად, ხოლო მეორემ მისი ჯიუტად დაცვა და კანონიზირება აირჩია. საქმე იქნებოდა მეთოდი, რომ ამ უკანასკნელთ მხოლოდ ის სპექტაკლი მიმართა სტანისლავსკის მეთოდით დადგმულად, რომელიც მეტად დამეგანებებდა სამხატვრო თეატრის წარმოდგენებს, მეტი იქნებოდა სცენაზე ჩურჩული, ყოფითი ტონი და სხვა. ასეთ ტენდენციას ლოგიკურად მიეყვანოდა „მხატვრის იმიტაციამდე“. იკარგებოდა ეროვნული თეატრების სპეციფიკა და რაც ყველაზე საყურადღებოა, ეს პროცესი ძირითადად ეწინააღმდეგებოდა თვით სიტემის არსს. ასეთი ცდელი შედეგი ახლდა სისტემის „დამცველთა“ დრამატუკას. თითქმის იგივე მანკიერება მოიტანა პირველმა ნაკადმა.

ზოგმა ავიწყებდა, რომ სტანისლავსკი ნამდვილი ნოვატორი იყო თავისი ბუნებით. განა ნოვატორული არ იყო მისი შემოქმედება დასაწყისიდანვე? მან ხომ საოცარი რეფორმა მოახდინა რუსული თეატრალური აზროვნების ისტორიაში? რეფორმის იყო არა მარტო აზრის, არამედ მისი გამოსახვის ფორმის ცვლილებაც, ამ ძიებებში იგი მანვე არ ივიწყებდა მთავარს, ადამიანის შინაგან სამყაროს სიბარძლით გამოსატანს. იგი ყოველთვის გვაფრთხილებდა, რომ სპექტაკლის დადგმაში მხოლოდ ფორმალურ მიღწევებს, ყალბი ნოვატორობის ცდუნებას უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლია. რად არის მოსაწყენი ფორმალისტური თეატრი? — კითხვობდა და სტანისლავსკი და თავადვე პასუხობდა — „იმითვე ხომ არა, რომ ისინი ვინც თუმცა ლამაზსა და ფორმით მახვილს, არ შეუძლია თავისთავად იცოცხლოს სცენაზე? გარეგანი შინაგანიდან უნდა იყოს გამართლებული და მხოლოდ მაშინ გაიტაცებს თეატრი მაყურებელს... სხეულს უსულოდ სიცოცხლე არ შეუძლია“.

თუ თვალს გადავავლებთ საუთესო თეატრების ისტორიას უსათოდ დაგინახავთ, რომ ყოველი თეატრი მხოლოდ ძიების, გაუმძლიო, და უკომპრომისო ძიების გზით აღწევდა ახალ წარმატებებს, მხოლოდ ამ საშუალებით ავითარებდა ტრადიციის საუკეთესო მხარეებს. გავისწინოთ სამხატვრო თეატრის მავალით; განა მან ცოტა „იზმი გადაიტანა“?

როცა მათ შემოქმედებაში თავი იჩინა კრიზისულმა მოვლენამ თავით მოწინააღმდეგე ბანაკიდან მოიწვიეს მხატვარი ა. ბენუა. იგი მოიყვანეს თეატრის მუშაობაში ახალი პოტენციური ენერჯის შემოტანის, თეატრის საძირკვლის განახლების სურვილით. ეს იყო ძიება, ამ გზას ვერ ასცდა ვერცერთი თეატრი. თეატრი შესწევებს წინსვლას თუ იგი მუდმივ ძიებასა და განახლებაში არ არის. მაგრამ ეს არის ძიება მოსოველების წინააღმდეგ, ტრადიციისა და იმ მხატვრულ-ეთიკურული იდეალებისა, რომლებსაც აპკვიდრებდა იგი თავისი ისტორიის მთელ მანძილზე.

იროვსაც ვლადიმეროვმა ძველსა და ახალზე, ტრადიცი-

ულსა და ნოვატორულზე ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ლენინის სიტყვები: „საჭიროა ლამაზი შეინარჩუნოთ, ავილოთ ისე, როგორც ნიშუმი, დავეყრდნობთ მას, თუდღაც ის „ძველი“ იყოს. რატომ უნდა შევუკეტოთ ზურგი ჰუმანიტატის მშენებელს, ურავითი ის, როგორც გამოხატული ჰუმანიტატის მშენებელი განვითარებისათვის მხოლოდ იმ საბუთით, რომ ის „ძველია“? რატომ უნდა მოვიხაროთ მთელი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომელსაც მხოლოდ იმითვე უნდა დავემორჩილოთ, რომ „ეს ახალია, უაზრობაა, სრული უაზრობა“.

დიდებულად არის ნათქვამი. მართლაც და რატომ უნდა გავაფიქტივოთ ახალი მხოლოდ იმიტომ, რომ ის ახალია და ბრმად ვენდობთ მას? ანდა რატომ უნდა უარვყოთ ძველი იმისათვის, რომ ის „ძველია“? ჩვენ აქ გავიგონებთ დაღებული სიტყვები ილია ჭავჭავაძისა. იგი ამბობდა: ღრმად თავყანისცემა რისიმე ან ვისმე მონობაზე უფრო საძაგელი მონობაა.

იქ სადაც არის ქედმობრილი დამოკიდებულება, არ შეიძლება იყოს ზრდა და განვითარება, არ შეიძლება წინსვლა. ამ უკანასკნელის გარეშე კი წარმოუდგენელია ჰუმანიტატი შემოქმედება.

ჩვენ გვახსოვს მაქსიმ გორკის სიტყვებიც: „რისთვის გვჭირდება ჩვენ უარყოფითი ჰუმანიტატი მშენებლობა, როგორც შემდგომი განვითარების წინაგადასასრული — მარტოოდენ იმიტომ რომ იგი ძველია?“ და მართლაც მშენებლობა ხომ არ ბერდება, იგი ხომ უკვდება? ასე, რომ არ იყოს მაშინ საუკუნეებს ვერ გაუძლებდნენ გენიალური ქმნილებები. ისინი გენიალურად სწორად იმიტომ არიან, რომ არასოდეს არ ბერდებიან, არასოდეს არ წყვეტენ ცოცხალ უსულო კონტაქტს თათბობთან. ამ უწყვეტობაში არის კავშირობის მარადიული ლტოლვაც ლამაზისა და მშენებლისადმი.

და რა თქმა უნდა საბჭოთა კულტურა კანონიერი მემკვიდრეა ამ დიდი კულტურული მონაპოვრისა.

როცა ახალზე ვლადიმეროვმა, წუთითაც არ უნდა დაგვივიწყდეს, რომ იგი შეიძლება იყოს ნამდვილი და ყალბი. თითქოს უცნაური. მაგრამ ფაქტია, რომ ძველს ხშირად ეს ყალბი სახელე უპირისპირდება და არა ნამდვილი. ეს უკანასკნელი იმ ძველიდან გამოდის, იქ იღებს სათავეს და მერე უცვლის მას ფორმას ისე, როგორც ეს უკეთ პასუხობს მის დროს. ყალბი კი ხელაღებით უარყოფს ტრადიციას და ყველაფრის მამამთავრობას იჩენებს.

საგულისხმობა, რომ ხშირად ყალბი უფრო ადვილად იკვლევს გზას და უფრო მეტ ფეფქტსაც ახდენს მაყურებელზე, მაგრამ დროებით. იგი მალე წყნდება აუდიტორიას, მალე იქცევა ტრაფარეტად. ამ უკანასკნელიდან გაქცევის სურვილი საოცრად მძლავრია ყოველ ადამიანში. ტრაფარეტი ხომ მოწყენილობაა და ვის არ აწუხებს ეს კომპარული განწყობა? ამიტომ არის, რომ კინემატოგრაფიული სისწრაფით იცვლება ხოლმე მოდა, სტილი. ამ პროცესის მისდევს კვლადავალ ზოგიერთი შემოწამქმნელი მოჩვენებითი სახელები.

მთელი ეს პროცესი აგრძელდება არის დაკავშირებული ნილილიზმის საკითხთან. ნილილიზმი ძალზე ახლოსაა ცრუ



ნოვატორებს პრობლემასთან. სიახლის წყურვილით გატაცებული ხშირად ივიწყებენ წინაპართა მონაპოვარს. პირველი იერიში იქით არის მიმართული, სადაც უფრო მეტფოთა ეროვნული კოლორიტი. ბრძოლა ამის წინააღმდეგ იმ საბაბით ხდება, რომ თითქმის ეს „ახლის“ მადებლები ზოგადაკომბრულისაკენ ილტვიან. ამიტომ მათ აღარ აკმაყოფილებს არსებული, აღარ აკმაყოფილებთ ეროვნული განსაზღვრულობა. ამ უკანასკნელს ეროვნულ კარნაქტულობას უწოდებენ. ამგვარი რეიდები ამ ოცდათი წლის წინათაც იყო. როცა ამხეტელმა დადგა „ანზორი“, „ლაშარა“. ზოგიერთი მას უკიჟინებდა, რომ ეს „ჩიხინაობა“ კარნაქტულობა და სხვა არაფერი. რომ თითქმის თეატრი ვეღარ შესძლებდა გამარჯვებას იქ, სადაც აღარ იქნებოდა საჭირო ჩიხა. მაგრამ მალე გაუტრუვდათ იმიდით ამ „ეთორეტიკოსებს“ ამხეტელმა იმავე პრინციპით დადგა „ყარაღობა“. შედეგი ყველასათვის ნათელია. როცა თეატრი მოსოვში გასტროლებზე წავიდა. ის „ეთორეტიკოსები“ ფიქრობდნენ, რომ გამართლებოდა მათი იმიდი, რომ მოსოვო ვერ გაუგებდა ქართულ სამეტიკალებს. ყველაფერი პირიქით მოხდა. გასტროლებს ტრუფუალური წარმატება ხვდა. ეროვნული ფორმა ხელისშემშლელი კი არა საუკეთესო საფუძველი აღმოჩნდა. ამხეტელი ამბობდა: ჩვენ დაგმარცხებოდით, მთელი ჩვენი მუშაობა შემცდარი იქნებოდა, თუ ჩვენს ეროვნულ ფორმაში გაუგებარი დაგრჩებოდითო. აქვე უნდა გავისინოთ ბელისის სიტყვები: „დიდი დამაინა, მუდამ ეროვნულია, ისე როგორც მიიგე ხალხი, რადგან ის სწორად იმიტომაც დაიდა, რომ თვით წარმოადგენს თავის ხალხს“. ბრწყინვალედ არის ნათქვამი. სწორედ აქედან წარმომდგარი, ხალხის წილიდან გამოსული ნოვატორია ტუმშარტი და უკვდავი...

არც ის არის შემთხვევითი, როცა ხშირად ევრეთ წოდებული სიახლის იმპულსის ცემა ეროვნული ნიადაგიდან კი არა, მის გარეშად ისმის. სწორედ აქედან იწყება პირდაპირ გზა კოსმობოლიტიური ხელოვნებისაკენ. რაოდენ ნიჭიერადაც არ უნდა იყოს შესრულებული ესა თუ ის ნაწარმოები, რაოდენ მდიდარი ფორმითაც არ უნდა დაგვიხივდეს, იგი მაინც არ დარჩება ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რადგან ეს ფორმები უცხოა და ამდენად არაბუნებრივი, მიუღებელი.

ჩვენ საესებით ლოგიკურად მიგვანჩია, როცა ახლის ძიება პირველში თავი იჩინა ეთორეტიკმა ნიდილუმმა, ზოგმა წარმოიდიგნა, რომ თითქმის დიდი კულტურული ცხოვრება სახეობა ხალხისა მხოლოდ და მხოლოდ 50-იანი წლებიდან იწყება. მათ დაივიწყეს ჩვენი ხალხების თავგანწირული შრომა, მძლავრი შემოქმედებითი გაქანება, რომელმაც უმდიდრესი სულიერი კულტურა შექმნა. ამ კულტურით ამაყობს საბჭოთა ხალხი, ამაყობს მთელი მოსოვლის პროგრესული კაცობრიობა. იგი მასში ხედავს ახალი ქვეყნის შემოქმედით ადამიანების სულიერი სიმდიდრეს, მათ დაუცხრომელ ოპტიმიზმს.

ყოველი თაობის მონაპოვარი ძვირფასია და მხოლოდ მის საფუძველზე შენდება მომავალი, რაოდენ ახალიც არ უნდა იყოს იგი.

ჰაინე ამბობდა: ყოველ ახალ თაობას სწამს, რომ მხოლოდ

მისი ბრძოლა ყველაზე სამართლიანი მანამდე წარმოებულ ბრძოლათა შორის, და მხოლოდ იგია ყველაზე დიდი სიყველთის შემოქმედი. ამ რელიგიით იბრძვის იგი ზემოხსენებულს.

თუ არა ეს რწმენა ცხადია ძნელია რაიმე ღირსეულისა და დაიღის შექმნა, მაგრამ იგი წარსულის მემკვიდრეობას როდი ამცირებს.

ყოველი დიდი ხელოვნება ნოვატორულია. ასე და მხოლოდ ასე შეიძლება საკითხის დაყენება. შორს რომ არ წავიდე, განა ნოვატორული არ იყო კ. მარკანინიშვილისა და ს. ამხეტელის შემოქმედება? გავისინოთ მათი საუკეთესო სექტაკლები „ცხვრის წყაროდან“ მოყვლილი, „ურიელ აკოსტა“ და „ანზორი“, „ლაშარა“ და „ყარაღობი“, რამდენიმე რამ იყო მათში ტუმშარტიც ნოვატორული, სწორედ ამ და ამგვარმა სექტაკლებმა განსაზღვრეს ქართული თეატრის განვითარების გზა. მათ შეუქმნეს ნიყური ნიადაგი თეატრის შემდგომ ძიებებს.

ს. ამხეტელი პირდაპირ წერდა: „ჩვენი თეატრი — თეატრია ძიების“. შესაძლოა თქვენ მოგწონდით ამ არ მოგწონდით ეს ძიება, მაგრამ იგი იბიექტურად არსებობდა და ყოველდღიურად იმტიციედა თავის პოზიციებს.

ამხეტელის ძიებათა მთელი არსი იმაში იყო, რომ მოცემული იდეა უნდა გამოსატულიყო რაც შეიძლებოდა მკაფიო და საინტერესო თეატრალური ფორმით. „ჩვენი მიზანი — წერდა ის, — მასების ინტერნაციონალური აღზრდა. ფორმა აქ საშუალებაა და არა მიზანი“.


(ხაინე ჩვენი — გ. კ.).
დაიხ, ფორმა საშუალებაა. ასე იყოს ამხეტელის შემოქმედებაში, ასე იყო ყოველი ტუმშარტიც ხელოვნის ნაშთლ-ვაწირში, მაგრამ აი, განდენე ადამიანები, რომელთათვისაც ფორმა მიზანი გახდა და არა საშუალება. სწორედ აქ არის მათი შეცდომა!

როცა ძიების საკითხზე ვლამარაკობთ ჩვენ არ გვაიწყებდება მისი მრავალმხრივობა. აქ არ შეიძლება რაიმე რეცეპტი, წინასწარ განსაზღვრა დაკანონება, მხატვრული შემოქმედება ყველაზე ნაკლებად ემორჩილება კანონებს. ტრადიციული კლასიკური დრამატურგიის პოზიციებიდან, რომ ვიწყებოთ, ჩვენ ბევრი აღარაფერი შეგვრჩება ხელთ ისეთი იქნებიდან, როგორცაა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მესეს“.

მაგრამ დაიდაგა ორთავე, მიიღო იგი მაცურებელმა და წარმოიშვა რაღაც ახალი დრამატურგიული ფორმა, ფორმა, რომელიც ტრადიციული პიესისა და ინსცენირების შუალედშია. ეს თვისება კარგად შეინახეს მოსოველმა კრიტიკოსებმა.

ამგვარი სიახლე, „ქართული თავისუფლება“ ამდიდრებს დრამატურგიულ ფორმებს.

სამედინეროდ ქართულ თეატრში ჩვენ არ გვაქვს ფორმალისტური ვარჯიშის თვალსაჩინო მაგალითი, არ გვაქვს ცრუნოვატორობის რაიმე აშკარა გამოვლინება, მაგრამ ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი ჩვენშიაც ისევე მწვავეად დგას, როგორც ეს საერთოდ შეიგრძნობა.



და თუ იგი ჯერ კიდევ მხოლოდ შინაგანი, თეატრის კულისების მიღმა მიფარებული ტვიტილია, ამასაც აქვს თავისი მიზნები. უნდა ვისურვოთ, რომ თანამედროვე ქართული თეატრი ერთ წერტილზე არ გაჩერდეს. დაუძებოს, ეძებოს ისე ვაგაკურად და გონიერად, როგორც ამას მარჯანიშვილი და ახმეტელი აკეთებდნენ. ამ ძიებაში იქნება მარცხიც, იქნება დადაპარებაც, მაგრამ ნუ იქნება კოსმოპოლიტური გატაცება, ეროვნული ნიღოზობა.

აქ უნდა გავისვენოთ ოლიას დიდებული სიტყვები: „ოლიონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და შენეიერება — ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იაროს ცხოვრების მდინარეში, მონახოს მარგალიტები და თუ იმთ ამოკრეფში ლაფი და ლეჭი თან ამოცვეება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირცხვით, ჭუჭყი მოვიშრით, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვჩრეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ“.

ეს არის რეალიტური ხელოვნების პრინციპი. იგი მუდამ უნდა ახსოვდეს ყველას, ვისაც სურს ხალხს ემსახუროს.

გვაქვს თუ არა თანამედროვე ქართული თეატრში ტრადიციის ახლებურად განვითარების მაგალითები? მე ვფიქრობ ტრადიციას. განა მარჯანიშვილის შემოქმედების საუკეთესო ტრადიციების განახლება და განვითარება არ იგონებოდა ასეთ სპექტაკლებში: „მე ვხედავ მშეს“, „ხევიმ კვდებიან ზეზუურად“, „მე, ბებია, ილიკო და ილიკინი“ ან და ახმეტლის ტრადიციას არ ჩანს „ნახტორინისა“ და „ოილიპოს მეფის“ დადგმებში? გავისვენოთ საუკეთესო სპექტაკლები „მედაე“ და „მოკვეთილი“, „ესპანელი მღვდელი“, სადაც ასე კარგად ჩანს ქართული თეატრის ტრადიციის საუკეთესო მხარეები.

ყველაფერი ეს ძველის გამეორება როდია. არც იმგვარი ახალია თავიდან, წარსულისაგან მოწყვეტით რომ იწყებს ცხოვრებას.

დაცვა და ძიება არის წინსვლის საფუძველთა საფუძველი. აქ არის ტრადიციულისა და ნოვატორულის შიურიერთობაც.

პაინე გონებასახვილურად ამბობდა: „ითოთეული საუკუნე ღებულობს რა ახალ იდეებს, იქმნს ახალ თვალებს და და ხედვას ბევრს ახალს გონებას ძველ ქმნილებებში“. ახალი კუთხით დანახვა ძველი მხატვრული ნაწარმოებებისა, შემოქმედს საშუალებას აძლევს გააღრმავოს და განავითაროს თავისი შემოქმედება.

ერთი სიტყვით ყველაზე დიდი ხელოვანი ის არის, ვინც უკეთ ახერხებს დაიცვას ტრადიციის ცოცხალი ძალა, იპოვოს მისი ყველაზე ჯანსაღი საფუძვლები, დაეყრდნოს მას, მოძებნოს სხვა უფრო დიადი და ახალი ფორმები, რომელიც ამტკიცებს და ასვებს მის საფუძველს.

ტრადიციული და ნოვატორული ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი როდი არიან. ისინი ერთად „თანაარსებობენ“. ამაშია მათი ძალაც. ვარდუღალია კრიზისი და კონფლიქტი, როცა წყდებიან ერთმანეთს.

თეატრი ადვილად ეგუება მოგონილს. თითქმის წარმო-

უდგენელია იგი პირობითობის გარეშე. პირობითობა არამედ თუ წინააღმდეგება სცენური ცხოვრების პირობებებს, მაგრამ მდ მისი გამოხატვის საშუალებაც არის. ასე მაგალითად ამ სამიოდ წლის წინათ რუსთაველის თეატრში მ. თუმანიშვილმა დადაცა კ. კოპოტის „როცა ასეთი სიყვარულია“. პიესა მრავალმხრივ არის საინტერესო. განსაკუთრებით კი დრამატურგიული წყობის თვალსაზრისით. რამდენადაც მას სოფს, ქართული ცენაზე მანამდე არ დადგმულა ამ ფორმის ნაწარმოები. რეჟისორმა კარგად იგრძინო ამ სიახლის მნიშვნელობა. მან პიესას მოუძებნა ადეკვატური სცენური ფორმა. სპექტაკლის ფორმა ამავე დროს პიესის ფორმაც არის! ¹.

როცა თქვენ სპექტაკლის მოქმედ გმირებს უყურებთ, უყურებთ მართალსა და დაძაბულ სცენურ ცხოვრებას. თქვენ სრული ილუზია გაქვთ, რომ ეს ყველაფერი ნამდვილი ცხოვრებაა. მასში არაფერი არ არის ცხოვრებისეული ლოგიკას რომ ეწინააღმდეგებოდეს, არ შეესაბამებოდეს ადამიანთა ბუნებრივი სურვილობის ფორმებს.

არ შეიძლება გულგრილად უყუროთ ღიდა მატისოვას ბედს, მისი სიყვარულის რომანტიკულსა და ამასთანავე ტრაგიკულ ისტორიას, იგი თქვენ გზიბლავთ თავისი მშვენიერებითა და ამაღლებულობით, გახარებთ მისი ძალა და სიმტკიცეც, მაგრამ ვალდებთ ამ სიმტკიცის შედეგი, — ტრაგიკულად მძაფრი ფინალი ცხოვრებისა.

მართკ ღიდა მატისოვა როდია რთულ ცხოვრებისეულ კონფლიქტში გახლარებული. იგი ხედავდა თითქმის ყოველი მოქმედი გმირისა, იქნება ეს ღიდა პეტრუსოვა თუ მილან სტიბორი, პეტრი თუ ტომეკი. ყოველი მათგანი ხელს უწყობს რთული კონფლიქტის წარმოქმნასა და მისგან განვითავისფერდება.

ეს არის რთული ცხოვრება, ვიმეორებთ, ნამდვილი ცხოვრება. დაუჯერებელი აქ არაფერია.

და აი, დრამატურგმა ხასიათების ფსიქოლოგიური სიმართლის გამოსახატავად სრულად განსხვავებული საშუალებები მოძებნა. ჩვენ ვიცით, რომ ღიდა მატისოვა და პეტრი შეეყარებულნი არიან. აგერ ისინი მხოვდენ ერთმანეთს პეტრის ბინაზე. სპექტაკლში ბინას მხოლოდ ერთი დეტალი მიგვანიშნებს. საწოლის მეტი სხვა ნივთი არ არის. აქ არიან ღიდა და პეტრი. ამ დროს მილანს პეტრის მეუღლეც, იგი იხრება იატაკზე, პეტრისა და ღიდას სარეცელდან ორი მეტრის მოშორებით და ძირს აგაკუნებს. ოთახს არც კარები აქვს და არც კედლები, არც კიბე და არც ჭერი. აქ მხოლოდ გმირთა საჯარო განმარტობება. როცა ღიდა დააკაკუნებს და „ოთახიდან“ პეტრის „გამოსვლას“ უყურებთ, ჩვენ სრული ილუზია გვაქვს, რომ იგი მართლაც ბინიდან გამოვლია. ადარ გვეუცხოება, რომ ღიდა იატაკზე აგაკუნებდა და სახლის კარებს კი გულისხმობდა.

ამგვარი პირობითობა დიდებულია. ამგვარ სიახლესა და

¹ ამწუხაროდ ჩვენს თეატრებში ყოველთვის ასე როდის ხდება. ზოგჯერ რეჟისორი წინასწარ „მოაზღავენს“ სპექტაკლის ფორმას და მას ტომარასავით ჩამოატყებს პიესას. აქედან წარმოსდგება შეუსაბამოვად ფორმას და შინაარსს შორის.



მიგნებას თავისი ღრმა შინაარსი აქვს. იგი უწყობს ხელს საქმეების წარმატებას, აძლიერებს მისი რეპუტაციის ძალას. ფორმა და შინაარსი მთლიანობაშია. ზემოთხსენებულს სწორ შეგრძნებას ფორმისას.

გავისწავლოთ მთელი ფაქტიც. მაგრამ იგი უკვე სულ სხვა თვისებებისაა. მხედველობაში მაქვს ე. ვოლდინის „სასტუმროს დიასახლისი“. ამავე რეჟისორის დადგმათ.

რეჟისორმა სცადა ახლებურად დანება ძველი ბიესა. მას სურდა ისე წარმოედგინა გოლდონის ბიესის მხატვრული სამყარო, რომ უაღრესად თანდართული ფორმა ჰქონდა და აი, დაიწყო იმ ელემენტების კონცენტრაცია, რომლითაც ეს სიახლე უნდა შეეტანა ფორმის სფეროში. სცენაზე მოიტანეს უამრავი ობიექტის ყუთები, ისინი შეღებულნი იქნა „თანამედროვე სტილიში“. ეს ნივთები ცალკე მართლაც, რომელიმე მოდერნ სპექტაკლში უფრო შეეფერებოდნენ ვიდრე გოლდონის, მაგრამ სპექტაკლში მათ ვერაფერია სიახლე ვერ შეიტანეს. ისინი თავს ისე უხერხულად გრძობდნენ, როგორც დაუბატონებელი სტუმრები.

რა არის ეს, ფორმის სიახლე და კლასიკური ბიესის თანამედროვე ენით წაკითხვა? იგი სხვა არაფერია თუ არა ახლის ძიების ცდუნება. რუსთაველის თეატრში ამგვარი ხერხი უკვე იყო გამოყენებული, მაგრამ ორგანული და მხატვრულად ძლიერი იყო (მოიგონეთ „ყაჩაღები“), ნივთები „ყაჩაღებშია“ ისეთსავე მოძრაობაში მოჰყავდა მასას, როგორც ამ სპექტაკლში. მაგრამ სრულიად განსხვავებული ფუნქცია, ადგილი ჰქონდათ მათ სპექტაკლში. ამიტომ მივიღეთ ერთ შემთხვევაში საუკეთესო მხატვრული დეტალი და მეორეში კი გაუმართლებელი.

ჩვენ ტრადიციისა და თანამედროვეობის მხატვრული ურთიერთობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად რუსთაველის თეატრის „ბახტრიონი“ მიგვაჩნია. სპექტაკლი იმყარება ახმეტელის შემოქმედების გვირგვინ-რომანტიკული სტილის ტრადიციას, მაგრამ იგი აქ არ ჩერდება. ტრადიციის შემოქმედებითი ათვისება კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის იმ სიახლესაც, წარმოდგენაში რომ არის. მე მხედველობაში მაქვს ფსიქოლოგიური ნაკადის შერწყმა რომანტიკულთან. მართალია ახმეტელის თეატრის ესთეტიკა გმირულს და ფსიქოლოგიის ერთიანობას გულისხმობდა, მაგრამ ავი ვერ კიდევ არ იყო სასებით მიღწეული. შემოქმედების პირველ ეტაპზე. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზნები...

უკანასკნელ წლებში გაჩნდა ტენდენცია „დეგეროიზაციისა“, „დედრამატიზაციისა“. ეს ვითომდა სიახლეა, ნოვატორობაა დრამატურგიაში.

ბურჟუაზიულ თეატრალურ კრიტიკაში გავრცელებულია აზრი, თითქოს თანამედროვე ეპოქაში, ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში, უკვე მოძველდა კლასიკური დრამატურგის

ფორმები. ჩვენს საუკუნეს არ ყავს გმირები, აღარ არიან გმირნილი, ძლიერი ადამიანები, ამიტომ საჭიროა დრამატურგმა გვიჩვენოს თავისი განწყობილებანი, გვიჩვენოს უცნობი საშაყარო... „დედრამატიზაცია“ კიდევ უფრო აშკარად უპირისპირდება ტრადიციას.

რადღე აქტიური არ უნდა იყოს ამგვარი მიმდინარეობა, რადღე დიდც არ უნდა იყოს მისი ცალკეული წარმატება, ამ პროცესში არ შეიძლება არ დაინახოთ მისი რეაქციული არსი.

სულ მხავგავრ დასკვნებს იძლევა თანამედროვე თეატრალური პრაქტიკა მსოფლიო რადიუსით. საქმარისა თვალ გადავაკლოთ სხვადასხვა ქვეყნების თეატრების რეპერტუარს, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორ ძლიერია კლასიკური დრამატურგის წილხვედრი. რეპერტუარში დიდი ადგილი უჭირავს არა მარტო კლასიკურ დრამატურგას, არამედ მისასაც, ამ ტრადიციისადმი ერთგულებით რომ გამოირჩევა.

ორიათასი წლის წინათ დაიწერა „ოდიპოს მეფე“, მაგრამ იგი დღესაც აღლევებს კოსმიური საუკუნის ადამიანებს. ტრაგედიას დგამენ არა მარტო მისი ბიესის საშობლობა, არამედ მრავალ ქვეყანაშიც. იგივე ითქმის „მედებს“, „ანტიგონას“ და სხვათა შესახებ.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დაესწროდით ბიესის თეატრის გასტროლებს მოსკოვში. თეატრმა წარმოადგინა „მედეა“ და „ანტიგონე“. მაყურებელი დიდი ინტერესით შეხვდა თეატრს. ცხოვლად გამოქმეზურა ორთავე წარმოდგენას.

რა შეძლებოდა საერთო ჰქონოდა საბჭოთა მაყურებელს ანტიკური ეპოქის ადამიანთან?

ჩვენი მაყურებლისათვის ახლობელი იყო მედვასა და ელექტრას ტრაგედია. ღრმად ადამიანური ტკივილი ყველა ეპოქის ადამიანისათვის ახლობელია და გასაკვირი. ის ფორმა, რომლითაც ეს ტკივილი გვაგრძობინებს ბერძნული თეატრის მსახიობებმა დიდა თავისი სისადავით, თავისი სიცხადით. აზრისა და ფორმის მთლიანობა, გმირთა სულიერი სამყაროს გადმოცემის სიწრფელი და სისასვე განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებდა სპექტაკლებს.

არა იშვიათად ხდება ხოლმე, როცა მანერა მანერულობით, სტილი სტილიზაციით იცვლება. და ეს ყოველფერად გამოდის, როგორც ახალი და ნოვატორული. სტილიზაციისა და მანერულობის ტენდენციები თითქმის ყოველ დროს იყო. ამას გვიჩვენებს მსოფლიო თეატრალური პრაქტიკა.

საბედნიეროდ დიდ თეატრალურ მდინარებას ორგანულად არასოდეს არ შეერწყმა იგი.

სხვაც ბვერი ითქმის ნოვატორულისა და ტრადიციულის შესახებ. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს შევხებით.



პ. ჩაიკოვსკი „სერენადა“



ამერიკული

ბალეტი—

კონცერტის შემდეგ დარბაზი
შეისალმება ჯორჯ ბალანჩინის

პ. ჩაიკოვსკი — პა-დე-დე
ასრულებენ: მელისა პეიდენი
და ქაყ ლამბუაზ

ეროვნული
გიგლიორიქია

„ნიუ-იორკ სიტი“

თბილისში

ს. პროკოფიევი „ვზაბნეული შვილი“ ასრულებენ: დიანა ადამსი,
ედუარდ ვილელა.





პ. ჩიკოტყვი. „სტრენადა“

პ. ჩიკოტყვი. „სტრენადა“





ა. სტრაინსკი, „აგონ“

ფოტოგრაფი ა. ბალაბუცისა და პ. შვეტცოვის

ბ. სტრაინსკი, „აგონ“ პა-დე-დე, ასრულდნენ დიანა ილამსი და არტურ შიტჩელი





დირიჟორი შალვა
აზმაიფარაშვილი

უკვე სამოცი წელი შესრულდა მისი დაბადების დღი და შალვა აზმაიფარაშვილის სახელი კარგა ხანია ცნობილია. 1937 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა ქართული მუსიკალური კულტურისა და კერძოდ საოპერო და სიმფონიური მუსიკის განვითარების საქმეს როგორც სახელმწიფო თეატრისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი, საქართველოს რადიოს ორკესტრისა და შემდეგ საქართველოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი.

შალვა აზმაიფარაშვილის სახელთან დაკავშირებულია ყოველივე ის კარგი, შესანიშნავი და სასიხარულო, რამაც წინ წასწია ჩვენი ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურა — საოპერო თუ სიმფონიური მუსიკის დარგში.

მის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი საოპერო თეატრის ნაყოფიერი მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი.

შალვა იყო ჩვენი სახელგანთქმული და საყვარელი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის უკუდავი ოპერების ბრწყინვალე შემსრულებელი, იგი პირველი დამდგმელი და მუსიკალური ინტერპრეტატორია მრავალი ქართული ოპერისა და ბალეტის.

მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ჩვენს საოპერო თეატრში ისეთი ნაწარმოებები, როგორც იყო ი. ძერეჩისკის — „წყნარი ღიწი“, ო. ჩიშოვის — „ჯავნოსანი პოტიომკინი“, მ. მუსორგსკის — „ბორის გოდუნოვი“, ჯ. ვერდის — „ოტელო“, პ. ჩაიკოვსკის — „იოანეტა“. ქართული ოპერებიდან, გარდა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩიძის და ვ. დოლიძის ნაწარმოებებისა და იდაგა: შ. თაქთაიშვილის — „დეპუტატი“ და „მალთაყვა“, ი. ტუსკიას — „სამშობლო“, გრ. კილიძის — „ოდაო კეხთოველი“, ი. გოგიელის — „პატარა კახი“, ა. ბალანჩიძის — „მზია“ და ბევრი სხვა, რომლებმაც თავის დროზე დადებითი როლი შეასრულეს ჩვენი საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში. ამავე დროს ის, დაუღალავად, უღიღისი ენერგიით და საქმის ცოდნით ცდილობდა შესრულების ხარისხის მაღალი დონის მიღწევას; განამტკიცებდა საპედაგოგებს სუკუთესო ვოკალური მალეობით, საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებებით, იცავდა ოპერებს მავნე გავლენების, ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევებისა და წახდენისაგან. ახალ ნაწარმოებებს შალვა განსაკუთრებული სინანდივით და სასოებით უვლიდა და მფარველობდა.

უსაზღვრო იყო შალვას სიხარული, როდესაც იბადებოდა და მკვიდრდებოდა ახალი ქართული სიმფონიური თუ საოპერო ნაწარმოები, რომელთა უმრავლესობის შესრულება და განმტკიცება მის ნიჭსა და უნარიანობას უნდა მიეწერის.

შალვა აზმაიფარაშვილი დაიბადა 1902 წელს ღარიბ ოსტატის, ფხსამცმელის დამამზადებელი ფაბრიკის მუშის ოჯახში, ძველი თბილისის — ჩუღურეთის უბანში.

მატერიალურად ხელმოკლემ, მავარამ „მეცარმა“ მამამ, რომელმაც ვერ გაიყო ნიჭიერი ბავშვის მისწრაფებანი, იძულებული გახდა პატარა შალვა მიეტოვებინა სწავლა და „რაიმე საქმეს“ შესდგომოდა, მოხმარებოდა მას მრავალი შვილიანი ოჯახის შენახვაში და ფულის შოვნის მიმეტირით ეზღა. ბავშვმა ვეღარ გაუჭლო ამას, მიატოვა მამის

მგზნებარე დირიჟორი

შალვა მშველიძე

1957 წლის 21 მაისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი უჩვეულო ამავი იყო. ქალაქის ყველა სიმფონიური ორკესტრი, ოპერის თეატრის გუნდი და სახელმწიფო კაპელა ასრულებდნენ უკუდავ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

გაისმინა ბეთობენის, ჩაიკოვსკისა და ფალიაშვილის მუსიკის მგზნებარე პანები. თბილისის საზოგადოება უკანასკნელად ეთხოვებოდა ქართული მუსიკალური კულტურის მესვერის და მოამაგეს, გამოჩენილ დირიჟორსა და კომპოზიტორს შალვა ილიას ძე აზმაიფარაშვილს.



ოჯახი, სახლიდან გაიპარა და წავიდა სადღაც — სად? თვი-
თონაც არ იცოდა...

და აი, სრულიად შემთხვევით რკინიგზის სადგურზე მან
შეამჩნია სამხედრო ემულონი, რომელშიც შეიპარა და ნახეს
მხოლოდ მატარებლის გასვლის შემდეგ. აცრემლებულ ბავშვს
მოეფერეს, მიუღვრეს და მზრუნველობა აღმოუჩინეს.

სამხედრო ნაწილის უფროსის განკარგულებით შალვა ლე-
გიონის „მუსიკოსთა რაზმი“ ჩარიცხეს.

ამით პატარა ლტოლვილი უსახლფრო ბედნიერად თვლი-
და თავს იგი მიეცემა ახალ ადამიანებს რომლებმაც მას
მშობლიური მზრუნველობა, ამაგი და სითბო არ მოაკ-
ლეს.

ამგვარად, გადაწყდა პატარა შალვას ბედი — იგი მუსი-
კოს სამყაროში აღმოჩნდა, მისი მომავალი, როგორც მუსიკო-
სისა, განისაზღვრა.

მომავალში, თვით სამხედრო ნაწილის მზრუნველობითა
და შუამდგომლობით შალვა შევიდა თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიაში, რომელშიც იგი 1923 წლიდან სწავლობდა
დასარტყამ საკრავების კლასში, მასწავლებელ გ. ილიანთან.
ამავე დროს შალვა სიმფონიური ორკესტრის დასარტყამი
საკრავოს საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა და ცნობი-
ლი იყო როგორც ბრწყინვალე ტიმპანისტი და ქსილოფო-
ნისტი.

შემდეგში იგი სწავლობდა საკომპოზიციო კლასში პროფე-
სორების: ი. ბარხუდარიანისა და მ. ბაგრატიონის ხელმძღვა-
ნელობით.

შალვას პირველ მასწავლებლად დირიჟორობაში გამო-
ჩენილი ქართველი დირიჟორი და მუსიკოსი ვანო ფალია-
შვილი ითვლება, შემდეგ ჩვენი მუსიკალური კულტურის სია-
მავე ყვევანი მიქელაძე, დაბოლოს ამ საქმის დიდი მცოდნე და
მოდელურ პროფესორი მიხეილ ბაგრატიონსა და უკანასკნელად
პროფ. ალექსანდრე გუკა. ამ მასწავლებელთა საშუალებით
გაიყნო შალვა როგორც ქართულ და რუსულ საოპერო შემოქ-
მედებს, ასევე მსოფლიო მუსიკალური კულტურის უდიდეს
მოდელურებს, რამაც იგი საკმაოდ მოზადებულ და სამეზრუნველ
მცემი ტექნიკით აღჭურვილი მნიშვნელოვანი მოზარდუნედ და
მუსიკოსად აქცია. შემდეგ მოდის თბილისისა და ლენინგრადის
კონსერვატორიებში ასპირანტურის წლები, რომელსაც იგი
ამთავრებს 1933 წელს.

იწყებს პედაგოგიურ მუშაობას თბილისის მუსიკალურ
სასწავლებლებში და მუშავაში. ამავე დროს იგი განაგრძობს
მუშაობას როგორც დირიჟორი. აყალიბებს რკინიგზელთა სიმ-
ფონიურ ორკესტრს, მართავს კონცერტებს, გულდასმით ეც-
ნობა ახალი სიმფონიური და საოპერო მუსიკის რეპერტუარს.
შალვა აზნაფიანაშვილი ამ პერიოდში ხშირად მოგზაურობდა
საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც იგი ქართული
მუსიკის დაუცხრომელ პროპაგანდას წეწოდა.

სიმფონიური მუსიკის შესანიშნავი კონცერტები ჩაატარა
მან მოსკოვში, ლენინგრადში, კიევი, სარკოვში, ოდესაში, ერე-
ვანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. საზოგადოება მას ყველაგან
დიდი აღტაცებითა და სიმპატიით ეგებებოდა.

შალვა იყო ქართული მუსიკის უდიდესი პროპაგანდისტი,

მესვეური და მოამაგე. ამ მოგზაურობით მან დიდი პატრიოტიკა
ტული საქმე გააკეთა.

შალვას დინტერეს აწენა მან ქ. მოსკოვში, ქართული ხე-
ლოვნებისა და ლიტერატურის პირველ დეკადაზე, 1937 წელს
მ. ბაღნიანიძის ოპერა „დარეჯან ციხერი“ და ვ. დოლიძის
ოპერა „ქეთი და კოტე“.

შალვა აზნაფიანაშვილის სახელთან დაკავშირებულია
ბევრი ბრწყინვალე და სასიხარულო მოვლენა ჩვენს მუსი-
კალურ დარგში, კერძოდ ოპერის თეატრის ცხოვრე-
ბაში.

ვის არ ახსოვს ჩვენი სახელგანთქმული და ქართველი
ხალხის უსაყვარლესი ქმნილება ზ. ფალიაშვილის „აბესალო-
მი“, შალვას მიერ მისი უნახესი და უფაქტესი კონძობების
გამოვლინება, ოპერის საყვარელი გმირების დიდი სიკვარულს,
მისი სინატიფის და სიწმინდის ჩვენება? მოიგონეთ ცეცხ-
ლოვანი და აღზნებული შიერი აქტი ჯ. ვერდის — „აიდა-
დანი“, დირიჟორის მაცურებელი რაღაც საივან მუსიკალურ
სამყაროში გადაკადავდა. დაუვიწყარია მ. მუსორგისკის „ბორის
გოდუნოვი“, რომელშიც უბრალო ხალხის სული და ნების-
ყოფა, მუფის კარის სიკრუე და თაღლითობა, კომპოზიტორის
მიერ ნიჭიერი კალმით მოხაზული ოპერის გმირთა ელვარე
სახეები — ასეთი ნიჭიერებით და სიყვარულით იყო ნაწევნები
დირიჟორის მიერ. ... ჩაიკოვსკის „იოლანტა“ როგორც პე-
როვნებით, სიმსჭაქით, შუა საუკუნეების მიახიბობით, ჯა-
ნაზხულის ყვავილოვნების, რაინთა გატაცების, ჯადოსნური
ტყის საყვარებისა და ბუნების იდილიის რომანტიკული სურ-
ნელებით იყო შესრულებული ეს შესანიშნავი მუსიკა შალვას
დირიჟორობით. მოიგონეთ აგრეთვე ჯ. ვერდის ოპერა —
„ოტელი“. ცოტა საქებარი კი არ გვექნება ჯაკე, ამ დიდი და
გამორჩენილი სასაბურთო კომპოზიტორის უკვდავი ქმნილების
შესრულების დახასიათებისათვის.

მაგრამ ყველაზე უკეთესად შალვა აზნაფიანაშვილი ახალ,
თანამედროვე მუსიკის ნაწარმოებებს ეციდებოდა. აქ, იგი
ყოველთვის პოულობდა თავისთავს.

განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის არეში
მოაქცედა ზოლმა შალვა თანამედროვე მუსიკის ახლად წარ-
მოშობილი ოპუსები.

შრომისმოყვარეობა და შრომისუნარიანობა შალვა აზნაი-
ფიანაშვილის როგორც დირიჟორის, დამასასიათებელი თვისე-
ბები იყო, იგი სახიათადებოდა მკაცრი და მკვეთრი, შეიძლება
იტყვას, ფოლადისებური რიტიმით, დიდი ნებისყოფითა და ხალი
გააზრებით. რამდენ ახალგაზრდა მუსიკოსს მიუღია შალვას
შესანიშნავი რჩევა-დარიგება და ფრიად საქმიანი, სასარ-
გებლო კონსტრუქცია. და შემდეგ, მუშაობის დამთავრებისას,
ეს იყო უბრალო, მჭვერმეტყველი, ხალისიანი და ხუმარა,
ცხოვრებისუნარიანი და სიციცქლეზე შეყვარებული ადამიანი,
რომელსაც უყვარდა ოსუნჯობაც, მოლხენაც და საქმიანი საუ-
ბარი ცხოვრების მრავალ სხვადასხვა სფეროში.

იშვითა პატავისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა შალ-
ვა ყველა მუსიკოსებს, განსაკუთრებით ორკესტრების რიგით
მუსიკოსებსა და მომღერალთა შორის. იგი მაღალი სულის
ადამიანი და დიდი დემოკრატი იყო. სასტიკად მომზობენი,

სამართლიანი საქმეში და ამავე დროს რბილი, სათნო, გულსხმიერი და ამხანაგური კერძო ცხოვრებაში.

ჩვენი სამშობლო შალვა აზმაფაზაშვილის იცნობს აგრეთვე როგორც კომპოზიტორს. მის კალამს ეკუთვნის მუსიკალურ ნაწარმოებთა დიდი რაოდენობა, რომლებიც დღესაც წარმატებით სრულდება. მან ორგანულად აითვისა ძველი თბილისის მუსიკალური კოლორიტი, რაც შემდეგში ქართულური და მოხეტიალი ფოლკლორის ინტონაციებით გაამდიდრა. ამის გამო, მისი მუსიკალური ენა თავისთავადი გახდა.

ამ ნაწარმოებთა შორის საკმარისია დავასახელოთ კანტატა „ყვარლის მთებს“, სიმფონიური პოემა „თბილისის სურათები“, სიმფონია, ოპერა „ხვევისებური გოგა“ (ა. ყაზბეგის მიხედვით), შესანიშნავი რომანსი „რონგურული“, ფრიალ სასიამოვნო ლირიკული საკუნძო სიმღერა „მწყემსური“, ელეგია ჩელოსათვის და სხვ. ბოლო ხანებში შეიძინა ინტენსიური და მუშაობდა მუსიკალური კომპოზიციის უამრავი. ამ მხრივ მას რამდენიმე მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს შესრულებული, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ა. ცაგარლის თემაზე დაწერილი მუსიკალური კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავს“.

თავადამებული და უნაგარო საზოგადო მოღვაწე შალვა აზმაფაზაშვილი ერთნაირი სიყვარულით და გატაცებით ეცილებოდა ყოველფერად დასა და პატარა საქმეს, ეწეობდა იგი მუსიკას, ღირთეობას, კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი სექციების მუშაობას, თვითმოქმედების ოლიმპიადებს, ახალგაზრდების ფესტივალებს, მუსიკალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოცემებს, თუ სხვა სამსახურებრივ და საზოგადოებრივ დავალებას.

ყოველივე ამას შალვა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით ზომავდა, იცნავდა ატარებდა უდიდესი სიმტკიცითა და ურყევობით. არ იცნავდა ზომიერება მუშაობაში, მთლიანად ეძლეოდა მას და ხშირად ავიწყდებოდა დასვენება. შალვა აზმაფაზაშვილი საქართველოს უმაღლესი საბჭოს სამივე მოწვევის დეპუტატად იყო არჩეული, იგი დიდ ხანს ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პარტიულ ორგანიზაციას, როგორც მისი პირველი მდი-

კანი. პარტიამ და მოაწვრობამ სათანადოდ დააფასეს შალვა აზმაფაზაშვილის ღვაწლი და მას მიენიჭებულ აქვს სხვადასხვა ჯილდოები და წოდებანი. მათ შორის 1947 წელს ოპერის თეატრის სხვა მოღვაწეებთან ერთად ოპერისათვის „ამავე ტარლისა“, მისი საუკეთესო დადგმისა და შესრულებისათვის მიენიჭა პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია.

პირველად შალვა აზმაფაზაშვილი თბილისის კონსერვატორიაში გაეცინა, ჩემი სტუდენტობის პერიოდში. მე ბევრი გაემეგნა მასზე როგორც ნიჭიერ მუსიკოსზე, როგორც სერიოზულ და დაუღალავ ახალგაზრდაზე, რომელიც მთელი სიყვარულით მუსიკის სამყაროში იმყოფებოდა. და აი ის დამეძებს მე, რექტორის დამიტრია არაყიშვილის დაგალებით, რათა ჩამოსული სვანების გუნდის სიმღერები გადაეგვანა ფორტეპიანის ფირფიტებზე. სვანების გუნდი პროფ. აკაკი შანიძის ინიციატივით უნივერსიტეტს ჩამოუყვანია.

კონსერვატორიაში ყოფნის დროს შალვა სწრაფად მიიწვევდა წინ. ჯერ კიდევ სტუდენტს, ხელმძღვანელობდა რეჟინგულთა სიმფონიურ ორკესტრს. წერდა უკვე გამოსაყვებელ მუსიკას, თეორიულ საგნებში ამუცადინებდა სტუდენტებს.

ჩვენ დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა. მასსოფს, ღამის ორ საათამდე, ტრამვაის უკანასკნელი ვაგონის წასვლამდე, რუსთაველის ახლანდელ ძეგლის ახლის ვიდრეტი ხოლმე და მუსიკაზე საუბარს დასასრული არ ჰქონდა. ეს ხდებოდა რომელიმე კონცერტის დაბარუნების შემდეგ. დაწერილებით ვარჩევდით ყველას და ყველაფერს, რაც მუსიკასთან იყო დაკავშირებული. ასე იყო კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, შალვა სხვა საქმიანობასთან ერთად ჩემი ნაწარმოებების საუკეთესო და უბედლო შემსრულებელი გახდა, რისთვისაც მე მას განუთხოველი პატივისცემითა და მაღლობის გრძნობით ვისინებე.

კიდევ უფრო მკავიოდ არის გამოკვეთილი გ. ჯიბლაძის წიგნის იფორი ხაზი წერილში: „თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკის არსება“, „პლენანოვის ესთეტიკური იდეალები“, „სისხადვის პრობლემა მხატვრულ შემოქმედებაში“, „რენესანსის ესთეტიკური იდეალები“, მეგორიალში „ხელოვნების შორეულ ძეგლთან“. მართალია, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ავტორის მიერ ჰოლანდიის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის და ევროპის სხვა ქვეყნების მუხეუმებში, თავმოყრილია ხელოვნების ძეგლების უშუალო ნახვით გამოწვეულ შთაბეჭდილებათა სისტემატიზაციას. მაგრამ იგი თავის მნიშვნელობით იფორის სედება ლიტერატურის ძირად ვაგინცდებდა დაეკვირვებოდა უბრალო დღიურების (ჩანაწერების) ფარგლებს.

ვინც თანამედროვე საბჭოურ ესთეტიკურ ლიტერატურას თვალს ადევნებს, არ შეიძლება არ დაეკვირვებოდეს იმაში, რომ გ. ჯიბლაძის წიგნი უკანასკნელ წლებში გამოსული ერთადერთი ფუნდამენტალური ნაშრომია, რომელშიაც ფართოდ არის მიმოხილული ესთეტიკური აზროვნების ისტორიის პრობლემები. მრავალწიგნიანი ამ სფეროში (ე. ი. ესთეტიკური აზროვნების ისტორიის სფეროში) გ. ჯიბლაძის კვლევის ინტერესი. არისტოტელის „პოეტიკა“ და რენესანსის ჰოქის გენიალური მხატვართა (ლენონარდო და ვინჩი, რაფაელი, მიქელანჯელო და სხვ.) ესთეტიკური იდეალები, რუსთაველის ესთეტიკური ბრალემატიკა და ქართულ პოეტიკურ-ესთეტიკურ ტერმინთა ისტორიის საკითხები, გრიბოდლოვის ფილოსოფიურ-მხატვრული კონცეფცია და გ. ვ. პლენანოვის ესთეტიკის ძირითადი პრინციპები, მარკს-ენიშელის სინთეტიკური თეატრის თეორია და ქართული თეატრალური აზროვნების განვითარების მნიშვნელოვანი მომენტები — აი მოკლედ ზოგიერთი ის საკითხი, რომელიც გ. ჯიბლაძის წიგნში პოულობს გაშუქებას.

როგორც ცნობლია გ. ჯიბლაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი საბჭოთა მკვლევართაგანია, რომელსაც თავისი კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიის მნიშვნელოვან შესწავლა გაუხდია. სწორედ მის შრომებში (მაგ. „ხელოვნება და სინამდვილე“, „კრიტიკული ტეპუდენი“ და სხვ.) ჰქოვა სისტემატიკური, მარქსისტულ-ლენინური გაშუქება ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიის ისეთმა მნიშვნელოვანმა მომენტებმა, როგორი-

ცა ფეშანგის რეალისტური კონცეფცია, თეიმურაზ პარველისა და არჩილის მხატვრული შეხედულებანი, მამუკა ბარათაშვილისა და თეიმურაზ მეორის ესთეტიკა, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, აკაკის ესთეტიკური იდეალები, ყაზბეგის ესთეტიკა და ა. შ. გ. ჯიბლაძის სარეცენზიო წიგნი „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ უწინარეს ყოვლისა ყურადღების იპყრობს სწორედ იმ აზრით, რომ იგი წარმოადგენს ამ შესანიშნავი (და უადრესად საშირო) ტრადიციის შემდგომ გაგრძელებას. (მაგ. ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიის შესწავლისადმი არის მიძღვნილი წერილები: „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემატიკა“, „პოეტიკურ-ესთეტიკურ ტერმინთა ისტორიისათვის“ და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი, რომელიც რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, წარმოადგენს პირველ სერიოზულ ცდას დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის სულხან-საბა ორბელიანის ესთეტიკური პრინციპების გარკვევისა.

მაგრამ „ესთეტიკური თეორიის საკითხების“ ძირითადი ამოცანა, როგორც ეს ხაზგასმით არის აღნიშნული წიგნის შესავალში, გამოიხატება იმაში, რომ „გამოამაჟკაროს იდეალისტური ესთეტიკის შინაგანი წინააღმდეგობანი, შეძლებისდაგვარად მოგვეცეს ხელოვნების, მეტაფიზიკური თეორიების ზოგიერთ ძირითად დებულებათა კრიტიკა და გაარკვიოს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის რამდენიმე შემოქმედებითი პრინციპი“. ამიტომ მოსალოდნელია წამოიჭრას კითხვა: რატომ არის, რომ გ. ჯიბლაძის სარეცენზიო წიგნში აგრევიად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ესთეტიკური აზრისა და ხელოვნების ისტორიის პრობლემებს? საქმე იმაშია, რომ აკად. გ. ჯიბლაძე ესთეტიკური თეორიის საკითხებს განიხილავს არა აბსტრაქტულად, არამედ მხატვრული აზროვნების ისტორიის მნაშენელოვანი მიმენტების კრიტიკული ანალიზის შუქზე. და ეს არის სწორედ გ. ჯიბლაძის წიგნის ერთ-ერთი განმასხვავებელი თავისებურებანი. განმარტავს რა აღნიშნულ გარემოებას, გ. ჯიბლაძე, შესავალში წერს: „ჩვენ ყოველთვის ვგვიბადა, რომ ზოგად რ ესთეტიკური თეორია წინ ვერ წაიწვეს, თუ შესაბამისად კონკრეტულ პირობებში მათი კონკრეტული კონკრეტული საკითხები არ იქცევა. ამგვარად მათი ბუნებრივი ურთიერთობის ანალიზს შეუძლია დაგვეხმაროს კონკრეტულია და ზოგადის დასისტემაში, როცა ყველაფერს მთლიანობაში მივაქცევთ. უეშველად განათვლება ზოგადი ესთეტიკური თეორიის არსება, რომელშიაც კონკრეტულია და ზოგადი ისაქვენ სკვლა თვით ზოგადს კონკრეტულს ვაკრეკვასაც შეაძლებინებუხს“. როგორც მოყვანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, გ. ჯიბლაძის წიგნის ძირითად მიზანს წარმოადგენს ესთეტიკური აზროვნების არა ისტორია, არამედ თეორია, რომ ისტორია აქ მხოლოდ მასალა, რომე-



ლიც ვასს უნათებს და სისხლსაცხს ხდის თეორიას. ესთეტიკური თეორიის რა პრობლემებს განიხილავს გ. ჯიბლაძე თავის წიგნში? უნდა ითქვას, რომ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია. საქმე იმაშია, რომ გ. ჯიბლაძე სარეცენზიოს რა გარკვეული შესაძლებლობით (წიგნის ტექვადობა, ისტორიული მასალის მრავალმხრივი ფონი და სხვ.) მხედველობის გარეშე არ ტოვებს თითქმის არცერთ საკითხს, რომელიც დღეს ესთეტიკური აზრისა და ხელოვნებათმცოდნეობის ყურადღების ცენტრში დგას. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მიანც ვინდა გამოვყოთ და სახე გავუსვათ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორცაა მაგ. საკითხი ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის შესახებ, რეალიზმის, როგორც მხატვრული შემოქმედების საფუძვლისა და კრიტიკიუმის შესახებ, ხელოვნების საზოგადოებრივი როლისა და ფუნქციების შესახებ, მშენებრების ბუნებობისა და სახეების შესახებ, მხატვრულ შემოქმედებაში სიხადავისა და მალალოსტატობის შესახებ, სცენური გარდასახვის თავისებურების შესახებ. და ა. შ. ეყრდნობა რა მხატვრული აზროვნების ისტორიისა და პრაქტიკის საფუძვლიან ანალოზს გ. ჯიბლაძე ყველა ამ საკითხის გარეშე აკეთებს დასკვნებს, რომელთაც უადრესად დიდი

თეორიული და პრაქტიკული) ღირებულება გააჩნიათ. მაგალითისათვის შეიძლება დაგვესახელებინა რეალიზმის პრობლემა.

როგორც ცნობილია უკანასკნელ დროს ჩვენს ესთეტიკურ ლიტერატურაში, როგორც კასავალი ჰოვა „კონცეფციამ“, რომლის მიხედვითაც რეალიზმი მართოდენ მე-19 ს. მოვლენაა. არა გვეონია, რომ ახლა საჭირო იყოს აღნიშნული მტკიცების მავნეობის შესახებ ლაპარაკი. მრავალჯერ უბრუნდება რა რეალიზმის პრობლემას („თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკის არსება“, „ესთეტიკური პროლეგომენები“, „რენესანსის ესთეტიკური იდეალები“ და სხვ.). გ. ჯიბლაძე დაჰაჯერებულად უჩვენებს, რომ რეალიზმის საერთოდ მხატვრული შემოქმედების შინაგანი კანონია, რომ მისი (რეალიზმის) ისტორია ისევე ძველია და შორეული, როგორც საკუთრივ ხელოვნების ისტორია.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა ისევ მემორიალის „ხელოვნების შორეულ ძეგლებთან“ ვარშემო, როგორც ზემოთ უკვე ნათქვამი იყო მემორიალის საერთო მნიშვნელობა სრულებითაც არ შემოიფარგლება „ლიტერატურის უშუალო განცდებითა დაკავშირებული უბრალო ჩანაწერების“ ჩარჩოებით მოფლთო ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის დრმა ცოდნა გ. ჯიბლაძის შესაძლებლობას აძლევს არამარტო იმისა, რომ ხელოვნების შორეულ ძეგლებს კვლადაკვალ (და შუქზე) გაიზაროს ესთეტიკური თეორიის აქტუალური პრობლემები, არამედ იმასაც, რომ გამოსთქვას ცალკეული მოსაზრებანი, რომელთაც უღრესად სერიოზულა მნიშვნელობა შეიძლება: პკონდეთ ხელოვნების ისტორიის კონკ-

რეტული საკითხების გარკვევისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აკად. გ. ჯიბლაძის პოზიცია ლაოკონის სკულპტურის ვარშემო ატეხილ დაკავში.


ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ინჟინერ ერონ ბალანტის მიერ ტერენის ზღვის ნაპირზე მდებარე პატარა სოფელში გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა ანტიკური ხანის სკულპტურული ძეგლი. გარკვეულმა მონაცემებმა (მასალა, სტრუქტურა და სხვ.) სპეციალისტებს საფუძველი მისცა გამოსთქვათ ვარაუდი იმის შესახებ, რომ აღმოჩენილი ძეგლი მოსალოდნელია ანტიკური შედევრის — ლაოკონის ორიგინალი ყოფილიყო. აკად. გ. ჯიბლაძემ თავიდანვე საეჭვოდ მიიჩნია მსგავსი ვარაუდი და მემორიალში „ხელოვნების შორეულ ძეგლებთან“ მკაფიოდ გამოსთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემის მიმართ. ამ რამდენიმე ხნის წინათ მან (გ. ჯიბლაძემ) იტალიადან მიიღო წერილი და წიგნი „სპერლინგში წარმომებული გათხრების შესახებ“, რომელიც მთლანად და საცხებით აღასტურებს მემორიალში ლაოკონის პრობლემის გარშემო წამოყენებულ მოსაზრებებს¹. ეს ქართველი მეცნიერის დიდი გამარჯვება იყო.

ასეთია მოკლედ გ. ჯიბლაძის წიგნის „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ საერთო (ზოგადთეორიული) მნიშვნელობა. სრულიად უდავოა, რომ იგი დაიკავებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს ქართულ ესთეტიკურ ლიტერატურაში.

¹ იხ. გაზ. „კომუნისტ“ 1963 წ. 9 იანვარი.

ვლ. კაიდარაშვილი

მშენებლობა



კომკოზიტორი

ერეკლე ჯაბაღარი

ამირან ცამციშვილი



ელოვნება სქელტანიანი რომანი ან ბატალური ეპოპეა როდია. იგი ფუნჯის ერთი მოსმით ან კომპოზიტორის რამდენიმე აკორდით მიღწეული მთელი შემოქმედებაა, რომლის ლაზათი გულქვა ადამიანსაც კი გულში ხედება მგრძობიარედ და ესთეტიკურ ნეტარებას ანიჭებს. ხელოვნების ოდნავ მოტრფიალესაც — კი ნატიფად ნაძერწი მუსიკის ერთი ტონი, ერთი აკორდი ემოციურ სიამოვნებას განაცდენინებს, კეთილ გრძობებს აღუძრავს, აღაფრთოვანებს, ამხნევებს. მუსიკამ ქართველი ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა. ამიტომ ჩვენი ერის მზარდი ინტერესი ხელოვნების ამ დარგისადმი სავსებით უსაგებია.


რევოლუციამდე საქართველოში მუსიკალურ განათლებაზე ბევრი ოცნებობდა, მაგრამ კონსერვატორიის უქონლობის გამო ახალგაზრდობა გულში იკლავდა თავის საწადელს. მხოლოდ ზოგიერთი თუ მოახერხებდა გაჭირვებით ვრცელ რუსეთში ან სასულარგარეთ გამგზავრებას ცოდნის შეძენის მიზნით, მაგრამ უმრავლესობა უცხო მიწაზე ვერც სახელს იხვეჭდა, ვერც სათანადო დაფასებას იმსახურებდა და მთელი შრომა თუ ღვაწლმოსილება საბოლოოდ ფუჭი რჩებოდა.



ერეკლე ჯაბაღარი

ასეთი პლევადის წარმომადგენლებია დასავლეთ ევროპაში მოღვაწე მუსიკოსები ირაკლი ორბელიანი, ნიკო მალაშვილი, გიორგი ჭავჭავაძე, ჟორდანიას და ცნობილი კომპოზიტორი ერეკლე ალექსანდრეს ძე ჯაბაღარი, რომელსაც ისე გატაცებით უყვარდა სამშობლო, ისე სურდა დაბრუნება, ისე ოცნებობდა ამაზე უკანასკნელ წუთამდე, რომ თუ ცოცხალი არა, მკვდარი მაინც გადაიტანეთ, მანამ ჩვენ ცოცხალნი ვართ. ეს არის ჩვენი ნატურა — გვემუდარება ერეკლეს ძმა ილია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ჯაბაღარი, სახალხო განათლების კომისარიატის გადაწყვეტილებით, თბილისის კონსერვატორიის პროფესორად მიიწვიეს. იგი გამომგზავრების თადარიგსაც შეუდგა მუსიკოს ძმა შოთასთან ერთად და უსახსრობის გამო სამგზავრო თანხას ელოდა. 1923 წელს პარიზიდან იმუდარებოდა: „ვალის გადასახდელად, სამოსელის საყიდლად და სამგზავროდ გენუკვით, თუნდა ვალად თანხა გამომიგზავნეთ. მყის წამოვალ თბილისს,





ერველი ჯაბაღარი
ბრიუსელში

ტებით დაურა ლისტისა და გრიგის ნაწარმოებები. 1908 წელს კი ერველე უკვე ოტობარობს ქართველი სტუდენტებისაგან შემდგარ მოძღვრალთა გუნდს ბრიუსელის საკონცერტო დარბაზში. საღამოს პროგრამაში შედიოდა ვეროპული მუსიკალური ნაწარმოებები, ქართული სიმღერები და ცეკვები. მეორე განყოფილებაში ერ. ჯაბაღარი რეალურ ასრულებდა სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებებს, მათ შორის საკუთარსაც. საზოგადოებას განსაკუთრებით მოსწონდა ქართული მელოდიების ჯაბაღარისეული იმპროვიზაცია.

16 წლის ერ. ჯაბაღარმა 1907 წელს ბრიუსელში ტენორისათვის დაწერა ქართული რომანსების ციკლი და „სიტაბუკის“ სათაურით ქართულ ენაზე გამოცა ლოსანაში. მასში შესულია: „სული ობოლი“ (5. ბარათაშვილის ლექსზე), „ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა“ (ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილ ჰაინეს ლექსზე), „გია მას, ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად“ და „სატრფო“ (ი. ჭავჭავაძის ლექსებზე).

ერველე სერიოზულად მეცადინებდა განათლების მისაღებად — ბევრს მუშაობდა საშემსრულებლო ხელოვნების და უფლებებისათვის, ტექნიკის დახვეწისა და სრულყოფისათვის. მაგრამ შეტად მიიშე იყო მისთვის გარემო. უცხო და მკაცრი ყოფა თავის დაღს ასეამდა ერველესა და მის ძმებს. მორბილებს შერჩათ შობილების, მამულის, თანამომემთა სიყვარული, მაგრამ პატარა ილუშას, შალვას და შოთას სვედიან სახეზე აპოკრიფიზადით ისეთ პირობებს, რომლებიც მათ შესწირებაში ყველაფერს თანდათან ფანტაჯდა. მათ არ იცოდნენ რა იყო მამა, საქართველო და მისი სიყვარული. ერველეს სიტყვით: „ექვსი ნიჭიერი, ჯანსაღი კაცი უბედურების გზას ადგენს“. მიუხედავად სიმძლევებისა, ერველე იხტიბარს არ იტყვდა და 1908 წლის აგვისტოში ბელგიიდან იწერებოდა: „ვიწყებ ბრიუსელიდან და ვათავებ საქართველოში. თუ ხელი არაფერმა შემიშალა, უთუოდ მოვივლი ქვეყნიერებას“.

1909 წლიდან ერ. ჯაბაღარმა კონცერტების მცირე შემოსავლით ფულის შვრთვება დაიწყო, რათა იტალიაში მასკანისთან წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ წადილ არ გაუშვეს იტალიაში. წლის მიწურულს განზრახვა უარყო და ბრიუსელშივე ვენას მიმართა სწავლის დასაშორებლად. „სწორედ ახლა, — შესწიოდა იგი წერილობით ამას ვასო რესილანტეს, — მაშაშვილ ჯიბეები გაფეხიკა, ევროპაში კი უფულოდ ჩვენი კაცი მზლად გამოჰყოფს თავს, რაც უნდა ნიჭიერი იყოს...“ ცხადია, ვენაში რევერანსებით არ შეხვედრიან და ცოდნის დაუფლებისათვის მკაცრი და სერიოზული შემოწმება გაიარა. ჰაბუკმა პიანისმა ბრწყინვალედ დაიჭრა გამოცდა. მისი ხელმძღვანელობა თორიულ კურსში ივისრა განსწავლულმა, გამოჩინულმა კომპოზიტორმა, დირიჟორმა და მუსიკათმცოდნემ რიჩარდ ფრანც ჟოზეფ ჰობერგერმა (17. VI. 1850, გრაზუნი 28. X. 1914, ვენაში), საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა კი ვენის კონსერვატორიის პროფესორმა, ვირტუოზ-პიანისტმა და ფორტეპიანოს დიდმა მეთოდოლოგმა იულიუს ვოლფსონმა. მუსიკალური ტრადიციებით განთქმულ იტალიაში ერ. ჯაბაღარი მონდომებით შეუდგა მუშაობას, თან ტაქტიონებოდა და იფიციებოდა: „დღეს მე ვარ ვენაში, საცა წარმოშობილან და საცა დამარხულან დიდი მუსიკოსები, დაჯივარ იასო

შეუვადები თანამდებობას, გაგმართავ კონცერტებს, ოპერას და შემოსავლით გადავიხდი თქვენს ვალს. აქ აუტანელ გაჭირვებას ეიტანო“¹. მაგრამ სესხი ვერ მიიღო, ვერც თვითონ იშოვა და სამშობლოს ნატრულმა ყმაწვილობიდან მოიღო თავისი ბოთოქარი ცხოვრება საზღვარგარეთ გაატარა — თუმცა არსებით, გრძნობით, შეგნებით იმყოფებოდა დაუვიწყარ საქართველოში, რომლის სიყვარული უცხო მიწაში თან ჩაიტანა.

ერთ-ერთ უჩინო საზოგადო მოღვაწეს, წიგნებისა და პერიოდიკის გამომცემელ ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბაღარს (1862—1933), უფროსი შვილის გიორგის შემდეგ, 1891 წლის 17 ოქტომბერს თბილისში შეეძინა ერველე, რომელმაც ყრმობაშივე გამოიჩინა მუსიკის დიდი სიყვარული და მიღრეკილება. 1902 წელს გიორგი და ერველე ბელგიაში გაგზავნეს სასწავლებლად. 1904 წელს, როდესაც რევოლუციური მოძრაობა გაძლიერდა ალექსანდრემ მეუღლე მანანასთან (რესილანტის ქალი) ერთად ოთხი ვაჟიშვილი, ვანტანგი, ილია, შალვა და შოთა გაისტუმრა ბელგიაში და მათ სწავლა-ღმრთაუცხად გაისარჯა.

ბრიუსელში ქართველთა მცირერიცხოვანი კოლონია რუსებთან ერთად მართავდა სათესტომო საღამოებს, რომლებზედაც ჭაბუკი ჯაბაღარი უკრავდა კლასიკოსთა ნაწარმოებებს. ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები და ბელგიელი კომპოზიტორები ერველეს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 1906 წელს ერთ-ერთ საღამოზე ლიეჟში მან წარმა-

¹ თეატრალური მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 8 — 15089.

ნავალზე და მსურს, — ჩემს პატარა ქვეყანას, რაც შემეძლე-
ბა ცოდნით თუ დიდი სურვილით მეც რამე შევმატო და ფუ-
ჭად არ ჩავატარო მომავალი სიცოცხლე“. მსოფლიო მუსიკა-
ლური კულტურის, მტკიცედ ჩამოყალიბებული ავსტრიული
სკოლის მიღწევათა და კომპოზიციური თეორიების ფუნდა-
მენტალურ შესწავლასთან ერთად მშობლიურ მხარეს მოწყვე-
ტილი ახალგაზრდა ხარბად დაეწავა ქართულ ხალხურ მუ-
სიკას. იგი გრძობდა, რომ თუ კომპოზიტორი არ იცნობს
ეროვნულ პანეებს, თავისი ხალხის შინაგან სამყაროს, სულს,
მისწრაფებას, თუ არ სუნთქავს მისი ცხოვრებით, თუ მკვიდ-
რად არ ღვას მშობლიურ მიწაწყალზე, ვერაფერ სასიკეთო
ეროვნულს ვერ შექმნის. ვ. რცხილაძეს ტყუილად როდი
სთხოვდა: გთხოვ მომწერო ჩვენი ხალხის მისწრაფება. გახეთე-
ბი მოგედის, მაგრამ აქიანდ ვერაფერს კარგს ვერა ვკითხუ-
ლობთო.

მუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდანვე მოცილებული იყო
სამშობლო მხარეს, ქართული მიწის სუნთქვას, ერეკლე მაინც
კარგად იცნობდა და ფლობდა არა მხოლოდ მშობლიურ მუ-
სიკასა და სიმღერებს, არამედ თავისი ქვეყნის ენასაც, მდი-
დარ ლიტერატურას, ძველ პეროიკულ ისტორიას, ზნეჩვეულებ-
ბას, ფოლკლორს და მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ერეკლეს
მადლიანი კალმით შექმნილ გრძობათა ანარეკლში ოქრო-
მკვდითაა ჩაქოვილი ქართულ-კახური სიმღერების ჩინებულნი
მცოდნე დედის, შაშინელი მანანა რცხილაძის ტკბილი და
წმინდა პანეები, დედის, რომელმაც ერეკლეს სიტყვებით, თავი-
სი დიდი სული ჩააბერა თავის შვილებს, ჩასაძსა თავისი
დიდი სიყვარული სამშობლოსადმი და თუ თვითონ ვერ შექმნა
რაც უნდოდა, სამაგიეროდ ვაჟიშვილებს უანდობდა სამშობლოს
სიყვარულს და თვადიდებდა. უცხოეთში მოღვაწე კომპოზიტორ-
ის შემოქმედება და მუსიკალური მეტყველება ძირითადად
ქართული სინამდვილით იკვებება, რომელიც თავანკარა ხალ-
ხური და ქალაქური ფოლკლორიდანაა აღებული, ტმქტი კი
გამორჩენილი ქართველი პოეტებისაგან უსესხებია და მუსიკას-
თან ოსტატურად შეურწყავს.

ფორტეპიანოსა და ჩელოს მუხნებარე მეთსანმა 1913 —
1920 წლებში შექმნა მცირე და დიდი ფორმის 20-მდე ნაწარ-
მოები: რომანსები, პრელუდები, ვარიაციები, კონცერტები
ფორტეპიანოსა და ვიოლონჩელისათვის ორკესტრთან ერთად.
აღსანიშნავია: „მოკვდა ჟორჯი“, „გიგიტ“, „რიჩარდ ჰობერ-
გერის სხოსნას“, „სულთ ბორჩოტო“, „მერანი“, „ქართული
ლეგენდა“, „თბილისური“, „რანინა-ნანუნი“, „ინდაურები“,
„გელის პანეი“, „განცილილი წუთები“, „აღმოსავლური სიმ-
ღერა“, „მაჟორისა და მინორის კონცერტები“ და სხვ. ამ სა-
თაურების მიხედვითაც აშკარაა, რომ ერ. ჯაბადარის მუსიკა-
ლური ლეიტმოტივი ძირითადად ქართული სინამდვილით იკ-
ვებება და მუსიკალური მეტყველება უმთავრესად ქართუ-
ლია. თუმცა სხვა თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში ქართუ-
ლი პანეი უნებურად გაფერმკრთალებულია, მაგრამ აღმოსავ-
ლურ სტილში შერწყმული ქართული სული მაინც გამოსჭვი-
ვის — ზოგან აშკარად, შესამჩნევად და ზოგან მუფარვით.
ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ერ. ჯაბა-
დარი ცდილობდა თავის ნაწარმოებებში მშობლიური პანეები
კლასიციზმთან დაეახლოებინა. როგორც არ უნდა იყოს,


ერეკლე ჯაბადარი
და მისი მეუღლე უნ-
გრელი მუსიკალი-
ზატრე ბარკოზი



მშობლიურ მიწას, ხალხს მოწყვეტილი კომპოზიტორის შე-
მოქმედების გამა თუ მოდღვაცია, იგი ჩვენი მუსიკა-
ლური კულტურის შემადგენელი და განუყოფელი ნაწი-
ლია¹.

ქართველ კომპოზიტორ-პიანისტს ყველაზე მეტად სახელი
გაუთქვა „ქართულმა რაფსოდიაში“, რომელიც დაიწერა 1913
წლის იანვარში, მაშინ, როდესაც ფესს იდგამდა ქართული მუ-
სიკალური კულტურა, არ გვეჩონდა სრულყოფილი სიმფონია,
ოპერა. ჩვენი საუფის მარკალტები „დაისი“, „ახეალთო და
ეთერი“ ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. ამიტომაც მეტად დიდაა
„ქართული რაფსოდია“ ისტორიული ღირებულება და რადან
ამ ქმნილებას დღესაც არ დაუკარგავს მსატრული მნიშვნე-
ლობა, ამიტომ ქართულ კლასიკურ მუსიკაში თავისი ადგილი
უნდა დაიკავოს. აღსანიშნავია, რომ უცხოეთის პულტების ეს
განუყრელი ნაწარმოები დღესაც გამოირჩევა მუსიკის სილა-
ლით, სინალისით და მელოდიურობით. ყველა მუსიკოს-შემს-
რლებელთა საშინაო და სანატრელ ქალაქში 21 წლის ჭაბუ-
კი პირველად გაიხიდა ამ ქართულ პანეებზე აქვერებული
მუსიკით. შტრაუსის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის სავა-
ნები უამრავ შემოქმედ-შემსრულებელს უტებნია დაფნის
გვირგვინი და მუსიკალური ტრადიციებით განებივრებული სა-
ზოგადოების ყურადღება. ვენის მკაცრი სამსჯავროს წინაშე
ერთოულებს თუ მიუღწევიათ დიდებისათვის, უზრავლესობა —
კი დაუნდობლ რეცენზენტს „ჩამოუწერია“. ახალგაზრდა დე-
ბიუტანტის ბედ-იბნალობი სწორედ ამ უღმობლო, თუმცა სა-
მართლიან განაჩუნზე იყო დამოყიდებული და აი, აჭრელებუ-
ლი აფიშები იტყობინებოდა, რომ Musikvereinsal-ში 1913
წლის 7 მარტს ერეკლე ჯაბადარი, გამოჩენილი ჩხეი კომპო-

¹ იხ. წერილი: ე. ჯაბადარის უცნობი ნაწარმოებები. — „თბილ-
ისი“, 28, VI, 60.




ზიტორის ოსკარ ნედალის დირიჟორობით გამართავდა კონცერტს, რომლის პროგრამაში შედიოდა კლასიკოსთა ნაწარმოებები და სასოფადოებისთვის უცნობი „ქართული რაფსოდია“.

ხანგრძლივად და მუყაითად ეშვადებოდა ერეკლე ამ საპასუხისმგებლო გამოსვლისათვის. კახური სიძინჯის მიუხედავად, იგი ღელავდა თავის მასწავლებელ იულიუს ვილფსონთან ერთად. მაგრამ ტემპერამენტითა და ექსტაზით აფლერებულმა კონცერტებმა (გრიგის A-moll და შოპენის E-moll) გაფანტა ეჭვი და გაყინული სახეებიც გაალხო. დასასრულს, მქუხარე ოვაციებში, კმაყოფილი ოსტატი და ბუნდოვანი შვიგრილი ერთმანეთს გადაეხვივნენ. აღტაცებამ კულმინაციას მიაღწია ფინალში, როდესაც პიანისტმა „ქართული რაფსოდია“ დაუკრა. მერე მილოცვები, მეგობართა ხევენა-კოცნა, საჩუქრები, ყვავილები, ქება და მთრე დღეს შეფასებაში თავდაჭერილი, ხოლო ზოტაში ძუნწი პრესის აღფრთოვანებული რეცენზები: „ჩვენ გაცივანით იშვიათი ტალანტის, ფრიად ნიჭიერი პიანისტი ბ-ნი ერეკლე ჯაბადარი, რომელმაც სამუსიკო წრის დიდ დარბაზში ორკესტრთან ერთად გამართა თავისი პირველი კონცერტი ნედალის დირიჟორობით. გრიგის კონცერტი C-A-moll და შოპენის E-moll მან შესრულა საოცარი ტექნიკით, თემის არტისტული გავებით, ლაზათით, ორიგინალური ყაიდით და სინაზით, რომელიც ლამაზი ელფრადობით პიანოში გადადიოდა. მისი საკუთარი რაფსოდია კ; რომელშიც სხარტადა გამოცემული ქართული ეროვნული მელოდები, საინტერესო იყო მოტივთა ორიგინალურობით და ტექნიკური შესრულებისას საორკესტრო ეფექტების ზომიერი გამოყენებით. ეჭვი არაა, რომ ახალგაზრდა პიანისტი მოიხვეჭს სა-


ხელს“¹. მეორე გაზეთი აღნიშნავდა: „დებიუტანტი ბ-ნი ერეკლე ჯაბადარი სასოფადოების წინაშე როგორც პიანისტი და კომპოზიტორი წარდგა თავისი „რაფსოდით“, რომელმაც მას საშუალება მისცა ეჩვენებინა თავისი ბრწყინვალე ტექნიკა. მის ზემოწერივ, გრძობით აღსავსე ტუმუს ჰქონდა რაღაც უსაზღვრო მომზიბლობა“². ვენის „კურიერიც“ გამოუმხურა ამ კონცერტს და აღიარა: „ბატ. ერეკლე ჯაბადარის სახით ჩვენ გაცივანით ერთ-ერთი დიდი კულტურის პიანისტი. თავიკი ქართული რაფსოდისის მუსიკით იგი გვიმტკიცებს, რომ ის არის კომპოზიტორი და პიანისტი მეტად მაღალი ტექნიკის, რომელსაც აღწევს მუყაითი და ხანგრძლივი, დიდი მუშაობით. მის მიერ შესთხული რაფსოდია ფრიად საინტერესოა და რადგანაც იგი ძლიერ მომზიბლავია, მალე უთუოდ სხვებიც შეაბრულენენ“³.

ახალგაზრდა დებიუტანტის წარმატებას ვრცელი რეცენზია მიუძღვნა გაზეთმა, რომელმაც, სხვათა შორის, ტექსტს გარდა, ნიჭიერი შემოქმედის პორტრეტიც მოათავსა. იგი წერდა: „7 მარტს ორკესტრთან ერთად გამართა პირველი ქართველი ვირტუოზ-პიანისტი ბ-ნი ერეკლე ჯაბადარის კონცერტი. ახალგაზრდა არტისტმა დაუკრა გრიგის „კონცერტი“, შოპენის E-moll და ქართულ პოპულარულ თემაზე დაწერილი საკუთარი „რაფსოდია“. ამ უკანასკნელით მან მოიპოვა დიდი წარმატება, დამტკიცა განსაკუთრებული კომპოზიტორული ნიჭი და თანამედროვე ორკესტრთან შემსატკიბილების უნარი. უცილო ტექნიკამ, აღმოსავლურმა მგზნებარე ტემპერამენტმა და ინსტრუმენტის პარმონიულად აქლერებამ პრესასა და სასოფადოების სახეებით დასასუთრებული წარმატება მოუპოვა“⁴. დამოლოს, ერთი ჟურნალი მკითხველს ამცნობდა: „უკანასკნელი კვირის განმავლობაში გამოსულ პიანისტთა შორის, პირველყოლისა, ადვინმზავთ იულიუს ვილფსონს, რომელმაც დაგვიმტკიცა თავისი მნიშვნელოვანი ტექნიკურ-მუსიკალური თვისებანი და მის მოწაფე ერეკლე ჯაბადარს, რომელიც, საბუნდოვროდ, მოგვევლინა გრიგის „კონცერტის“ ბრწყინვალე შესრულებით და „რაფსოდითი“, რითაც გამოამყვანა პოპობრ-გერთან მიღებული თეორიული ცოდნის ნაყოფი. ქართული რაფსოდია მისი საყურადღებო კომპოზიტორული ტალანტის ატესტატია“⁵.

ლაპრა „გულნარას“ დეკორაციის მაკეტო



¹ „Fremden blatt“, 40. III. 1913.
² „Neue Freie Presse“, 17. III. 1913.
³ „Sonn und Montagl Courier“, 40. III. 1913.
⁴ „Novyie Wremia“, 5(18). III. 1913.
⁵ „Illustriertes Wiener Extrablatt“, 1913, mars.



გამოჩენილი ავსტრიელი მწერალი, დრამატურგი, „ვენის პოეტი“ და ხელოვნებათმცოდნე არტურ შნიცლერი, უცნობი მელოდებით მიზიბლული, 1913 წლის 18 მარტს, ახალგაზრდა ხელოვან ბართით ატყობინებდა: „დიდად პატივცემულო ბ-ნი ჯაბადარი! მბატატიე, რომ მხოლოდ დღეს გითვლით გულითად მადლობას. სისარულით ვსარგებლობ ამ შემთხვევით მოგილოცით გამარჯვება, როგორც კომპოზიტორსა და პიანისტს. თქვენმა „ქართულმა რაფსოდია“ განსაკუთრებით დამაინტერესა. საუკეთესო სურვილებით შემადგომი წინსვლისათვის. თქვენი უმორჩილესი Arthur Schnitzler.“

ოფიციალური რეცენზიებისა და მრავალმეტყველო ბარათის ადრესატს, მართალია, ვენის საზოგადოებამ ვარდ-ყვავილები გადაუშალა შემოქმედების ცელთან გზაზე, მაგრამ ცხოვრებამ და სამშობლოში არსებულმა წესწყობილებამ ცივი წყალი გადაასხა მის ენუზიაზმს. 1913 წლის შემოდგომაზე უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი და ჩამოყალიბებული კომპოზიტორი დაბრუნდა სამშობლოში, იქ, სადაც პირველად დაიწყო მისი ავანტი. მერე საგარეოს მიაშურა, სადაც პირველად ჩაესმა ძველი ქართული მოგუგუნე საგალობლები. მოინახულა დედუღეთიც, სადაც ხშირად სმენია „მრავალგამიერი“, „იმული მუხასა“ და „ურმული“ — შრომელი ხალხის ტიალი ყფვის ენით ფრტყველი მღვდარე ცრემლი; მთელი კახეთი შემოიარა, სადაც სიამაყით ისმენდა „ვაფორენდი, შავო მერცხალოს“, „ლაშქრულის“ და „საჭიდაოს“ — აღმზენებ-მეომრულსა და მანუგეშებელ ქართულ პანჯს; სულგანაბული ყურს უგდებდა შემზარავ მოთქმით ტირილს, შეიღობზე დათალული მოხუცის გაეხას, ახალგაზრდა დედის „ნანიანას“ და კკლულე ქალ-ვაჟთა გაშაირებას — დაუწერელი ხზე-ჩვეულების წმინდა ანარკლს.

ერეკლე სანუკარ საქმეს შეუდგა, ინსტრუმენტი აამეტყველა, კალამიც ააბოქმედა და კიდევ ერთი რაფსოდია, კონცერტი, ტრიო და რამდენიმე რომანსი დაწერა, რომლებმაც ქართველ მუსიკისმცოდნეთა გიწრო წრეში დადებითი შეფასება

დაიმსახურეს. ერეკლემ პრესაშიც დაიწყო სტატიების ბეჭდვა მუსიკასა და მის მნიშვნელობაზე. იგი არჩევს სხვადასხვა მუსიკალურ მიმდინარეობას, ხალხის ევზოტიკურ მისწრაფებებს, განიხილავს ქართულ მუსიკას და დასძენს, რომ ამა თუ იმ მუსიკალური საუნჯის აღსაწერ-ვადმისაცემედ კომპოზიტორი იმავე ერის ღვიძლი შვილი უნდა იყოს, არ კმარა მარტო ცოდნა და ტექნიკა. „პაწია ქართველს ერს წარმოდგენილი რამ შეუქმნია... ერთი სიმღერა მეორისგან ხსიათის უცვლელად, საგრძნობლად განსხვავდება, თუნდ ერთი კუთხისანიც რომ იყფენ. ეს განსხვავება იზრდება, როდესაც შესადარებლად სხვადასხვა კუთხის სიმღერებს აირჩევთ... თუ რომ აღუფრედ დე მიუხე მართალს ამბობს, „დარდი კაცს აყეულიშობილებსო“, მაშ, ქართველის კეთილშობილური გრძნობა მისი დასურულებელი უმედურების მოწუფა. სინაზ-სილამაზით შეუდარებლად მრავალფეროვანი საქართველოს ბუნებაც დიდი მონაწილეა პანჯების შემოქმედებისა... აჯორდები, პარმონია ერთი მეორისგან ბუნებრივად შეხვებულა და იგი მონტონური არაა ხმების წყობათა ხშირი მოდულაციის გამო... ქართულ მუსიკას თან ახლავს სიკვლეუე, სინაზე, სიწმინდე, მეღნიერება, სიმხიარუდე, ეფში, გლოვა, ცეცხლი, უიმედობა... გურულმა კონტრაპუნქტებიც კი გამოჩხრიკა და არშისავით შემოავლო თავის სიმღერას. ამ მხრივ იმერტლიც არ ჩამორჩნენ. ოხუნერურად მხიარული და მასთან რაინდული სინაზით სასუე სასათი აშვარა სიმღიდრეა ამ კუთხის მუსიკისა... თუ შემოქმედს ცრემლით და ცეცხლით არ ეყვარება თავისი პანჯის დედა-ური, როგორ შეუძლია განიცადოთ ის, რაც პანჯის დედამ განიცადა? და თუ არ განიცდის განსაცდელს, როგორ იქნება მისი მუსიკა გულწრფელი? და თუ გულწრფელი არ იქნება, როგორ იქნება ლაბაზი?..“

ერ. ჯაბადარე გული შესტიკოდა, „ცოდნით იწოდა“, როდესაც ხედავდა შერყენილ ქართულ კილოებს უცხო კომპოზი-

1 ერეკლე ჯაბადარი. ცოტა რამ მუსიკაზე.—თბიშ# 6. IV. 1914.





ტორთა ნაწარმოებებში და კოლეგებს მგზნებარე მოწოდებით მიმართავდა: ნუ ნისცემთ უფლებას არამკვიფრე მოამბეებს ჩვენი წმინდათა-წმინდა მუსიკა, ჩვენი იაყენა წაბლწონი, კინწიკანები და პანდურით გამობტუმრებ მანდღანო. „ისინი ათასჯვარი ზაზუნის საკრავნი უნდათ გასაღონ და კაფე მანტანებში მოქციფთა გასართობად გამოიტანონ“¹. „ჩვენი მუსიკა, — დასაყენის იგი, — ღირსია პტოლომე და ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენივე ხელით დავაგდოთ მას გვირგვინი“².

როგორც ზვეით ვთქვით, ერ. ჯაბადარი თბილისში შეუდგა მუშაობას, მაგრამ ტუმბურულიოზის და მუცლის მიძიმე კატარის მიუხედავად, თვითმკურნებულური ხელისუფლების ჩინოვნიკებმა კომპოზიტორს მეფის მი ჯარში გაწვევა დაუპირეს, რომლის სიძულვილიც ბავშვობიდანვე შთაუნერგა მშობელმა მამამ. ჯერ კიდევ 1909 წლიდან ურთიერთობდა „რუსის ჯარში სალათობად“³. 1914 წლის დამლევს პარიზიდან, ალექსანდრე ივანეს-ძე სუბმათაშვილ-ოუნიანიდან გაგზავნილ ბარათში სამართლიანად ჩიოდა: „უბედური შემთხვევა, რომელიც ჩემს ცხოვრებაში შემოიტარა, ხელს მიშლის პირად და ჩამოვიდე მოსკოვში თქვენი რჩევა-შფარველობის გამოსახოვანად. სამხედრო სამსახური ჩემთვის უღაღად სიკვდილს უდრის. ამიტომ წამოსვლა ვაპირებ, რადგან თანამემამულეთა შორის, რომელთაც ამ საქმესთან ჰქონდათ ურთიერთობა, ვერ ვიპოვე ვერავითარი თანაგრძნობა და დახმარება“⁴.

საქართველოდან გაძევებულმა ერეკლემ საფრანგეთს შეაფარა თავი, ძირითადად პარიზში დასახლდა, მაგრამ მკურნალობის მიზნით ხშირად შვეიცარიასა და ნიცაში ცხოვრობდა, ზოგჯერ კი ავსტრიასა და უნგრული მეუღლის სამშობლოში იმყოფებოდა ხოლმე.

1916 წელს ერ. ჯაბადარმა შვეიცარიაში დაწერა დო-მინორის კონცერტი, რომელიც წმინდა ქართული ნაწარმოებია. ოთხი თვის ყოველდღიური ვარჯიშის შემდეგ ავტორმა საჯაროდ დაუკრა იგი, მაგრამ მიხვდა, რომ ტექნიკურ სიძნელეთა გამო პიანისტები კონცერტის შესრულებას არ იკისრებოდნენ და ამიტომ გადაწყვიტა მეტად ძნელი, ტექნიკურად რთული ნაწილები შეემუშუტებინა. სიცოცხლის ბოლოვამდე ასეც მოვიცა, ორკესტრისთვის შეცვლა კი ვერ მოასწრო, რაც მისმა მუსიკოსმა ძმამ შოთამ შესარულა ერეკლეს მითითებების მიხედვით. ამ კომპოზიციის პოეტური (Maestros) თუმა გამომეცემს სამშობლოსთან მიუტების სამუდამო განშორებისას განხილულ სულის ტანჯვას, მამულთან გულის გამგმირავ საბოლოო გამოთხოვებას. Adagio გამსჭვალულია ლტოლვილის სინანულით, გულისამაზუყებელი მორთინებებით და ოწყნით. Allegro ოპტიმისტურ, ცხოველყოფილ კანცენტს აფრქვევს. დაბოლოს, აღმაფრთოვანებული ფინალით კომპოზიტორი მსმენელს აგონებს თამარ მეფის გმირულ ეპოქას.

კონცერტი დო-მინორი ავტორის შემდეგ საჯაროდ შეასრულეს 1927 წელს შამა-ზელიოზსა და 1930 წელს პლეიელის

დარბაზში ლაშქროს კონცერტზე. იგი მოაშადა თბილისში რადიო-ტელევიზუცილობის სიმფონიურმა ორკესტრმა ზ. ხუროდის დირიჟორობით და პიანისტ ტ. ვოგოლაშვილის მონაწილეობით და 1962 წელს გადაიცა კიდევ.

1915-1919 წლებში ერ. ჯაბადარი მუშაობდა სამშემკმედეობით ოპერა „გულნარასა“, რომლის სიუჟეტი აღებულია იგი. ყაზბეგის „გულნარადან“, სადაც პერსონაჟება, კახელი გარდა, მუხომელ მთიელია ხალხის შეილებიცა გამოყვანილი. გულნარას მხატვრულ სახეში სიმბოლურად წმინდა, თავისუფლებების და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველო იგულისხმება⁵.

ერ. ჯაბადარის „გულნარას“ ლირებუტ, რომლის სრული ტექსტი პარიზიდან მივიღეთ, ეკუთვნის მუსიკის ავტორსა და მის მეუღლე მარგიტ ბარკვის. 1924 წლისთვის კომპოზიტორს იმედი მიეცა და ოპერის დადგამა ცდობობდა. საჭირო თაღარიგსაც შეუდგნენ. ცნობილმა მხატვარმა გონაროვმა, ილია ივანესის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე, შექმნა ქართული კოლორიტის მქონე ესკიზები, რომლის საფუძველზე მაკეტებიც კი დაამზადეს. გამოჩენილი მომღერალი თედორე შალიანი დაინტერესებული იყო „გულნარას“ დადგმით, ნივთიერად ხელმოცარულ ავტორს ქმედითად და მატერიალურად ემხრობოდა კიდევ. ერ. ჯაბადარის „გულნარას“ პარზის „გრანდ-ოპერის“ რეპერტუარშიც შეიტანეს და დადგამაც განიზრახეს. საამისოდ ოპერა სპეციალურ ავტორიტეტულ სამხატვრო კოლეგიაზე განიხილეს და დადგინეს. „ერეკლე ჯაბადარის ოპერა „გულნარას“ ისეთი დრამატული ნაშრომია, რომლის ემოციური სიუჟეტიც ვიციცას ქართული ადამის კვიანტესენიას. ჭეშმარიტი ქართული ლირიკის ფოლკლორული სიმდიდრე ავტორს გამოუყენებია წმინდა ნაციონალური ატმოსფეროსა და გარემოს შესაქმნელად. ვასილკარი რიტმის ცვეკვიმ მთლიანად ავტორს ეკუთვნის. ოპერაში სიმღერები ერთმანეთში იმედნად ჰარმონიულად არის შერწყმული, რომ თვითიულ სოლისტის თამაშად შეუღლა გამოავლინოს თავისი ვოკალური ხელოვნება. ყოველივე ბრწყინვალედ და მეცნიერულადაა განვითარებული და გარკვესტრებული.

მოქმედება XVIII საუკუნეში მიმდინარეობს. კოსტუმებს, დეკორაციებს ეგზოტიკური ელფერი აქვთ და აღმოსავლეთის მთელი სიმდიდრე და სიდიადეა მოცემული. ამ ოპერას შეუღლა დაიპირის ევროპისა და ორივე ამერიკის ყველა სა-ოპერო სცენა, კონკურენცია გაუწიეს, რომელიც გენგავთ არსებულ ოპერას.

„გულნარას“ მიზანსცენა უღაღად უდიდეს შენაქენს წარმოდგენს ეროვნული თეატრალი და მუსიკალური ხელოვნებისათვის საერთოდ. კერძო თვალსაზრისით კი იგი არამეკულბერტივი ხარისხისა და მნიშვნელობის საგანძურია საქართველოს კულტურისა და ცივილიზაციისათვის, რომელიც დღემდე სრულიად უცნობი იყო მსოფლიოს ხალხთა ფართო მასებისათვის“.

თითქმის ყველაფერი მზად იყო, მაგრამ „გულნარას“ დადგმა მეტად ძვირი ჯდებოდა, რის გამოც დამაშვრალი კომპოზი-

¹ ეტიტობულია შ. ჯამაძის წიგნიდან: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, თბ., „ხელოვნება“, ტ. I, გვ. 443.

² „თბილ“, გ. IV, 1914.

³ ავტორალია მუხუშუმის ხელნაწერთა ფონდი (ალ. სუბმათაშვილის არქივი) № 6 — 14414, გვ. 40.

⁵ შედარებით ვრცელად იხ. ჩვენი წიგნი: უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანი, თბ., „ხელოვნება“, 1962 გვ. 157.



ტორისა და მეცენატის წადილი განუხორციელებელი დარჩა. განსვენებულ კომპოზიტორის ძმები მზად არიან უსასყიდლოდ გადმოეცუენ „გულნარასა“ პარტიტურას, მოკლავიების მაკეტი და სხვა მასალები. ახლახანს გვეწოდნენ: „ჩვენ თანახმანი ვართ ოპერა გადმოვცეთ, თუ რომ მაისთვის აქ მოვაკლენენ. ჩვენნი უმთავრესი სურვილია, რომ ეს სამშობლოში დაიდგას, რო ამით ჩვენმა ერმა იამაყოს. ვაშადადებთ ოპერის ასლს რო შევეცადოს ჩაბარება, როდესაც ჩამოხვალთ“.

ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა ოპერა „გულნარასა“ ჩამოტანაზეც გავისაზოთ და დადგამაზეც ვიფიქროთ. მით უმეტეს, რომ კომპოზიტორის ძმების, ილიასა და შოთას მეშვეობით პარიზიდან მივიღეთ ერ. ჯაბადარის 30 ნაწარმოები, რომელსაც პატრონობა, შესრულება და გავრცელება ჭირდება¹. ამ საგანძურში შედის რომანსი „სიჭაბუკის საერთო სათაურით, საფორტეპიანო ბიჰეიმს: „Lied“, „Figue“, „Caprice“, „Chant oriental“ ანუ „ჩემო ბიჭვის საგლი“, „აგვაკასიური ცეკვა“ ანუ „ოდაილი-დაილი“, რომლის თავურტული იმხანად სასულტარაგეთ მყოფ ლადო გუდაშვილის კოლორიტული ფუნჯითაა გაფორმებული, „ლიკურა“, „ნაურული“ და მეუღლის სხვისიანადმი მიძღვნილი „განკლდილი წუთები“ ანუ „მარგეტ ბარჯის საფლავზე“. მიღებულ ნაწარმოებთა შორის აღანიშნავია, ნ. ბარათაშვილის ლექსებზე შექმნილი „მერანი“ და „სულთ ბორბოტ“ ორკესტრისა და ტენორისათვის, სიმფონიური ორკესტრისათვის შეთხუელი „თბილისურის“, „ინდაურების“ და „Concerto en La majeur“-ის პარტიტურები-კლავირით; „Nocturne“-ს ფორტეპიანოსა და დეკლამაციისათვის, „Prelude“ ვიოლინისა და ჩელისტისთვის, „ქართული რაფსოდის“, „დო მინორის კონცერტისა“ და „გველის პანების“ მთელი კომპლექტი; სავიოლონჩლო ბიჰეიმის „Regrets“-ის (სინანული) და „უნგრული სიმღერების ვარიაციები“-ს კლავირით.

ერგულ ჯაბადარის მუსიკალური მიშვეიდრობიდან ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია ჩვენთვის, მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში დიდი ტირაჟითაა გამოცემული: „ქართული ლეგენდა“, „Bolero“, „უნგრული სიმღერები“, „სიმღერები შალაპინისათვის“, „Concerto Hongrois en fa mineur“, „გამოცანა“, „Mazurka en sol mineur“, „რანინა-ნანუნი“, „Un Andante“, „Concerto en Ut majeur“ (მოგონებები უნგრეთზე) და სხვ. ერ. ჯაბადარმა დაგვიტოვა აგრეთვე მელიორაბა, „ბაბაჟ“, ნაწილობრივ დაუმთავრებელი უნგრული ღრამატული ოპერა და სხვა მრავალი, ჩვენთვის უცნობი, ნაწარმოებები ხელნაწერების სახით, რომელთა გამოცემაც ავტორის უცხოელი გულშემატკივრებს არ ძალუბთ ტექნიკური თუ მატერიალური სიმწლებების გამო.

ხელმოცარულ ახალგაზრდა კომპოზიტორის თავის სარჩენად კონცერტების მოწყობა და გზის გაკაფვა ძვირად უღირდა. ამიტომ მფარველობასა და ნაცნობობას მოკლებული ერგულ ალ. სუმბათაშვილი-იუენის ვენის გასუფიებიდან ამოჭრილი რეცენზიებით აცნობდა რა თავის უწარმატებას, მოკრძალებით ატყობინებდა და ვეღარდებოდა: „ჩემი წმინდა ქართული მუსიკა გაშლილია თანამედროვე ტექნიკაზე და ქართული მუსიკაში აქამდე შექმნილი ნაწარმოებებზე გაუჯობებსებულია. მაგრამ

წინ მელობება სიმწლებები. ერთის მხრივ არ შემიძლია კონცერტების გამართვა ვანკარებთან—კიდევ ერთი-სამი კონცერტო აუკლებულია პარიზში, ბერლინში, რათა საზოგადოებამ გამიცნოს შევა და სრულიად ახალი განხრის ჩემი მუსიკაც. ამის გარდა, შესაფერი პირობებით ვერ გამოვტყუებ გამოცემული, რადგან ჯერ ნაკლებად ცნობილი ვარ. პარიზში ჩამოვხდი საარსებო საშუალებათა მცირე თანხით და მინდა გზა გავიკაფო, მაგრამ თუ არ შემიძლება კონცერტების გამართვა, ჩემი გზა აღმოჩნდება გრძელი და მიძიმე. სხვათა შორის, კოლონებში კონცერტების დირექტორი ბატ. პიერნე დამპირდა საკონცერტო გამოსვლებს მუშისით. ამ სესონის პროგრამა უკვე შევსებულია. უმოქმედოდ ყოფნა არ ძალმიძს და ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ დამეხმაროთ პარიზის სალონებში მიმიღონ, რათა შემდეგ ფრანგულ საზოგადოებაში შევიდე“¹.

ჩვენ არ ვიცი, როგორ იყო სუმბათაშვილის რეაგირება, მაგრამ ეს კი გარდა ვიცი, რომ მსოფლიო იმპრიალისტური ომის მიუხედავად, ერ. ჯაბადარი გაბედულად გამოდიოდა კერძობის მუსიკალურ სარბიელზე და დიდ ჭაბუკებში ასრულებდა საკუთარ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებებს. ვირტუოზულ ტექნიკასთან ერთად ნაყურებულ-მამენტის ყურადღებას იპყრობდა ჩვეულებრივზე ერთი აკორდით მტერ ზომის რომაილიც, რომელიც მას წარმატებასა და პატივისცემის ნიშნად ვენის განიჭულმა ჯარსმა „ბენედილორფა“ საგანგებოდ დაუშვა და აჩუკა. კონცერტთა სიხშირის მიუხედავად, უცხოელ ანტიდემოკრთ თან სდგოდა ეკონომიური სიფიწრეც, ისე, რომ განუღწრებელი, ძვირფასი როიალის გაყიდვადამირა სიდუჭირეში, მაგრამ მეგობარ-თავყანისმცემელთა დახმარებით შეიარაღება.

18 წლის დაუტრომელმა შრომამ და კეთილსინდისიერმა მოღვაწეობამ აიძულა უცხოელები ეცნით და პატივი ეკვით ქართველი კომპოზიტორის ნიჭისა და შემოქმედებისათვის. 1924 წლის შემდეგ ერ. ჯაბადარი შედარებით პატივისცემით ეპყრობიან. ამს ადასტურებს პარიზელი „„Pol de-Coc“, რომელიც იტყობინებოდა: „ერ. ჯაბადარი ევროპის მუსიკალურ წრეებში დიდად ცნობილია. აქ შუამოსა საქართველის ხმების დამუშავებაზე. იგი ევროპულად მოშადადებულ, დამთავრებული კომპოზიტორია, თავის სამშობლოში დიდ ნაყოფსაც გამოიღობდა, მაგრამ ვი რომ უსასრობის გამო სამშობლოში დაბრუნება არც მოუტრებსებია“².

ჩემის ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ერ. ჯაბადარი თითქმის ყოველწლიურად ახერხებდა კონცერტების გამართვას და „ქართული რაფსოდის“ საჯარო შესრულებას. მთავალითა: 1925 წლის 28 მარტს პარიზის თეატრ „შამპე-ელიონში“, 1927 წლის 30 მარტს ლამურის კონცერტზე, 1930 წლის 25 მაისს პლიეილის (პარიზში) დარბაზში. „ქართული რაფსოდის“ აღმოსავლური კოლორიტით მსმენელს აგონებდა საქართველის წარსულს, ანტიკური კოლხეთისა და ინგურ-კახთა მიიოლოგიას. „რაფსოდისში“ მუსიკითაა ამტკველებული საქართველოს ყოფა-ცხოვრება ხან ტბილით და ხან სამამი, ხან მწვერად და სვედინობა.

¹ თეატრალური მუშეუმის ხელნაწერთა ფონდი (ილ. სუმბათაშვილის არქივი) № 8 — 14414 გვ. 40.
² „თეატრი და ცხოვრება“, 1925, № 8, გვ. 15.

¹ ი. ჩვენნი სტატია. — „დროშა“, 1960 წ. № 12, გვ. 18.



ევროპელი მუსიკათმცოდნენი უმაღლეს შეფასებას აძლე-
დნენ ერ. ჯაბადარის შემოქმედებას. ამის დამადასტურებელი
ისიცაა, რომ იგი მიიღეს საფრანგეთის ხელოვანთა საზოგა-
დოების წევრად, რასაც იშვიათად თუ ეღიბებოდა უცხოელი.
ცხოვრების მძიმე უღელმთა, სამშობლოზე სევდამ, უცხოეთის
მკაცრმა გარემომ დააზრო ავადმყოფობით ისედაც შერყეული
ერეკლმა ჯანმრთელობა, ქვეყმა იგი ლოგინად ჩაეგდო და
სიცოცხლე მოუსწრაფა. სახღვარგარეთ უზინო ხელოვანთა ბე-
დას ვარსკვლავი მოდრულულ ცაზე დიდხანს გაჰკაშვებს,
მაგრამ სამშობლოდან მოგვევიდომა ქართულმა კომპოზიტორ-
მა უცხოეთის პირქუშ ცაზე მეტკრივით გაიფევა და 1937
წლის 18 აგვისტოს ჩაესვენა ნიქის შავსა და პირქუშ ქვეს-
კნელში, ისე, რომ ვერ იცემა მწარე შრომის ტბილი ნაყოფი,
ვერ მოესწრო ნამოღვაწარის სცენაზე დადგმა, გამოქვეყნებას,
ველარ იხილა სახეატრო მშობლიური მხარე. მხოლოდ დარჩე-
ნილ მძებს შეუძლიათ იმის დახანჯა, რომ სამშობლომ მოითა-
მეიწვევებელი შვილი, რომ მადლოდნი თანამემამულენი ახალე-
ბენ ქართული კულტურისათვის უცხოეთში მარტვილის ამაგს
და საქართველოში ტბილად აქედრებენ მის მელოდებს.

სიკვდილის შემდეგ ერეკლე ჯაბადარის კომპოზიტორ ნა-
წარმოებებისადმი ინტერესი უცხოეთში მიწელდა, მაგრამ მისი
ნატიფი კანცენი საბოლოოდ არ დასამარებულა. ზოგჯერ იმარ-
თებოდა ქართველი კომპოზიტორის ხსოვნის აღსანიშნავი სა-
დამოთხი, რომლებზედაც თითქმის ყოველთვის გამოდიოდა ვი-
ოლიონწელისტი შოთა ჯაბადარი და ასრულებდა თავისი ძმის
ნაწარმოებებს. ასე იყო 1938 წლის აგვისტოში, როდესაც
ერეკლეს „კავკასიური ცეკვები“ შესარულეს და 1939 წლის
ინვარში, როდესაც „ქართული რაფსოდია“ მოასმენინეს ნი-
ქის საზოგადოებას. ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილ ჟან-
სტინის სტატიაში ვკითხვლობთ: „ქართული ჯაბადარი აღ-
ზრდილია ისეთი არაჩვეულებრივი რიტმიკით განთქმულ ქვეყა-
ნაში, რომელსაც ბადალი არა ჰყავს. მისმა ქართულმა მუსიკამ
სული ჩაუდგა ბევრ რუს კომპოზიტორს, რომლებმაც ვერ შეს-
ძლეს კავკასიური კოლორიტისა და რიტმის გადმოცემა. მხო-
ლოდ მანებმა უსაზღვრო სიხარული განიცადეს!“. იგივე ავტორი ერ-
თი წლის შემდეგ აღნიშნავდა, რომ კომპოზიტორმა გამოქვე-
დებით დემოკრატ თავის სამშობლოს მიუღწია, რაც სასე-
ბით ლოგიკური, კანონზომიერია. ამით მან ხელოვნებაში შე-
მოიტანა მტკად ინდივიდუალური და ორიგინალური მიმართუ-
ლება².

ფრანგულ ჟურნალში ჟ. დუელი მოგვითხრობს, რომ ერ.
ჯაბადარი ბუჰოჟენის ტრადიციების მიმდევარ კოპონტერის
უსავერღესი მოზაფე იყო და, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორ-
ის მუსიკალური აკენის გარემო ტრიალებდნენ ხელოვნების
კლასიკოსები და რომანტიკოსები. ამ გარემოში მტკიცდებოდა
ჯაბადარის აღმოსავლური სულისკვეთება, რომელსაც ვთუო-
ლობთ ფორტპიანოსა და ორკესტრისათვის დაწერილ მის
„რაფსოდიაში“. ცეკვის გარდა, იგი არ ჰყავს იმავე ჟანრის

სხვა ნაწარმოებებს, რომლებიც სიტყვა-სიტყვით ხალხურ-
ლოდიებზეა აგებული. მისი ფორმა კონცერტულია და მრავალ-
ფეროვანი ლელანი უწყვეტეო ვითარდებიან. ასეთი მსჯელო-
ბის შემდეგ დუელი დასკვნის: „ერთი შეხედვით ეს ნაწარმოე-
ბი ადვილია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი თანამედ-
როვება, სტილი მაინც მოგავიანებს უშმანის, ლიტის, შოპნის
ელვარი და ჩქარ, ნაღვლიან და შიშთ მუსიკობრივ, უხვსა და
ღირსეულ ნაწარმოებებს. ჯაბადარის „რაფსოდიაში“ კვლავ უნ-
და დიაცივის ყველაზე მნიშვნელოვან პულტებზე მისთვის მიწ-
ნეული ის ადვილი, რომელიც მას იმავედ ეკავა“¹.

გავლენიანი მუსიკათმცოდნე ირაკლიანე მოითხოვს თა-
ვის ვრცელ სტატიაში „ქართული რაფსოდის“ შესრულებას.
იგი ეზეზა ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებულ ძველ რეცენზი-
ბას, იოგინის იმ პერიოდს, როდესაც ჯაბადარის ნაწარმოებებს
პლელიში ასრულებდნენ ლამურის კონცერტებზე, როდესაც
„ქართულ რაფსოდიაში“ ევროპის ორკესტრთა რეპერტუარში
მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და აღნიშნავს:

„ჩვენი აზრით, ჯაბადარის მუსიკალური აზროვნება, წე-
რის მანერაც საბოლოოდ ვირტუოზულია და ვირტუოზულობი-
საკენ მიისწრაფვის. იგი ემორილება მწყობრ თანმიმდევრო-
ბას, აკონტროლებს აზრს, ფორმებს და გაურბის განმეორებებს,
რითაც მოჭარბებულია ბევრი რაფსოდია. ორკესტრი არ ატა-
რებს ტრამპონურ ხასიათს ცალკეული პარტიებისთვის. რო-
იალისა და მთელი ანსამბლის პარმონიული შერწყმა ხანდახან
ორკესტრზე აფრქვევს სხივებს და დროდარი მაღლა სწევს რი-
დეს, რათა ფორტპიანოს ძირითადი თემის დეკლამაციისათვის
შეშთესდა აქედრებს კომენტარიებთან ერთად.

ჩვენ ყველას ვგსურს ეს ნაწარმოებები დავებურეთ პარიზს.
ეს საშუალებას მოგვცემდა დავგემტკიცებინა პატივისცემა მუ-
სიკოსებისადმი, რომლის სიხვნასაც ბევრი ჩვენგანი სპეტაკად და
მოწიფებით ინახავს“².

ერ. ჯაბადარის ნაწარმოებებს ასრულებდნენ 1950 წელს
ილია ჯაბადარის თაოსნობით პარიზში ჩამოყალიბებული
„ქართული ბალეტის“ კონცერტების პირველ განყოფილებაში.
ჯაბადარის საცეკვაო მუსიკაზე წარმოადგენდნენ ქართულ
ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ევროპაში სერგო კობრეიძისა
(„იანთელი“) და ალექსანდრე პეტრიაშვილის („გურჯი“)
ხელმძღვანელობით ალექსი და გიორგი კობახიძეთი, სტანო
მამალაშვილი, ყანაშვილი როსტომ ლეონტიანი და სხვები. 1953
წელს იუნესკოს პარიზის დიდ დარბაზში მუსიკისა და ცეკვების
ორი კონცერტი გამართეს, 1954 წელს ბელიგიელს მოსმენი-
ნეს ბრუსელში ოდესღაც მისწავლულ ერეკლეს მუსიკა. უცხოურ-
სა და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული უამრავი რეცენზიების
გარდა, ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ „Русская музыкаль-“ში
„А“-მ საყურადღებო აზრი გამოთქვა:

Значительный час вечера была уделена музыке,
главным образом, произведениям рано умершего
грузинского композитора Джабадари, брат которо-

² J. Stan, Les Amis de la Musique.—, L'«Eclairage de Nice»
22 août, 1938.

³ J. Stan. „Dances Caucasiennes“ de Djabadary.—, L'«Eclairage
de Nice», 5 janvier, 1939.

¹ J. Douel. „La Rhapsodie Gorgienne“ da H. Djabadary.—
L'«Information Musicale», 17 avril, 1942.

² Eric Sarnette.—, «Musique et Radio, 1942, avril.



გო ბлагоვეიწო და ტემპერანტო უპრავლდ ორქესტრომ. Исполненные отрывки из опер, концерта для рояля с оркестром и особенно полной содержания и красоты Грузинской Рапсодии — партию рояля исполнял с большим блеском прекрасный пианист Жозе Карассо — убедительно доказали крупное дарование композитора, создавшего, пользуясь мелодиями родной ему Грузии, ряд музыкальных опытов, исполненных глубокой лирики, своеобразного очарования и драматического содержания».

ერველ უკრადლებას იძახებუბდა აგოთვე, როგორც ჩე-ლის მუსიკის მებრწველი. დაოსტატებულ ვიოლონჩლისტ ძმისათვის იგი სპეციალურად წერდა კამერულ კონცერტებსა და სოლო ნაწარმოებებს. სხვათა შორის, „სინაუელში“ გამოსტევივის დაობლებული ადამიანის გულის წუხილი, სამ-ბოლოს მოწყვეტილი პატრიოტის განდელი დარდი და ამი-ტრამც უწოდებია მისთვის „სინანული“¹. სავიოლონჩლო პიე-სის, — „ვარიაციები უნგრულ სიმღერებზე“, — შესრულების შემდეგ მუსიკოსმოდენე წერდა: „ამ ვარიაციების ფორმაში კომპოზიტორმა მშლო შეერწყა კეთილშობილური, უმათარე-სად პოეტური ძალა და იქ, სადაც თითქოს ადგილი აქვს დათ-მობილი მხოლოდ თამაშურ წერას. ფორმის შესწავლისას არც-ერთი მიმეტი ტანლობა ანტიპატუსი არ ხდის პიესას. მე-ხუთე ვარიაციის ეს თავისებურებანი, რომელიც შედგენილია განსაკუთრებით ორიგინალური მანერით, ზარის ხმის ნაკადის გამოცემე პიანისოს ოქტავებთან ერთად ჯაბადარის ინდივი-დუალურ შემოქმედებაზე მსჯელობის სულებას გაჰაძლევენ. უმაღლესი კლასის ამ საავიოლონჩლო პიესას ვარიაცია აჰყავს სერიოზულ, ვიტკოდი, საუკეთესოდ ჩანაფიქრ, მდიდრულად შეფერადებულ საფეურამდ“².

1943 წლის 29 იანვარს პარიზის პოლიციის დარბაზში ჯა-ბადარის მუსიკალური შემოქმედების ფესტივალი გამართეს. ლამურის ორკესტრმა ჯან ფურნეს დირიჟირებით და პიანისტ ჯან დუაიენის მონაწილეობით შესასრულა „ქართული რაფსო-დია“³, „თბილისური“⁴, „ინდურები“⁵, „ქართული ლეგენ-და“⁶, „იგვლის რეჩიტატივი“⁷ და სხვ. დარბაზში ირხედა ქარ-თული მელოდისი, ჰიმნისა და რომანსის სურნელოვანი პანევი. ფრანგი მსმენელები და განსაკუთრებით პარიზელი კონცერტლე-ბი სიხარულით ცას ეწვიენ, ირგვლივ ქართული სული დატრი-აობდა, ქართული ატმოსფერო შექმნა, მშობლიურმა სიომ და-უბერი. მიუღ შენობას მქუბან ტაში აზანარებად და როგორც ბრუერი შენიშნავდა, მანდილოსნებს ხელთათმანები გაუცვდათ, ხოლო თვით ნაწარმოებები „ეკიბრიზებენ ფრანც ლისტის სტილის პიანისოს. სპილოს ძვილის პანევი შემქმნილი ჯაბადარ-ის ინტერნაციონალური კომპოზიტორია. მის ნაწარმოებებში უცხოობის გრძობა თვალწარმაცად გამოიქვითს“⁸.

პიერ ზერილინი კი ქართველ კომპოზიტორს ფესტივალის შემდეგ ფერწერის საუკეთესო მხატვარს უწოდებდა 10 თებერ-ვლის „Paris-Soir“-ში, ხოლო პიერ ლერუა ოუწყებოდა: „კომპოზიტორ ერველ ჯაბადარის ნაწარმოებები მოგავიწინებენ

ფოლოკორით მდიდარ საქართველოს შორეულ წარსულს, მელიც ჩვენების ნაკლებადაა ცნობილი და, რომელსაც ჩვენ ცხ-ლა ვიგებთ ამ ბრწყინვალე კოლორისტის და ორგესტრატორის მუსიკალური ხელოვნების წყალობით. ლამურის სიმფონიურ-მა ორკესტრმა უდემიწვევით გადმოგვცა ამ ფრიად სიმპათი-ური მუსიკოსის აზრები და განცდები“⁹.

ერეი სარნეტე, ვანიხილავდა ნა ფესტივალზე შესრულებულ ჯაბადარის ნაწარმოებებს, დაასკენდა: „ქართული სკოლის ცნობილი წარმომადგენელი ერველ ჯაბადარი თვალსაჩინო როლს თამაშობს თანამედროვე მუსიკის ისტორიაში“¹⁰.

კომპოზიტორ ერ. ჯაბადარის მუსიკალური მემკვიდ-რეობის ნაწილი ჩვენ მივიღეთ პარიზიდან და (თუ შეიძ-ლება ასე ვთქვათ) ქართველ ერს უცვინეთ მუსიკოსი, ხოლო ერეოვულ მუსიკალურ კულტურას უცვინო მელიდები. მუხი-ერთი მათავანი კომპოზიტორ აღ. ბუკიას დხმარებით 1960 წლის 29 ივნისს და 15 ნოემბერს თბილისის რადიოს მუსი-კალური ორკესტრმა ჩვენს ტექსტში ერთად გადასცა ელვა-საქართველოში პირველად შესრულდა ცხრა ნაწარმოები: სო-ლისტმა ნ. მაღარაძემ იმღერა ჯაბადარის 4 რომანსი, პიან-ისტმა ნ. ძამსვილმა შესასრულა 3 საფორტეპიანო, ხოლო ი. კიშვილმა ერთი სავიოლონჩლო პიესა. კონცერტ-საუბრის დასასრულს გადასცეს „ქართული რაფსოდია“¹¹ გრამონაწერი. დაბოლოს, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში, საქართველოს უფროსობთა II ყრილობის დელეგატებისთვის ნ მარტს გამართულ დიდ კონცერტზე სსრ კავშირში საჯაროდ პირველად შესრულა „ქართული რაფსოდია“¹² ხელოვნების დამასახურებელი მოღვაწის ზაქარია ხურობის დირიჟორობით.

ვეჭირობთ, ახლა მაინც დადუმებანი ზოგიერთი რენევა-ტები, სუპეკტიურ აზრებს შეიცვლიან და სიჭვავ დილტან-ტსაც დაივიწყებენ. ჩვენ, რაც ვეპეჩლით, გაგაკეთეთ და მოგი-ომქმედეთ¹³. დანარჩენი კომპეტენციას აღარ შეადგენს. იგი მუსიკოსმოდენეებსა და თეორეტიკოსებისათვის დავგიო-მია, რათა კომპოზიტორის შემოქმედების სტილი და მუსიკალ-ური პალიტრა ობიექტურად განსაჯონ. მათთან ერთად, იმე-დია, ე. ჯაბადარს მიუკერძოებულ განაჩენს პირუთენელი მსმე-ნელიც გამოუტანს და ამიერიდან მაინც დაუშკვიდრებს საუ-ფველს მამულსა შინა.

ჯაბადარს დარჩა დიდ დაუბეჭდავი მუსიკალური მემკვიდ-რეობა. ვინ უნდა უპატრონოს, დაიბრუნოს და გამოსცეს ისი-ნი, თუ არა ჩვენც უნდათა, სამშობლოში დაბრუნებული მელო-დებიანი დინტერესდებიან სათანადო ორგანიზაციები, მუსი-კოსები და კომპოზიტორის მოპოვებულ ნაწარმოებებს სათანა-ნადო მსჯელობის მისცემენ — გამოიცილონ და ბეჭდვავ იზრუნებს, შემსრულებლები შესწავლიან მათ და საქართვე-ლოს შრომობლებს მოასმენინებენ, ხოლო ხმის ჩამწერი კაბინეტი ხალხში გასავრცელებლად გრამფირფიტებზე ჩაწერს უკვდავ კომპოზიტორის მუსიკას. ურიგო არ იქნება აგრეთვე ერ. ჯაბა-დარის შემოქმედებით სალამი-კონცერტის გამართვა, რომე-ლიც ჩვენს საზოგადოების ცხოველ ინტერესს გამოიწვევს.

¹ Pierre Leroy — „Comedia“ 6 fevrier, 1943.

² Eric sarnette — „Musique et Radio“, 1943 fevrier.

³ См. статью Н. Новичко «Возвращение на родину» «Вечерний Тбилиси», 23. III. 62.

¹ Eric Sarnette. „Musique et Radio“ 1942 juillet.

² José Bruyr. — „Aujourd'hui“, 3 fevrier, 1943.



სახელსი მხატვარი

ვლადიმერ ქიქოძე



იყო გაბაშვილი იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც სამოქალაქო უფლება მოუპოვა ქართულ მხატვრობას, ბოლო მოუღო კარჩაკეტილობას და გამოფენების მოწყობის ტრადიციის დამკვიდრებელი მხატვრობა დაუახლოვა ხალხს, მისთვის ხელმისაწვდომი გახადა; მან პირველად დაიწყო საყოფარი, ინდივიდუალური გამოფენების მოწყობა, რამაც ახალგაზრდობიდანვე გაუთქვა სახელი.

გიკო გაბაშვილის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირება ხდებოდა მაშინ, როცა რუსეთში პერედვიჟნიკების მიერ მკვიდრდებოდა პროგრესული, ხალხის ცხოვრებასთან დაკავშირებული რუსული სახვითი ხელოვნება.

რეპინის, შიშკინის, კრამსკოის, შამაიშვილის, პეროვისა და სხვა მხატვართა შემოქმედებამ ნიადაგი გამოაცალა აკადემიზმის ხელოვნების და მხატვრობის სრულიად ახალი ფუნქციები დააკისრა — ხალხის სამსახური, მისი იდეებისა და მისწრაფებების ასახვა. ამ ხელოვნების უზირა ვიკო გაბაშვილი და მისთვის არ უღალატია სიცოცხლის ბოლომდე.

პირველი ქართველ მხატვარს არ მოუწყია იმდენი ინდივიდუალური გამოფენა, რამდენიც ვიკო გაბაშვილმა. პირველი ინდივიდუალური გამოფენა მოეწყო 1889 წელს. 1898 წლის დეკემბერში — მეორე, სამხარეთო ისტორიულ მუზეუმის შენობაში (ამჟამად საქართველოს სურათების გალერეა). მესამე გამოფენა იქვე, 1901 წელს.

1910 წელს მოწყობილ მეოთხე ინდივიდუალურ გამოფენაზე გაბაშვილს წარმოდგენილი ჰქონდა 218 ნამუშევარი. ამ პერიოდისათვის მას უკვე მოვილი ჰქონდა შუა აზია, კავკასია, ევროპის ქვეყნები და, ცხადია, გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევართა თემატიკა მეტად მრავალფეროვანი იყო. ექსპონირებული იყო მაღალი ოსტატობით შესრულებული პორტრეტები, მშობლიური მხარის პეიზაჟები, კავკასიის, შუა აზიის ხალხთა ყოფის ამსახველი სურათები, ეტიუდები და სხვ.

1890 წლიდან გ. გაბაშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გამოფენებში, რომლებიც თითქმის ყოველწლიურად ეწყობოდა თბილისში სახვითი ხელოვნების წამხალისებელი კავკასიის საზოგადოებისა და მხატვართა ცალკეული ჯგუფების მიერ.

გაბაშვილის ცნობილი სურათი „ბოსტანში“ პირველად გამოფენილი იყო 1892 წელს მოწყობილ კავკასიის სამხატვრო გამოფენაზე. სურათი შეფასებული იყო 350 მანეთად.

გ. გაბაშვილი თანაბარი ოსტატობით ფლობდა პორტრეტს, პეიზაჟს, ნატურმორტს, ბატალურ ყანას, საყოფაცხოვრებო თემებს.

ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში გ. გაბაშვილს ორ ათასზე მეტი ნამუშევარი აქვს შექმნილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ნამუშევართა დიდი უმრავლესობა გაბნეულია და დაცასუსლი, უმთავრესად კერძო კოლექციებში. სურათები იყიდებოდა გამოფენებიდან, ყიდულობდნენ უცხოელებიც. ამიტომ გაბაშვილის უდიდესი მხატვრული მემკვიდრეობიდან ცნობილია და აღრიცხვაზე მხოლოდ 700-მდე ნამუშევარი.

ერთ-ერთ ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1936 წლის აგვისტოში ჩემი ხელითაა დაწერილი გ. გაბაშვილის კარნახით, იგი ამბობს: „ჩემი ნამუშევრების საკმაოდ დიდი ნაწილი საზღვარგარეთა, სახელმობრ — ჩიკაგოში, რომში, მიუნხენში და სხვაგან. ლონდონში, ბრიტანეთის მუ-



ზეუმში არის ჩემს მიერ შესრულებული სურათი „დაბა-ხანა“ (1,5 მეტრი).

სად რა სურათი გამიყვია, არ მახსოვს, მხოლოდ ის კი გიცხ, რომ მთელი ჩემი შემოქმედების საუკეთესო ნაწილი, კერძო პირებთანაა, რომელთა სახელი და გვარი არასოდეს ჩამიწერია“.

თბილისში, კერძო მფლობელობაში საკმაოდ მოიპოვება გ. გაბაშვილის ისეთი ნამუშევრებიც, რომლებიც არსად აღრიცხვაზე არ არის და უკანასკნელი ოცო-ოცდაათი წლის მანძილზე მოწყობილ გამოფენებზე არ ყოფილან წარმოდგენილი, მაგრამ ზოგი ნამუშევარი ჩემს კოლექციამდე მაცეს დაცული.

უნდა ვიკონიოთ იმედ, რომ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი სთავებში ჩაუდგება გ. გაბაშვილის მემკვიდრეობის გამოვლინების, შეგროვებისა და აღრიცხვის საქმეს. ეს მემკვიდრეობა ძვირფასია ქართველი ხალხისათვის, ისე, როგორც დიდი ილიას და აკაკის, ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება.

თავის შესანიშნავ ქანაღებებში გ. გაბაშვილი უმღეროდა საკონსერვატორის ზურაბული მინდორი-ველეს, კრიალა ცას, ქართველი ხალხის გმირობას, მის პატრიოტულ რწინებებს, უმღეროდა მზეს, სინათლეს, მისი პალიტრა ხალხის ფერებით იყო აღვრცებული, დაწყებული პატარა ეტიუდებიან დიდ კომპოზიციამდე.

1935 წლის პოლოს გიგო გაბაშვილმა საკავშირო სამხატვრო გამოფენა — „სოციალიზმის ინდუსტრიის“ კომიტეტიდან მიიღო დაკვეთა საბჭოთა აჭარის ცხოვრებიდან სურათის დაწერაზე. საჭირო იყო ადგილზე გამგზავრება ნატურიდან ჩანახატებისა და ეტიუდების შესაქმნელად. თუმცა პირველ ხანებში მხატვარი ყოყმანობდა კიდევ მუშაობის დაწყებას, მაგრამ, მეგობრების რჩევით, მან შემოღობომაზე გადაწყვიტა გამგზავრებულიყო.

გამგზავრების წინა ხანებში გიგო გაბაშვილი რამოდენიმეჯერ მოვიდა მხატვართა კავშირში, რომელიც მაშინ მოთავსებული იყო სურათების გალერეის შენობაში. 1936 წლის აგვისტოში გიგოს ვთხოვე დაეწერა თავისი მოკლე ავტობიოგრაფია. სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ მთხოვა, რომ ჩამეწერა მისი, ნააბობო ქართულ ენაზე, რადგან თვითონ ქართულად აზრის ჩამოყალიბება არ ეტეხებოდა.

ავტობიოგრაფია ჩავიწერე დაახლოებით ორ გვერდზე, რაზეც მან ხელი მოაწერა ქართულ ენაზე. ეს ავტობიოგრაფია დაცულია ჩემს არქივში და იგი გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს მკვლევართათვის.

სამწუხაროდ, მას ამის შემდეგ მეტი არაფერი დაუწერია, გარდა ანდერძისა, რომელიც დათარიღებულია 1936 წლის 1 სექტემბრით.

12 ოქტომბერს გიგო გაბაშვილი მხატვარ მერი მიქე-

ლაძე-ბაგრატიონის თანხლებით ბათუმს გაემგზავრა.

28 ოქტომბერს სურათების გალერეის მისამართით მოვიდა დღეში. აჭარის ასრ სახეობსაპოოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მაშინდელი უფროსი ხ. ნაკაიძე იტყობინებოდა სამწუხარო ამბავს — გიგო გაბაშვილის უეცრად გარდაცვალებას. სასწრაფოდ შეიკრება მხატვართა კავშირის სამდივო, რომელმაც განსვენებულის თბილისში ჩამოსვენების ორგანიზაცია მომანდო. იმავე დღეს გაემგზავრე ბათუმში და 29 ოქტომბერს დილით გაემგზავრა ხელოვნების სამმართველოში. იქვე დაიხვდა აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ვ. ფ. ილიუშინი.

ხელოვნების სამმართველოს უფროს ნ. ნაკაიძესთან და ვ. ილიუშინთან ერთად გაემგზავრეთ ციხისძირში, სადაც ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში იყო დაბინავებული გ. გაბაშვილი.

დასასვენებელი სახლის დირექტორის ქელიძის თანხლებით დავათვალიერეთ ოთახი, რომელშიაც, წინა დღით, 28 ოქტომბერს დილით, ლოგინიდან აღვმისას, ფეხზე ჩაცმის დროს უეცრად გარდაცვლილიყო გიგო გაბაშვილი. ცხელარი უკვე გადასვენებული იყო ბათუმის საავადმყოფოში.

იქვე სასაბილო მაგიადაზე ეწყო გაბაშვილის ნივთები: საპარის მოწყობილობა, ფოტოაპარატი, პორტფელი და სხვ. ოთახში აღმოჩნდა დიდი ჩემოდანი ტანსაცმლისით და წერილმანი ნივთებით, საღებავების ყუთი ფერებით.

იმავე დღეს 29 ოქტომბერს საღამოს, ვ. ილიუშინის დახმარებით, ცხელარი თბილისში გადმოვასვენეთ. დაქრძალულ იქნა ვაკე-ბანთონი 1936 წლის 1 ნოემბერს.

გარდაცვალებულის ნივთები ჩააბრდა მხატვრის მეუღლეს ო. მიულაბაუმს 1936 წლის 4 ნოემბერს (აღწერილობა ინახება ჩემთან). როცა ჩემოდანი გახსენით და ნივთები შეეამოწმეთ, იქვე საწერ მაგიდაზე აღმოჩნდა გაბაშვილის ხელით დაწერილი ანდერძი, დათარიღებული 1936 წლის 1 სექტემბრით, ანდერძის შინაარსი ასეთი იყო:

„სასაზღვრო ერთობლებითა და სიყვარულით ვუმღვინე საჩუქრად ჩემს ხალხს ჩემს მრავალწლოვან შრომას. ვთხოვ მთავრობას კეთილ ინებოს მიღება ამ საჩუქრისა და თუ შესაძლებელი იქნება, ერთი დარბაზი, ან ოთახი გამოკოს ჩემი სურათებისათვის, რომლებიც ახლა სხვა-დასხვა გალერეიასა და დაწესებულებებშია გაფანტული“.

ამ ანდერძიდან გ. გაბაშვილის ყველა სურვილი ჯერ შესრულებული არა გვაქვს.

ჩემი მხრივ კი უნდა ვიზრუნოთ, რომ გიგო გაბაშვილის ნეშტი გადასვენებულ იქნეს ქართულ მოღვაწეთა დიდუბის ბანთონში.



1 რაერტვის წავიციოთ ა ვ ს
 „ფორტის“ პირი მივიწი...
 ასე მოხდა წესი — მოს-
 კოვის მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე: „ფორტის“ წევრებისგან შემდგ-
 არა განსაკუთრებულმა ფურჩამ პირიხი
 აღნიშნა ტიპოლოგი რევისირის ნაწილი
 და „ფორტის“ პირიხი წარმოადგინა
 ნიკოლა მარკოვი „ფორტის“ პირიხი წარ-
 ნიშნის საერთაშორისო კონფერენციის
 რეგულაციის, რომელიც
 „ფორტის“ პირიხი ავტო-
 მატორის მსოფლიო კონფერენციებზე წარმოდგე-
 ნილ საუბრებში სიმონ-
 წარმოებს. ჩვეულებრივ ი. ვ.
 „ფორტის“ პირიხი აღ-
 ნიშნები ხოლმე ჰუმანიტარ-
 ია, რეალისტური ხასიათის
 ფიგურები. ფურჩამ ნათელი
 წარმოადგინა რომ ვაჭარობდა
 ამ პროგრესული მიმართუ-
 ლების ასოციაციას, დაავასებლეთ 1962
 წელს მის მიერ პრობლემა აღნიშნული კონფ-
 დანაწილების. ესენია: „მოსუბები“ (დანი),
 „მუშევი კონსული“ (იაპონია), „სოი“ (ნი-
 დერლანდები), „ცაროლი აიგნე“ და „ან-
 გელის-განაზღაურების“ (მექსიკა). „მუშე-
 დობით, მარტედობი“ (სსრკ) და სხვა.

„ფორტის“ შემადგენლობაში შედის ავს-
 ტრიის, ბელგიის, გერმანიის, ლიხტენშტაინის,
 ესპანეთის, ვენესუელის, იტალიის,
 უგოსლავიის, პოლონეთის, სსრ კავშირის,
 საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის ცენტრული
 სექციები, ამათ გარდა ასოციაციების ინდივი-
 დუალური წევრის კონკრეტული ინდივი-
 დუალური წევრის, რომელიც არ განიხილავს
 ინდივიდუალურ სექციებში არჩევნების, შპ, ბრან-
 დის, დანი, მექსიკა, ნორვეგია, ამერიკულან-
 დები, პორტუგალია, საფრანგეთი, ურუგუაი,
 აშშ-ის და ასოციაციის და მუშევირების პირიხი-
 დენისა ცნობილი მუშევირების კონკრეტულ
 სიის ვინჩირი ბერტის. მისი მოადგილე იტა-
 ლიელი პიერო ვაიო კონტე, ხოლო მუშევირები
 არიან ფრანკო ფურნალისტები დენი შარინი
 და პოლ ბოუნიანი.

ახლა კონკრეტული ის საერთაშორისო
 დედადის შესახებ, რომელიც წელს ნიკოლა
 მარკოვი „ფორტის“ დედადის ცენტრში
 აღნიშნა, აშშ-ის, ბელგიის, გერმანიის,
 დანიის, ესპანეთის, იტალიის, ინგლისის,
 იტალიის, უგოსლავიის ნორვეგიის, პოლო-
 ნეთის, პორტუგალიის, სსრ კავშირის, საფ-
 რანგეთის, უნგრეთის, ურუგუაის, შვეიცარ-
 იისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.
 თავდადობით იყვნენ განთავსებულნი
 და პიერო ვაიო კონტე კონკრეტული სახის
 საერთაშორისო კონფერენცია გახსნა
 ფრანკო ფურნალისტების ანრი ვინტის მო-
 სენებით. მან დაწვრილ მოუხიარო არც თუ
 იხი დაწვრილ წინააღმდეგობა მავანამ
 მიუღო რაც ჰქონდათ უკვე ფურჩამ ვარ-
 კობლობა, სპეციალური კონფერენციების
 მუშევირები, რომლებიც ბრალის ფუნქციონირ-
 უნამ, კონკრეტული ფიგურები. ამ ფიგურების
 რეპრეზენტაციის სდებია ავტორიტეტული კონ-
 კრეტისათვის მავარი კონტრობით. ანრი
 ვინტის დასთავაზო აწირი, რომ საბჭოთა
 ხელს შეუწყობი ისეთი კონფერენციის
 ორგანიზება, რომლებიც უნებუნებლად მოს-
 ლის მხოლოდ საუბრებში ფიგურები, თა-

ნავ — ხაზგანმით აღნიშნავს მომხსენებ-
 ელი, — უნებუნებლად არა დღესათვის
 არამედ ორგანიზაციის. ამ ექსპერიმენტული
 კონფერენციის მოვალეობა მსოფლიო
 კონფერენციების საუბრებში ნიშნების პრო-
 კანდანი, და საშუალებები მავრების ეს-
 თეტიკური აღზრდა, მისი გვირგვინის აღ-
 ზედია, ჩამოწობა ის პირიხები, უნამ
 კონკრეტული ფიგურებისგან, რომლებიც
 საშუალოდ, ვერ კიდევ წარბეჭდები
 დიან ექსპერიმენტი.

ასეთი კონკრეტული დანიშნულების, ექს-
 პერიმენტული კონფერენციები უკვე არცა-
 ბოლომდე ბელგიაში, ავსტრიაში, პოლონიაში,
 იტალიაში, გერმანიის, შვეიცარიაში და საფრან-
 გეთში, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საფ-
 რანგეთში ექსპერიმენტული კონფერენციის
 ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობენ

კონკრეტული კონფერენციის შორის კონფერენციის

კონფერენციები და სინფორმაციები, ამ თემა-
 ტურში სეანის პროგრამა ისეა შედგენილი,
 რომ მავრების საშუალება ეძლევა დი-
 დ — სრულმეტრეჟიანი ფილმის გარდა ნა-
 ხის ურთულდებელი ხასის მუცელმეტრეჟიანი
 სერიალი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს
 რომ პირიხი ეს ექსპერიმენტული კონფ-
 რენციები უკვე ახალ სეზონს ხსნიან გვი-
 რული საბჭოთა კონკრეტისორის სერეჟი-
 ურეჟისებების უწყდავი ფილმის „ავანგუარ-
 დი „პოტომინი“.
 კონფერენციაზე მებრე მოხსენებელი — კი-
 ნორიტის როლი მაღალი არტისტებისა
 და ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ფილ-
 მების პოპულარიზაციისა და პროპაგანდა-
 ლა — გაავტოვა პოლონეთის წარმომადგენ-
 ლებმა, კონკრეტულსა და პანოსკოპი.
 მან აღნიშნა, რომ ზნორად, ძალიან ზნორად
 კონკრეტისორისა და მავრებისათვის შეუსა-
 ხა, მათი აზრები ფილმების ვე-კარგებ არ
 ენახებოდა ერთმანეთს, ისინი ათმუშებან და
 მისი თანაბრ ზოგჯერ უტორობით კონფ-
 ლექციები კი წარმოიშობა ხოლმე მთი
 რისი. პანოსკოპი განაცხადებ, რომ ისეთი
 გვირგვინ უკვეა, ვარგავსად დიდი პოპულა-
 რისი სარგებლობა ექსპერიმენტული ან
 რიგობა მან პოლონეთში „უილგუე-
 კარგი ფილმის“ კონფერენციები მან დაასა-
 ლა ზოგიერთი ფილმი, რომლებიც იქ
 წარბეჭდები უნებუნებლად. ესენია: „ავანგუარ-
 დი „პოტომინი“ და „ალექსანდრე ნეველი“,
 „მარტე“, „ჩინარი III“. „სპეციალისტულ-
 დი კაქიკა“, „თავალმაცქები“ და სხვ. მო-
 სენებელმა ხაზგანმით აღნიშნა, რომ ამ ექს-
 პერიმენტული კონფერენციების ერთგული
 თანამშრომელი და ხელშეწყობით არიან
 კონფერენციები, რომლებიც აქტიურად მუ-
 შევირები პოლონეთის თითქმის ყველა ქალაქ-
 ში. მანვე დაწვრილ მოუხიარო იმ დღე
 ინტერვიუს, რომელსაც იჩინეს პოლონელი
 მავრებისათვის ახალგაზრდა საბჭოთა კინემა-
 ტოგრაფისტების ფილმებისაგან.

ასეთი ძირითადი საკითხები, რომ-
 ლებიც განიხილა წელს ნიკოლა ჩატარებულ-
 მა კონკრეტისორის პირველმა საერთაშორისო
 კონფერენციამ. მავანამ დედადის მონაწი-
 ლეთა უმრავლესობა შეთანხმდნენ იმაზე,
 რომ კონკრეტისორისა მებრე საერთაშორისო
 კონფერენცია განიხილავს სხვა თემას —

ანალოზ გაუკეთების იმ ახალ ტენდენციებში
 რომლებიც გამოვლინდა მსოფლიო კონფერენ-
 ციებისგან. ამისათვის „ფორტის“ შემად-
 გარა უკველი ეროვნული სექცია მომავალ
 კონფერენციაზე წარსდებდა თავისი მოხსენ-
 ისები, რომლებიც განხილული იქნება ამა
 თუ იმ ქვეყნის კონფერენციებისათვის დამა-
 სასიათობელი ახალი ნიშნები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორია მისა-
 ზრები, რომლებიც გამოძახა „ფორტის“
 პირიხი საერთაშორისო დედადის შესახებ
 მისმა მონაწილე საბჭოთა კონკრეტისორის
 დედადის პოპულაციამ. მწილი არ დადგინდა
 მისი აზრი, რომ „კინემატოგრაფიის კონფერენ-
 ციის, რომელიც კინემატოგრაფიის განიხილ-
 ვის კონკრეტული სუბსექციები, ასეთი სექცია
 უნდა კონფერენციები, რომლებიც პროპა-
 განის უნებუნებლად წარსდებდა თანამშრო-
 ველი კონფერენციების მუშევირები, კარგი სექცია. ცხადია,
 თუ ამისთან ენახება ამ კონფერენციები
 არ დასაბ-
 ვურა ესთეტიკა მიმდინარეობს, თუ არ მავრები-
 და დედადისორი იდე-
 მექანიკის არ მავრ კონფ-
 რენციები არამედ კონფერ-
 ლენციები „ჩრდული ათ-
 ვის“. რაც როგორც განსაკუთრებულ
 ბუნება ხასიათის კონფერენციების პრობ-
 ლემა, იგი დღეს მაინც არ წარმოადგენს
 ვეულოზი მონაწილეთა მსოფლიო
 კონფერენციებისათვის. ესეც არ იყო, ის
 რომ პრობლემა სხვაგვარა ჰქონებოდა სხვა-
 სხვაგვარად სწავლება. ბუნებრივია, რომ სხვა-
 სხვა — საბჭოთა კავშირში არის დღევან-
 თური მავრებისთვის ორ კატეგორიის
 რთული ბუნების „განგებობა“ ვიწრო
 ჯგუფში და ყველა „დასრულებული“, რომელ-
 ნითვისაც გამოვლინდა რომელიც ვნებავს
 პირიხებში კონფერენციები თუ ხელსაწყო
 პირიხი ჩვენს დღეს რომ ცდილობს ფილმები
 არავისთვის არ ვარგა, და მათთან საბრძოლ-
 ველი უპილოტო კონფერენციების სა-
 ცერო აშაშაშობს, იდურად და მავრები-
 დენ ღრმა და სრულყოფილი, ხალხისათვის
 საბჭოთა და განსაკუთრებით შვეიცარია. იტა-
 ლი მუშევირები, როგორცაა „ჩინარი“ ან
 ჩალისინი ფილმები იქვე განსაკუთრებულ
 ხალხისათვის, უკლებრივ ცხოვრების
 ქვეშარტი მოვლენები იქნენ.

ამის გარდა საბჭოთა კონკრეტისორის აუ-
 გენის საკითხის იმის თაობაზე, რომ შიშობდა
 „ფორტისათვის“ სერიალულ მოძიება ნა-
 თვალის დასკვნის მონაწილე იმ ფილმებში
 რომლებიც მსოფლიო კონფერენციებზე
 დღესდღეობით საერთაშორისო კონფერენცი-
 ბებისა, „რასაკვირველია, — აღნიშნა ა ვ ს
 გვი, — მწილი შეხედულებითა ფორტისი ყვე-
 ლა მწერის შეხედულებითა ერთობის
 მიწვევა თითქმის ფილმები აქ, მუნებუნებ-
 ლადამ იქნება სერიოზული განცხადება, მაგ-
 რა მისი დასაბუთება ამის დასკვნის კონკრეტულ
 წარმომადგენელ შიშობდა იმის საინტერესო
 ბუნება და სასარგებლო ყველა ქვეყნის კონ-
 კრეტული წარმომადგენლის არამცხდელ საინტერესო
 იქნებოდა იმის განხილვაზე, თუ რაღონ არ
 დაიარება მავრების იმ კონფერენციების
 სადაც უნებუნებლად, მაგალითად, აღნიშნეს
 ფილმს „მარტე მარიონეტები“, დავუფიქრებ
 დეს საკითხის რატომ მიღეს ეს ფრანგი რე-
 ჟისორი სიცილიური სურათებიდან სასარგებ-
 ლო ფილმთან ყველა ანნ და მსოფლიო
 კონფერენციის სხვა ბევრმა საარსებო პრობლემა
 თავის ხასიხა უნდა მოკოს კონფერენციების
 დასკვნების და ბოლტენების წილი, რომ-
 ლელთა გამოცემის საკითხის დასაც დენის
 თაობაზე.

მ ე ბ რ ძ ო ლ ი

მ ხ ა ტ ვ ა რ ი

ნანა გოგოლაშვილი



მატი კოლეცია

გერბიე ქალი



ანამედროვე პროგრესული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელმა კეტე კოლეცმა დაბადების 50 წლისთავზე თავისი შემოქმედების შესახებ თქვა: „მე არასდროს არ შემისრულებია ჩემი საქმე გულგრილად და აუღლებებლად. პირიქით, ყოველივეს თითქოს საკუთარი სისხლით ვხატავდი და ყოველი ადამიანი, ვინც ჩემს ნაწარმოებებს დააკვირდება, ამას აუცილებლად იგრძნობს“.

გრაფიკული ხელოვნების დარგში გერმანია დიდი ტრადიციების ქვეყანად გრძობდა მისცა შონგაუერი და ლიურერი. კრანახი და ჰოლბაინი.

თანამედროვე პროგრესული გერმანული გრაფიკის აღმოცენება და განვითარება უკავშირდება მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებს, როცა გერმანული კაპიტალიზმი თავის უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში გადადის. გერმანია მწვავე სოციალურ წინააღმდეგობათა ქვეყანაა იმ დროისათვის. ეს არის ხალხის რევოლუციური ძალების აქტივიზაციის ხანა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ხელოვნებაში განსაკუთრებით მკაფიოდ კრიტიკული რეალიზმის ელემენტები, ამასთან, გრაფიკული ხელოვნება განსაკუთრებით განვითარდა და მოპოვებული გახდა; თუ XIX საუკუნის პირველი სამი მეოთხედის მანძილზე მას ათვალწუნებით უყურებდნენ, მხო-

ლოდ რეპროდუქციულ ტექნიკად სთვლიდნენ, ამიერიდან გრაფიკა, კერძოდ გრაფიურა, ხელოვნების წამყვან და ყველაზე დემოკრატიულ სახეობად გადაიქცა, გზა გაიკაფა ღარიბთა ქონებაზე მსხვერპლად.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანული გრაფიკოსების ნაწარმოებებში მკაფიოდ გაისმის პროტესტის ხმა ექსპლოატატორებისა და კაიზერული ხელისუფლების წინააღმდეგ.

კეტე კოლეცი გასული საუკუნის მიწურულში ჩადგა იმ მოწინავე ხელოვანთა რიგებში, რომლებიც თავიანთი მართალი ხელოვნებით უდიდეს სამსახურს უწევდნენ კაცობრიობას. მისი სახელი მხატვრის სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლისთანავე გასცდა გერმანიის საზღვრებს. წელს სრულდება 95 წელი ამ დიდი ხელოვანის და ჰუმანისტის დაბადებიდან. ვინც იც



მსხვერპლი

პირადად იცნობდა ამ უბრალო, შრომისმოყვარე და სათნო ქალს, ალტაცებული იყო მისი შემოქმედებითი ფანტაზიის სიმდიდრით, თანადროულთა ბის უტყუარი გრძნობით, რაც ბოლომდე გაჰყვა მას. სწორედ ეს ფანტაზია და ცხოვრების ფეხდაფეხ სიარული აძლევს კოლვიცის შემოქმედებას განსაკუთრებულ წინაღობას, გერმანული რეალისტური ხელოვნების მდიდარი ტრადიციები მხატვარმა უშვალღეს საფეხურზე აიყვანა.

დაიბადა კეტე კოლვიცი 1867 წელს, ბერლინში. თავდაპირველად მშობლიურ ქალაქში სწავლობდა, შემდეგ კი მიუნხენში გადავიდა. ცოლად გაჰყვა ექიმ კარლ კოლვიცს, რომელიც ბერლინის მუსიკათა ერთ-ერთ უბანში მუშაობდა. კეტე კოლვიცი, რომელიც კარვად ხედავდა ყოველივე ახალსა და პროგრესულს, ხელოვანის უტყუარი ალღითი გრძნობდა, რომ სიმართლე მშრომელთა მხარეზე იყო. ცხოვრების მწვარე გაკვეთილებმა მა-

ლე დაარწმუნა, რომ სწორ გზაზე იდგა, თუმცა იმსაც გრძნობდა, რომ ეს გზა იოლი და ადვილად გადასასახიროდი იქნებოდა. რევოლუციურმა ქარცხცებმა მისთვის ამაოდ არ ჩაიარა. ნათელი გახდა მხატვრის მიზანი, ნამოყალიბდა მისი მოვლემბედელობა, კოლვიცის საყვარელი მწერლები იყვნენ: ზოლა, იხსენი, გერმანარტ შაპტმანი, ტლოსტოი, გოტიკი. მხატვრის ნაწარმოებებში უკვე აღრევე გამოვლინდა შემოქმედის იდეური მრწამსი. პიტლერის დროს არ დაკლებია არც ვესტბაოში დაკითხვებში და არც პრესის თავდესხმა. კეტე კოლვიცს ჩამოერთვა სახვითი ხელოვნების აკადემიის პროფესორობა, აიკრძალა მისი ნამუშევრების გამოფენები, გრავიკული ფურცლების ბეჭედა. მისი ხელოვნება ხომ ხმას იმალღებდა მავრალთა დასაცავად, ფაშიზმს ეწინოდა ამ ხმისა.

სიციცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ დაუღალა კეტე კოლვიცს ყალბი. თავისი მართალი შემოქმედებით, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მან ნაკლები როლი გააკეთა, ვიდრე იარაღით მეტრძობებმა. გარდაივივლა 1945 წელს ბერლინში, საბჭოთა ჯარების შესვლამდე რამდენიმე დღით ადრე.

კეტე კოლვიცის ნაწარმოებები მიმართულია უსამართლობის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის, ომისა და სიკვდილის წინააღმდეგ. ამ თემებზე შექმნა მან თავისი ცნობილი სერიები - ფიქტრთა აჯანყება" (ფოტორტები და ლითოგრაფიები, 1897-1898), "გალებია ომი" (ფოტორტები 1903-1908 წ.), "ომის სერია" (გრაფიურა ხეზე" 1923).

ეს არის შემამრწუნებელი ბრალდება ომის გამწაღებელთა წინააღმდეგ. კოლვიცის მხატვრული ენა ისეთივე ღრმა და მართალია, როგორც ძლიერი და მგზავალი. დაუღალავად ისწრაფვიდა კეტე კოლვიცი ეპოვა ისეთი გრაფიკული სტილი, რომელიც სრულყოფილად გამოხატავდა მისი ხელოვნების არსს. არც ერთი ფურცელი არ არის შესრულებული ზედაპირულად, გულგრილად, თვითიული ნაწარმოები იხსენებდა მრავალი ცდისა და შემოქმედებითი წვის შედეგად. თანმიმ-

დეგრულად ეძებდა ხელოვანი ტექნიკური საშუალებების სრულყოფის გზას.

კეტე კოლვიცი ვირტუოზულად ფლობს მრავალფეროვან და რთულ მხატვრულ ხერხებს. თავის პირველ ნამუშევრებში იგი ჯერ კიდევ სარგებლობს მაქს კლინგერის (კრიტიკული რეალისმის ფუძემდებელი გერმანულ გრაფიკაში) ტექნიკური არსენალით, მაგრამ სოციალური კრიტიკა, რომელიც ჯერ კიდევ გაუბედავია კლინგერის შემოქმედებაში, კეტე კოლვიცის ხელოვნებისათვის ძირითადია. ბრძოლისა და პროტესტის პათოსითაა გამსჭვალული მისი შემოქმედება. მხატვრის ნაწარმოებები სახავს ექსპრესივით, რომელიც ასე არ ჰგავს კლინგერის ობიექტივიზმს. მთავარი, რაც კეტე კოლვიცს თავის თანამოკალბეთაგან განასხვავებს, არის ის, რომ მისი ხელოვნება ბრძოლისაკენ მოუწოდებს დასა მალაი უშუამისხური დივლეუზის მხარეზე, ახლ გუზებს ხსნის გერმანული გრაფიკის ევოლუციასი.

ეს ნიშნები, რომელიც შეარწყმულია ნერვოზულ-ამალღებულ, საბჭოთაიკ გამომსახველობასთან, დაბნასათიებელია თანამედროვე გერმანული პროგრესული გრაფიკის განვითარების მეორე პერიოდისათვის. იგი მოიცავს ჩვენი საუკუნის 10-20-ან წლებს. ეს არის ექსპრესიონიზმის პატკონომის პერიოდი, რომელიც ამ დროს თვით ყველაზე მოწინავე ხელოვნებასაც ასავამს თავის დაღს. კეტე კოლვიციც ვერ ასცდა ექსპრესიონიზმის გავლენასა და იმ წლებში გარკვეული ხარკი მიუღო მას, მაგრამ მხატვარმა ძიებდა არ შეუწყვეტია, გამოიშუშავა საკუთარი სტილი, რომელიც მის ნაწარმოებებს სიჯანსაღით გამოარჩევს ექსპრესიონიზმით დაავადებულ მინიკათა შემოქმედებისაგან. კეტე კოლვიცის შემოქმედება ხომ საფუძველზე იდრმაღ რეალისტური. როგორც ჭეშმარიტად რეალისტი ხელოვანი, იგი ყოველთვის გაურბის მოვლენათა გარკვეულ წუსტ გადმოცემას. ოსტატურად იყენებს სწორ ხაზებს, მეტად გამომსახველია მისი ნახატი.

სიღეზილი ფიქტრების აჯანყებაში იხსენებდა ჩახშულმა მათმა ძახილმა ადამიანური არსებობისათვის, გერმა-

ფიქტრთა აჯანყება




ნაიში მთელი სიძლიერით დაყენა სოციალური საკითხი. თავისი გრაფიკული ციკლით „ფიქართა აჯანყება“ კქტე კოლეცია გერმანიის პროლეტარიატის სოციალური ბრძოლების მარალური სურათები დახატა.

ქვეით და ცუდებით შეირადებული გაქვალტყვევებული მუშები თავისი მებატრონის სახლს ემუქრებოდნენ. აქვეა დედა თავისი პატარაი, აქვე არიან ბავშვები, რომლებიც ეხმარებიან მშობლებს ქვების შეგროვებაში. უყურებთ ამ პირქუშ სახეებს. საოცრად დიდ ძარღვიან ხელებს და გჯერათ — ეს ხელები აუცილებლად გააკეთებენ დიდ საქმეს. გრაფიურა „აჯანყება“, ციკლიდან „ფიქართა აჯანყება“ შესანიშნავი ფურცელია მხატვრის შემოქმედებაში. მასში პატრონის განწირულბონის გრძნობა, რადგან ამ გამოსვლის ტრაგიკულ დასასრულს არ შეიძლება ამ მხატვრის შემოქმედებაშიც არ ებოვა გამოძახილი. სამჯეროდ, სერიაში „გლეხთა ომი“ მაყურებელი პათეტური ბრძოლის, საყოველთაო სახალხო რისხვის მოწვევებდა. მხატვრის ეს აქ უაღრესად გამომხატველია. დარდი, საკუთარი გულით განცდილი, ტანჯვა და სიყვდილი, საკუთარი თვალით დანახული, მან შესანიშნავად გადაიტანა თავის უკანასკნელ ციკლში „ომის სერია“. მხატვარმა შეგნებულად აირჩია თუხე გრაფიურის ტექნიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია დიდი ექსპრესია, სისადაე და ფორმათა ლაკონურობა. თავის ცნობილ გრაფიურში „ქეჩარა“ იგი საკუთარი ძალით გადმოგვცემს ადამიანურ მწყუხარებას და გრაფიკული ხელოვნების უმაღლეს მწვერვალზე ადის. ჩვენს წინაა შეგნებულ ჩაცმული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალი. ძარღვიანი ხელები, კავშირანი თვალები. მწყუხარედ გვერდზე გადახრილი სახე გვეგუნება, რომ ამ ქალს ძაღვს დიდი, მოუწოდებელი დარდი. ძალზე შთაბეჭდავია გრაფიურა ხეზე „მსხვერპლი“ (1923 წ.). ეს არის დედის

ბრალდება მათ წინააღმდეგ, ვინც ხალხებს თავს მოახტია თვარდამცემი ომი. ტანსაცმელმოძარცული დღას ქალი ვადამწვარი დედამწვის ფონზე. ეს არის დიდი შვიი ლაქა, რომელიც ომის შემდეგ დარჩათ მრავალი ტანჯვისა და სიყვდილის მოწვე. შემთხვევით გადარჩენილ ადამიანებს. მათ შორის არის ეს ახალგაზრდა ქალიც — დედა, რომელსაც მოუკლეს თავისი პატარა. და აი, მას ზევით აღუმართავს იგი, რათა ყველას დაანახვოს თავისი უბედურება. არა, იგი არ ყვირის, მას მაგრად მოკუმული აქვს პირი, მაგრამ ცრემლდებამომშრალი თვალები ყვირიან, და ეს ხმა იმდენად ძლიერია, რომ მაყურებელს გონია, ეს ჩუმი ყვირილი დაფარავს მთელი მსოფლიოს ქვეშეხების გრიალს. დედის ყველა ბრალდება, ამავე დროს გაფრთხილება, რომ აღარ განმეორებს წარსული, მან ხომ ადამიანებს სიყვდილი და სიცარიელე მოუტანა.

კქტე კოლეცის ერთ-ერთი შესანიშნავი სკულპტურული ნაწარმოებია „ჩივილი“. ჯარისკაცთა საფლავზე ჩაჩოქილან მშობლები. მათი შვილი ფლანდრიაში დაიღუპა უაზროდ. უსაზღვროა ამ ადამიანების სახეზე გამომხატული მწყუხარება.

პირველ მსოფლიო ომში კქტე კოლეცმა თვითონაც დაკარგა შვილი და ამიტომ მხატვარმა განსაკუთრებული სიძლიერით გადმოგვცა ქეშმარტიად ყველაზე დიდი ტრაგიაში. როდესაც კქტე კოლეცის სკულპტურული შემოქმედებაზე ვლანარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი შესანიშნავი „დედა ბავშვებთან“ (1935 თაბშირი). ეს დიდებული ძეგლია დედობრივი სიყვარულისადმი. მშობელი მთელი ტანით გადაყარება შვილებს და საკუთარ სხეულთი თითქოს საფრთხისაგან უნდა დაიხსნას პატარები. ღრმად გააზრებული თემა, შესანიშნავი კომპოზიცია, მოძრაობის ბრწყინვალე გადმოცემა ამ ნაწარმოებში მხატვრის ერთ-ერთ შესანიშნავ ქმნილებად აქტვებს.




დედა ბავშვებთან

მუშურებთ კქტე კოლეცის ბავშვებს, რომლებიც მათთვის ჩვეული უშუალობითა და გულუბრყვილობით მიპყრიან ყველაზე ახლობელსა და საყვარელ ადამიანს — დედას და უნებურად გახსენდება გერმანელი პოეტის ჰელმუტ პრაისლერის ლექსი:

„მოუფრთხილდით ჩვენს პატარებს, ბავშვებს, ისინი ხომ თქვენ ღმერთებად თვლიან, და ამბარის მათ ბავშვური ტირილი, ეს არსდროს არ მოუტანს ზიანს, დაისხინთ ეს ხელები ციციციციან, თორემ მათგან ნაყარდა კარჩხება აღიბარით მით გარშემო აქვლებად, შეუშალთ ხელი თამრის განჩენსა“.

კქტე კოლეცმა თავის შემოქმედებაში მთელი ნებით გამოთქვა ეს აზრი. პროგრესული გერმანული ხელოვნება აგრძელებს თავის შესანიშნავ ტრადიციებს. დღესაც კქტე კოლეცის ნაწარმოებების მნახველს ერთი აზრი იპყრობს. იბრძოლის იმისათვის, რომ არ განმეორდეს ომის საშინელება. კვლავაც იტირებენ და კვლავაც იციენებენ ბავშვები, ასეთია მათი ბუნება, მაგრამ ისინი მხოლოდ უნდა იცინონ და არასდროს არ ტირიოდნენ ისე, როგორც ტირიან კქტე კოლეცის სურათებში.

კქტე კოლეცმა გაბედულად აღიმაღლა თავისი ხმა იმ დიდი საქმისათვის ბრძოლაში, რომელსაც მშვიდობა ჰქვია და მისი დაბალბედი 95. წლის თავზე არ შეიძლება არ ვთავისებოთ ეს დიდი ხელოვანი და მოქალაქე.



ღვაწლმოსილი კელაგოში ქორეოგრაფი



ონსტანტინე ისაიისე ჩი-
ვაძე იტუფროდა იმ ზე-
ღოვასა აქლიდას, რო-
მელიც მთელი თავითი შეგნებულ
სიბერეა ჩვენი ეროვნული კულტურის
უანგარო სახსარის შეღების, თავად ქარ-
ჯი მოცეკვავე კ. ჩივაძე 40 წლის მანძილზე
დაუღალავად მოღვაწეობდა როგორც სო-
ლისტი და როგორც შესანიშნავი პედაგოგი.
კონსტანტინე ჩივაძე დაიბადა 1900 წელს
ქალაქ თბილისში. მამამისი ბილმოსანი კაცი
იყო და იცოდა როგორც შრომის, ისე
დასვენების ფასი. შაბათ-კვირაობით, მათი
სახლის ქვემო სართულში, მთელი კვირის
მანძილზე დადილობდა დაქანდული მუშები იუ-
რიონდენ თავს და ლაღობდნენ. პატარა კოტე
გატაცებით შესცქეროდა მათ ცეცხლს და
როცა ვიან დაბით ზეითი ავიდოდა, თა-
ვისთვის იმეორებდა ხანულ ლიტონებს...
პაპუის ასეთი გატაცება ცეცხლი შეუმ-
ჩნველი არ დარჩით შობობებს. ამიტომაც,

როცა მას 9 წელი შეუსრულდა, მიიპარეს
ცეცხლის კურსებზე, რომელსაც ცომათა ხელ-
მძღვანელობდა. გამოცდილმა ისტატმა თა-
ვადანვე მაიქილა უფრადებმა ნიჭით
ვაგუს, რამაც მალე გამოიღო სასურველი
შედეგი. ქართული ცეცხლების გარდა კ. ჩი-
ვაძე ცნობილ ბალეტმაისტერ მორტიანის
ხელმძღვანელობით კლასიკურ ცეცხლებსაც
იუფლებოდა.

გულმოდანე სწავლაში ითიქის შეუმწე-
ვლად გვიდა წლები და აი, 1920 წლიდან
კონსტანტინე ჩივაძე თვით სკიდებს ხელს
მოცეკვავეთა აღზრდას.

სწორედ ამ ხანებში ქ. თბილისში განათ-
ლების კომისარიატისა და ხელოვნების სამ-
სარეულოს ინიციატივით ჩამოყალიბდა
ცეცხვის დახელოვნების სკოლა, რომლის
ხელმძღვანელობაც კ. ჩივაძეს დაეკავა. აქ
მოსწავლეები იუფლებოდნენ ამოსავალუ-
რი და ევროპული ცეცხლების რთულ ტექნი-

კას. სკოლა მართავდა მხატვრულ დილენსსა
და საღამოს, რომლებიც ეროვნული სახე-
დარის კონცერტებში იყო სკოლის წარსი-
ნებული მოსწავლეებისათვის.

1924-26 წ. წ. კონსტანტინე ჩივაძე გამო-
დის თბილისის ოპერისა და ბალეტის სა-
ხელმწიფო თეატრში, როგორც სოლისტი.
1927 წელს კი იგი შეთავსებით იწევს მე-
შაბას კლუბში, რომელიც ამჟამად ილია
პავლევიის სახელს ატარებს.

თავის ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე
კონსტანტინე ჩივაძემ მრავალ ახალგაზრდას
შთაუბერა ცეცხის სიყვარული და გაუცაფა
გა ხელოვნებისკენ. მის აღზრდილთაგან
ბევრი დღეს კეთილსინდისიერად ემსახურე-
ბა ქართულ კულტურას. მათგან აღსანიშნა-
ვია, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის
ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობე-
ბი, რესპუბლიკის დამსახურებული არტის-
ტები: ვახტანგ გუნაშვილი, კოტე ლოლაძე,
გიორგი პატარია, საქართველოს ცეცხის
დამსახურებული ანსამბლის სოლისტები:
თამაზ კიკელიძე, ილია გიგინეილი,
ქარლოს წირქიაძე, ვედილ და ენვარ ჰუსე-
სიძეები. ქართული ბალეტური სიმღერისა და
ცეცხის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე
ნოდარ გაცირიძე, საესტრადო ორკესტრის
სოლისტები ვ. გიორგობიანი და ლევან ბე-
რულავა და სხვ. აქვე უნდა ითქვას ისიც,
რომ კ. ჩივაძის ბევრი უფოელი მოსწავლე
თავის აღზრდილის გზას დაადა და პე-
დაგოგურ მოღვაწეობას იწევა მოსკოვში,
ერევანში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

30-იან წლებში კ. ჩივაძე სახელმწიფო
აზრთაიანულ თეატრში მუშაობდა ქო-
რეოგრაფად. ამავე დროს, ხელმძღვანე-
ლობდა საქართველოს სსრ დილარმონის
ცეცხის ანსამბლს, რომელიც წარმატებით გა-
მოდიოდა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში,
არამედ მის ფარგლებს გარეთაც — მოს-
კოვში, ლენინგრადში, ბაქოში. ადგილობრი-
ვი პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა ანსამბლის
ხელმძღვანელსა და მისი წევრების მაღალ
კვალიფიკაციურებას.


კ. ჩივაძის, როგორც ქორეოგრაფისა და
პედაგოგის მოღვაწეობა განსაკუთრებით ნა-
ყოფიერი იყო ძერქვისის სახელობის კლუბ-
ში, სადაც იგი სიყვლილმდე მუშაობდა.
1958 წლის იანვრიდან მისი ხელმძღვანელო-
ბით ქორეოგრაფული წრის ნორჩ წევრები
მეურთბელს წარმატებით უწყვენდნენ არა-
მარტო ქართულ არამედ აზრთაიანულ,
უქრანულ, უზბეკურ ცეცხებს. ყველა ვინც
კი ერთხელ მაინც დაიწერებოდა ძერქვისის
სახელობის კლუბში გამოართულ ბავშვთა
თვითშემოქმედების საფარველს დაწერდნე-
ბოდა, რა დიდ მუშაობას იწეოდა ნორჩთა
ქორეოგრაფული წრეც, ის, რა თქმა უნდა,
უპირველეს უყოფისა, დამსახურება იყო
საქმიანი და მომთხრობი პედაგოგის კონს-
ტანტინე ჩივაძისა, რომელიც მთელი თავისი
საზრდილო პედაგოგური მოღვაწეობის
მანძილზე დიდი სიყვარულითა და სიფა-
ქიით ეციდებოდა მოზარდ თაობის
აღზრდას.

კ. ჩივაძის ცხოვრება და შემოქმედება
საინტერესო მაგალითი იყო იმისა, თუ რო-
გორ უნდა ემსახურო საყუთარო ხალხს, მის
ინტერესულ კულტურას, როცა ამისკენ მის
წირობებს ნამდვილად ადამიანური და მო-
ქალაქობრივი სინდისი.

მეცნიერების დღი

შენაკენი

შალვა კვასხვაძე



შალვა ამირანაშვილი

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის მეცნიერული ძიებანი ხელოვნების ისტორიის დარგში ვრცელია და მრავალმხრივი; მისი გამოკვლევანი, მონოგრაფიები, თუ კრიტიკული წერილები, მკითხველი საზოგადოების და ხელოვნებათმცოდნეების არა მარტო ღრმა ინტერესს იწვევს, არამედ აზრთა გაცხოველებულ გაცვლა-გამოცვლასაც.

დასახელებული შრომაც მეცნიერული კვლევისა და მისგან გამომდინარე განზოგადების ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

წიგნი გამოცემულია მდიდრულად, მრავლადაა წარმოდგენილი ფერადი რეპროდუქციები, გადაღებული ქართული მინაქრებიდან. მისი ფორმატი შრომისათვის ზედმიწევნით შესაფერისია, მოხერხებულია და მეტად პორტატული. პოლიგრაფიის მხრივაც უნაკლოა ეს წიგნი, მრავალფეროვნაა მისი შრიფტი. წიგნის გაფორმებას, თანადროულ ხასიათთან ერთად, აქვს აკადემიურიზაც, ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით. სუპერი, ყდა და ტიტული დაბეჭდილია და მსატყრულად სრულყოფილი. (ხელმძღვანელი გამომცემლობის დირექტორი შარლ ფელდი).

ამ წიგნით აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს, ასე ვრცლად და სისტემატიზებული სახით, პირველად გააქვს საჯაროდ საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის მიერ შექმნილი დიდი და იშვიათი განძი — ქართული მინაქრისა.

ქართული მინაქრის საკითხები, მოცემული ამ წიგნში, თავისთავად დიდი მნიშვნელობისაა. მისი ისტორია, ტექნი-

გ

ასული წლის მიწურულში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ვრცელსა და მდიდარ წიგნსაცავს ფრანგულ ენაზე გამოცემული ერთი წიგნიც შეემატა. ამ წიგნზე გაკრული ხელით გაკეთებულია წარწერა — „საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკას. შალვა ამირანაშვილისაგან. 20. 12. 62 წ.“ თარგმანში წიგნის ტიტული ასე იკითხება:

საკვირველებანი ხელოვნებისა აღმოსავლეთში
საქართველოს მინაქრები

ტექსტი შალვა ამირანაშვილისა
სახვითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორი
გამომცემლობა „ხელოვნების წრე“. პარიზი.



ლოგია, თუ მხატვრულ-ესთეტიკური რაობა, სტილი, კულტურული კაცობრიობისათვის ხელმძღვრელი პირველად სწორედ ამ წიგნით ხდება. შრომაში ნათელი ყოფნება ბურჟუაზიის მიერ მრავალ პრობლემას, დაკავშირებულს როგორც მსოფლიოს სხვა ხალხთა, ისე ქართული მინაქრის ხელოვნებასთან.

ქართული მინაქარი მართლაც საკვირველებია, არა მარტო მხატვრული, არამედ ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც. როგორც ირკვევა ამირანაშვილის ამ შრომიდან, მას მხარაშვის საკუთარი წესი სდებია საფუძვლად და საკუთარი კოლორისტული ამოცანები, ზუსა და სისტემაც ჰქონია.

წიგნის ფრანგული თარგმანი, რომელიც ხელოვნებათმცოდნე ბან ფ. პირშს ეკუთვნის, ბრწყინვალედ არის შესრულებული, დაცულია შრომის ავტორის სტილი. წიგნის დართული აქვს 122 ფურადი ტაბულა. ფოტოები გადაღებულია თბილისში გამოცემლობა „ხელოვნების წრის“ დაკვეთით მხატვარ ბან პიეს მიერ. ისინი უნახლოა, არა მარტო მინაქრის ცალკეული ფერის ლიკალის, არამედ მილიანი კოლორისტის შენარჩუნების მხრივაც.

შალვა ამირანაშვილი ამ წიგნით პირველად აყენებს საეხებით ახალსა და ორგინალურ თვალსაზრისს, რომელიც დასაბუთებულია დიდი მეცნიერული სიზუსტით. იგი ადგენს ტექნოლოგიას ისტორიულ-მხატვრულ სტილისტიკურ ძიებათა საფუძველზე, მთხერხებულად იყენებს ჩვენს დრომდე შემონახულ მრავალფეროვანსა და მიღადარ ისტორიულ მასალებს.

ქართული სახვითი ხელოვნება, როგორც ცნობილია, სათავეებს, უსოფარი დროიდან იღებს. არქიტექტურა, მხატვრობა თუ გამოყენებითი ხელოვნებანი ადსტურებს ქართულ ხალხის დიდ შემოქმედებით პოტენციას, აჩვენებს მის უმრეტ დანტხაის. ამ სასწაულია შრომის უღაოდ ერთ-ერთი სასწაულია ქართული მინაქრის ხელოვნობაც.

ისეთი ორიგინალური და დიდად მნიშვნელოვანი დარგი, როგორც არის ქართული მინაქარი, ამ წიგნამდე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ თვით შ. ამირანაშვილის შრომებს) ჯერ კიდევ არ ყოფილა ყოველმხრივ და მონოგრაფიულად შესწავლილი. არ ყოფილა ცალ-ცალკე განხილული ქართული მინაქრის სადაურობის, წარმოშობის, ტექნოლოგიის, სტილისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

როგორც ცნობილია, ქართული ხელოვნებისა და კერძოდ მინაქრის ისეთი დიდი მკვლევარის ძირითადი დებულებანიც კი როგორც ნ. კონდაკოვი იყო, ზოგ რამეში მცდარია. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს ის დიდი დამსახურება, რაც ნ. კონდაკოვს მიუძღვის ქართული მინაქრების შესწავლის საქმეში. ნ. კონდაკოვმა პირველმა განასხვავა ერთმანეთისაგან ქართული და ბიზანტიური მინაქრები. მაგრამ პრობლემის შესწავლის მაშინდელმა დონემ, თუ მკვლევარის მხატვრულ-ესთეტიკურმა და მეცნიერულმა კონცეპციამ, არ მისცა მას საშუალება გასაყოფინა არამც თუ ობიექტური, სახელოვნებათმცოდნეო ხასიათის დასკვნები, არამედ მეცნიერულ-ტექნოლოგიურიც კი.

სწორედ ამიტომ დარჩა გაუგებარი კონდაკოვისათვის ქართული მხატვრული მინაქრის მალაღი ტექნიკური ოსტა-

ტობა. მისთვის დამახასიათებელი პოლიფონიურობა, კერძოდ ფონიზმის ის პრინციპები, რაც ასე ნიშანდობლივია ქართულ სულისათვის, მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურის თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგებში. იგი თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი ჯერ კიდევ წინა ქრისტიანული ხანის ქართულ ხელოვნებაში, კერძოდ ოქრომჭედლობაში.

ქართულ მინაქრთა შესახებ უკვეთი თვალსაზრისი არ არის განვითარებული წიგნში „Собрание М. П. Боткина“, სადაც ვკითხულობთ: „გამთავრებ რა ძველი ქვეყნის მიმოხილვას, ჩემს თავს ნებას მივცემ გადავიდე შესანიშნავ კულექციასზე, რომლის მსგავსი არ არის ევროპის არც ერთ მუზეუმში — ეს არის კრებული ბიზანტიური ემალობის (? შ. კ.). უმეტეს შემთხვევაში ისინი წარმოდის გეგმიან საქართველოდან, თავისუფალი სეპარატიზმი (ითითეს განენიხი საჭარბელონ იყოს, შ. კ. გვ. 30) და თონიდან“ შემდეგ ვიგნის ავტორი ასკვნის: „ქრისტიანული საქართველო მფლობელი იყო ბიზანტიური ხელოვნების მრავალრიცხოვანი ნაწარმოებისა. ამგვამდ მრავალ ელუსიანო ჯერ კიდევ ინახება ხატები, შემკული ბიზანტიური მინაქრითა, და იგი ასახელებს ხახულის, ზონის, შემოქმედის, ჯუმათის, მარტილის და კერძო პირებთან დაცულ ხატებს; უფრო ქვემოთ კი შავით თეთრზე იგი წერს — „ყველა ეს ხატი შექმნილია ბიზანტიულ ოსტატთა მიერ (?), ზოგიერთი მათგანი საკანგებოდ მზადდებდა საქართველოსათვის და ამის გამო აქვთ მათ ბერძნული და ქართული წარწერები“ (! შ. კ. გვ. 31).

ბოტკინის კრებული წარმოდგენილ ყველა ქართულ ნიმუშს მიწერილი აქვს „ბიზანტიური“, და ამრიგად წიგნში მოცემულია არასწორი თვალსაზრისი აქაა სინამდვილის საპირისპირო ცნობებზე, იმის შესახებ, რომ თითქმის ქართულ მინაქრებში ტიხრებს არ გააჩნდეთ თავიანთი ნახატი, თითქმის და ოქროს ჰქონდეს მეტი მინარევი ლოგატურისა, და რომ თითქმის ტიხრები ბიზანტიური უფრო მდგრადი იყვნენ, ვიდრე ეს არის ქართულში“ (გვ. 32) ქართული მინაქრის შესახებ ამ თვალსაზრისის იზიარებდნენ და იზიარებენ, საწუხაროდ, სხვა ავტორებიც სწორედ ამიტომ რჩებოდა ქართული მინაქრის პრობლემა ყოველთვის გადაუწყვეტილი (გამონაკლისი შეადგენს თვით შ. ამირანაშვილის შრომები). თითქმის ყველა ავტორი, თვით ისინიც კი, რომლებიც არ სცნობდნენ ქართული მინაქრის დიდ ღირსებებსა და რაც შემთხვევაში წარმოშობის ქართულობასაც ითვლიდნენ, რომ ქართული მინაქარს გააჩნდა რთული ტექნოლოგია და თავისებურებანიც, ასე განსხვავებული სხვა ხალხთა მინაქრის წარმოების ტექნოლოგიასთან. ანალოგიური თვალსაზრისის ანეითარებდნენ ქართულ მინაქრის მხატვრულ-სტილისტიკური მხარის შეფასებებისასაც. ასე მაგალითად, ამ ტექნიკის სინდრის მიხედვად, ზემოთ მითითებულ წიგნში დასახელებულია თითქმის და მინაქრის დამზადების წესის არ ცოდნა თუ დაკარგვა — „წესის დაკარგვა თითქმის შეუძლებელს ხდის ყალბის ქმნასა...“ შემდეგ კი იქვე ვკითხულობთ — „მე მომიხდა რამდენიმე ყალბის ნახვა, მაგ-

რამ ყველა ისინი იყო ძალზე უხეში. ნახატი მათი უსახო იყო, ხოლო ფერების მხრივ ისინი გაცილებით არასრულყოფილი და დაუმთავრებელი იყვნენ" (იქვე გვ. 32).

აკად. შ. ამირანაშვილი პირველი ცდილობს გააფანტოს ყოველგვარი მცდარი შეხედულებანი და მოუპოვოს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი ქართულ მხატვრულ მინაქარს, ერთის მხრივ აჩვენის იმ შეხედულებათა სიმყდარე, რომლებიც ქართული მინაქარის შემქმნელ ხალხს ართმევს, და სხვა ხალხს მიაკუთვნებს. მეორე მხრივ, იგი ამტკიცებს ქართული მინაქარის ორიგინალობას და მის დიდ მნიშვნელობას, როგორც მხატვრული, ისე ისტორიული და ტექნოლოგიური მხრივაც. ავტორი ბრწყინვალედ ასაბუთებს ამ თვალსაზრისის სისწორეს.

პირველ თავში — მინაქრები ოქროზე, — ავტორი ადასტურებს, რომ საქართველოში, განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან, მინაქარი კეთდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ოქროზე. მიმოიხილავს რა მასალას, სისუსტით ადვენს, რომ მინაქარის ხელოვნება ძველ ქართული ხელოვნების შესანიშნავსა და თავისებურ დარგს წარმოადგენს. ქართულ მხატვრულ მინაქარს, როგორც რაოდენობის, ასევე მხატვრული ღირსებისა თუ მეცნიერული მნიშვნელობის მხრივ მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში მეტად თვალსაჩინო, თავისებური და განსხვავებული ადგილი უჭირავს. ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენ დრომდე ქართულმა მინაქრებმა მოაღწიეს უმთავრესად ხატების, მედალიონების, ხელნაწერთა ყდების შემკულობის, ჯვრების, გულსაკიდების, სანაწილეებისა და სხვათა ნივთთა სახით.

ამას მოსდევს ქართული მინაქარის მეცნიერული კვლევის ისტორიის მიმოხილვა. დაწრილობით განიხილავს მკვლევართა შეხედულებებს ქართული მინაქარის საკითხებზე და მეცნიერული სისუსტიით, ობიექტურებით იძლევა მათი ღვაწლის შეფასებას, თუ მცდარ შეხედულებათა კრიტიკას.

ავტორს მოეცემული აქვს ქართული მინაქარის ძეგლების საოცრად ზუსტი კლასიფიკაცია, მათი დათარიღება, როგორც მხატვრულ-სტილისტიკური ასევე ისტორიული მასალის დაკვირვებული ანალიზის შედეგობით. იგი ადვენს საკვლევი მოვლების ყოველ წერტილმანაც კი. მინაქარის ტექნოლოგიის დიდი ცოდნით აშუქებს აქამდე ბუნდოვან საკითხებს და კარგად ახერხებს ამ გზით ბიზანტიური და ქართული მინაქარის ერთმანეთისაგან გამიჯვნასა და გამოყოფას.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ჩატარებულ კვლევებს საფუძველზე, ავტორს დადგინილი აქვს ქართული მინაქარისათვის დამახასიათებელი თვალსაჩინო და არსებითი განსხვავებანი, როგორც სმალტის დამზადების, ასევე ფერებისა თუ ტიხრთა მოხმარების მხრივაც. პირველად არის მითითებული ლეინის ფერის ელფერთა გამოყენების საიდუმლოებაზე, რომელიც სხვა ხალხთა მინაქრებში არ ვხვდებოდა. ქართულში იგი, როგორც ამას ავტორი ამტკიცებს, ემყარება სმალტში მინაქარის შერევის წესს. ეს წესი საქართველოში მხატვრული ყოფილა ძველთაგანვე და მას ავტორი ხსნის ჩვენში მარგანეცის მოხმარებით.



MERVEILLES DE L'ART EN ORIENT

LES ÉMAUX DE GÉORGIE

ÉDITIONS CERCLE D'ART PARIS

ამრიგად, იგი დაკავშირებულია ადგილობრივ მასალასთანაც კი.

ქართული მხატვრული მინაქრები გაანალიზებულია მათი კომპოზიციისა და კოლორიტის მხრივაც, როგორც ორიგინალური და უაღრესად მაღალ-მხატვრული ნაწარმოებები. განსაკუთრებით ხაზგასმულია მათი მხოლოდ და მხოლოდ ოქროზე დამზადების წესი.

ქართულ მინაქარში ოქროს ტიხარი ძალზე სიფრთხანა და თხელია. ამის გამო იგი გაოცებს და ეჭვს იწვევდა. უკვირდით, როგორ შეეძლო ასე თხელ ტიხრის გაეძლო ისეთი მაღალი ტემპერატურისათვის, რაც ესაჭიროება მინაქარის მოდულებას. მინაქარისა და მის ტიხართა საიდუმლოება საუკუნეების განმავლობაში აუხსნელი რჩებოდა. ამ წიგნში ავტორს ახსნილი და დადასტურებული აქვს, რომ მინაქარის დამზადება, განსხვავებით სხვა ხალხთა მიერ მოხმარებული ტემპლოებისაგან, ემყარებოდა ე. წ. ციერ წესს და რომ შეეაფუძნებინა ამ წესს საქართველოში უწოდებდნენ რჩილვას.

შრომში მოტანილია მეტად დამაჯერებელი ისტორიული ხასიათის მასალა, იმის შესახებ, რომ რჩილვა ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში გადმოტანილი იყო უძველესი ქართული ოქრომჭედლობის წესიდან, რომ ძველ, წინა ქრისტიანულ ქართულ ძეგლებშიაც ყოფილა საკუთრივ ქართული წესი რჩილვას.

ერკლავა მოცემული ჩვენს დროში ამ წესის საიდუმლოს გახსნის ისტორია და ის დამახაზურება, რაც ამ საქმეში მი-

უძღვის აწ განსვენებულ ინჟინერ-ქიმიკოს ირაკლი ტარუა-
შვილს (გვ. 14). მკვლევარს დადგენილი აქვს მინაქრის
ცივი წესით დამუშავების დიდი მნიშვნელობა და მისი, თუ
შეიძლება ასე თქვას, ქართული წარმომავლობაც. მოცემულია
დაწვრილებითი სტილისტიკური ანალიზი, იკონოგრაფიის
მიმოხილვა, ურთიერთ შედარება ბიზანტიური და ქართული
წარმომავლობის მინაქრებისა, მათი ტექნოლოგიური და
ტიხრული განსხვავება, დაკავშირების ტექნიკის სირთულე
და სიმარტივე. ამ ტექნიკის საიდუმლო ცნობილი ყოფილა
მხოლოდ საქართველოში და იგი გამჭარალა ჯერ კიდევ XV
საუკუნეში. ხუთი საუკუნის შემდგომ ეს ტექნიკა კვლავ იქნა
აღდგენილი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინჟინერ
ი. ტარუაშვილის მიერ. წიგნში ვრცლად არის მოტანილი
ტიხრული ქართული მინაქრის დამზადების ტექნოლოგია.
მკითხველი აქ პირველად ეცნობა ამ საქმის საიდუმლოებას.

თრიალეთის გათხრების მასალებიდან, ვიდრე უკანასკ-
ნელ დღეებამდე, ისტორიული მასალის მხატვრულ-სტილის-
ტიკური და მეცნიერული ანალიზი შ. ამირანაშვილს საშუა-
ლებას აძლევს გააკეთოს დასკვნები და განავითაროს სრუ-
ლიად ახალი, ნათელი და მართებული დებულება, რომ ქარ-
თული ცივი რწილვის წესი და ქართული მინაქრის მხატვ-
რულ-სტილისტიკური იერი ჩამოყალიბებული ყოფილა სა-
ქართველოში ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოღებისა და მისი
ხელოვნების ჩამოყალიბებამდე. მინაქრის დამზადების ძველი
წესი ჩვენში გამოუყენებიათ ქრისტიანული ხელოვნების
ძველთა შექმნისას და იგი არავითარ შემთხვევაში არ ყოფი-
ლა შემოტანილი უცხოეთიდან.

ამ საკითხთან დაკავშირებით განვითარებულია მართებუ-
ლი თვალსაზრისი კიევის რუსეთში (X საუკუნე) მინაქრის
ხელოვნების დამოუკიდებელი წარმოშობის შესახებაც.

მეტად საინტერესოა წიგნში მოცემული განხილვა ტერ-
მინის „მინაქრისა“. მკვლევარი ადასტურებს, რომ ჩვენში
ცნება „მინაქრი“ გაჩენილა არა უადრეს XVI საუკუნისა,
და რომ ამაზე ადრე საქართველოში ხმარობდნენ ტერმინს
„ხატი მინისაი“ (X ს.).

განხილულია ასევე ტერმინის — შემფუძნონის წარმომავ-
ლობაც და ამ ცნებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ეს
ნაწილი წიგნისა მეტად საინტერესოა და ავტორის დიდ ერუ-
დიციასა და მეცნიერული განზოგადების უნარს ცხადყოფს.

საყურადღებოა და ამომწურავი ქართულ მინაქრათა კო-
ლექციების მოძიარობის ისტორია. დაწერილებით არის მითი-
თებული მათი ადგილსამყოფელები, გადატან-გადმოტანა,
გატაცებთა და დაბრუნებთა დეტალები, მითითებულია
ქართულ მინაქრთა დღევანდელი ადგილსამყოფელები —
ბერლინის, მადრიდის, პარიზის, ბელგიის, კერძო პირთა კო-
ლექციები, იერუსალიმის მაცხოვრის ტაძრის საგანძური, ან-
ტიკის მეტროპოლიტენის მუზეუმის კოლექცია და სხვ. წიგ-
ნის ამ ნაწილში მოცემულია არა მხოლოდ ისტორიული მი-
მოხილვა და ანალიზი, არამედ ზუსტი, ახალი და ორიგინალ-
ური დასკვნებიც. დასაბუთებულია ქრისტიანული ხანის
ქართული მინაქრის წინა ქრისტიანული ხანის ქართული ხე-
ლოვნებისაგან წარმომავლობა, და, რაც მთავარია, ამ მინაქ-
რის მაღალი მხატვრული ღირსებები, მისი ტექნოლოგიის
დამოუკიდებელი და განსხვავებული წესი.

აკად. შ. ამირანაშვილის „ქართული მინაქრის“ გამოცემა
ფრანგულ ენაზე ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი დიდი
შენატყნა არა მარტო ხელოვნების ისტორიის მეცნიერებისა,
არამედ სხვა მომიჯნე მეცნიერებათათვისაც. იგი სასწებით
აზღებურად აყენებს ქართული ხელოვნების მრავალ პრობ-
ლემას.



სარედაქციო სტენარია

გიორგი გიგოლაშვილი



სარედაქციო სტენარიის დამუშავება მეტად საპასუხისმგებლო სტადიაა საერთოდ ფილმის შექმნის პროცესში და მას კინომოყვარული განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეცილოს.

სარედაქციო სტენარია რეჟისორმა ლიტერატურულ მასალას უნდა მისცეს რაც შეიძლება ზუსტი კინემატოგრაფიული ფორმა და ხარისხი. ყველაფერი გადაღების თვალსაზრისით უნდა იქნეს გათვალისწინებული და განაგრძებული. ამავე დროს უნდა დაიხვეწოს და დაზუსტდეს მომავალი ფილმის წყობა. სტენარია, ჯერ კიდევ ლიტერატურულ გაიანტიში, შედგებოდა რამდენიმე გარკვეული ეპიზოდისაგან. ახლა უნდა დაიხვეწოს უფრო მეტივე სტენარია და ცალკე კადრებად, ხოლო ყოველი კადრი უნდა გამოიყოს და დამუშავდეს ისე, რომ შემდგომ შეიძლებოდეს მისი ცალკე გადაღება და თანმიმდევრობით ამ კადრების აწყობა, ანუ მონტაჟი.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ კადრზე, მხედველობაში გვაქვს ის ნაწილი, რომლის რედაქციის მიზანია კადრის ერთი განუწყვეტელი მოძრაობით, მისი ჩართვიდან შეწყვეტამდე. ამიტომ კადრი წარმოადგენს ფილმის დაყოფის უმცირეს ერთეულს.

სარედაქციო სტენარიის დამუშავების დროს რეჟისორმა ზუსტად უნდა განსაზღვროს თვითველი კადრი, როგორც მისი შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. უნდა დადგინდეს, თუ როგორ და რა წესით იქნება გადაღებული ესა თუ ის კადრი — რა

ხედით, რა სიდიდით (რა პლანით) და რა ხანგრძლივობით წინასწარ უნდა დაზუსტდეს თვითველი კადრის სტრუქტურა (წამებში და მეტრებში), ხოლო აქედან კი განისაზღვროს — რა სიგრძისა იქნება ესა თუ ეს ეპიზოდი და მთელი ფილმი.

ამისათვის რეჟისორსა და მის უახლოეს თანამშრომლებს დასჭირდებათ ყოველი კადრის წინასწარი გათვალისწინება — ეს იგი ნორმალური ტემპით ყოველი საჭირო მოძრაობის შესრულება და დიალოგის წარმოთქმა, რაც უნდა აიზოვოს ქრონომეტრით ან ისეთი საათით, რომელსაც წამის მაჩვენებელი ისარი აქვს. მიღებული წამების რაოდენობა გამოხატავს ყოველი კადრის ხანგრძლივობას რაც გადაყვანილი უნდა იქნეს მეტრებში, რათა დადგინდეს ყოველი კადრის, ეპიზოდისა და მთელი ფილმის მეტრაჟი.

აქ საჭიროა გავსოფდეს, რომ სხვადასხვა ტიპის (ან, უკეთ რომ ვთქვათ, სივანის) ფირის სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობს აპარატში და ამ სხვადასხვა ფირის თვითველ მეტრში კადრების რაოდენობაც სხვადასხვაა.

ჩვეულებრივ, პროფესიულ კინემატოგრაფიაში მიღებული (35 მმ) ფირის მოძრაობის სიჩქარე უდრის 24 კადრს წამში, რაც დაახლოებით გვაძლევს ერთ მეტრს ყოველ 2 წამში, რადგან ამ ფირის თვითველ მეტრში 52 კადრია.

მასმასაღამე, თუ 35 მილიმეტრიან ფირზე ვმუშაობთ, მეტრაჟის გამოსანაგარიშებლად ეს ნორმები უნდა მივიღოთ. ამიტომ წამების ის მაჩვენებლები, რომლებსაც ჩვენ მივიღებთ კადრების თუ ეპიზოდების ქრონომეტრული აზომვის შედეგად, უნდა გავყოთ 2-ზე, რაც მოგვცემს მეტრაჟს.

მაგრამ მოყვარულთა კინემატოგრაფიაში უფრო ხშირად იხმარება 16-მილიმეტრიანი და 8 მილიმეტრიანი აპარატურა, რომელთაც ასახაობები შემდეგი მაჩვენებლები:

16-მილიმეტრიანი ფირის თვითველი მეტრში 131 კადრია. თუ იგი აპარატში იმობრავება წამში 16 კადრის სიჩქარით, რაც ხდება ხოლმე მუნჯი გადაღებების დროს, ყოველი ერთი მეტრი ფირი გაირბენს 8,2 წამში. მასმასაღამე, აზომვის შედეგად მიღებული წამების რაოდენობა უნდა გაიყოფს არა 2-ზე, არამედ 8-ზე (მრგვალად), რაც მოგვცემს ამას თუ იმ კადრისა თუ ეპიზოდის მეტრაჟს. მაგრამ თუ ფირის სიჩქარე წამში უდრის 24 კადრს (ეს ზოგჯერ საჭიროა სინქრონული ხმოვანი გადაღების დროს), მაშინ ყოველი 1 მეტრი ფირი გაირბენს 5,5 წამში. მასმასაღამე, წამების რაოდენობა გაიყოფა 5,5-ზე და ჩვენ მივიღებთ ამ ტემპისათვის შესაბამის მეტრაჟს.

8-მილიმეტრიანი ფირის თვითველ მეტრში 262 კადრია. ამიტომ ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები ამის მიხედვით შეიცვლება. პირველი სიჩქარით 1 მეტრი ფირი გაირბენს 16,4 წამში, ხოლო მეორე სიჩქარით 11 წამში.

მაგრამ დაგურუნდეთ ისევ სარედაქციო სტენარია. სარედაქციო სტენარიაში მისი მიღებული გარკვეული ფორმა. მასში აღინიშნება კადრის რიგითი ნომერი, გადაღების ობიექტისა და ადგილის დასახელება, პლანის (ანუ კადრის) განზომილება, მისი მეტრაჟი, შემდეგ კადრის შინაარსი, დიალოგითა და სადიქტორო ტექსტით (თუ ასეთი ახლავს).

გადაღების ობიექტი და ადგილი აღინიშნება მისი მიხედვით, თუ სად წარმოებს გადაღება. მაგალითად, თუ გადაღება



უნდა ჩატარდეს მინდვრად, იწერება: „ნატურა—მინდორი“. თუ გადაღება დეკორაციაშია, რომელიც, დაეუწყათ, წარმოადგეს საკლასო ოთახს, იწერება: „დეკორაცია (ან პავილიონი) — საკლასო ოთახი“ და ა. შ.

შემდეგ აღინიშნება პლანის განზომილება, ანუ გამოსახულების სიშორე და სიღრმე.

პლანის განზომილება აღინიშნება შემდეგნაირად:

ა) საერთო პლანი — როდესაც მოჩანს მთელი გადასახები ობიექტი; თუ ეს დეკორაცია — მთელი დეკორაცია, თუ ნატურა, ვთქვათ, ეზო ან მიედანი — მთელი ეზო ან მიედანი.

ბ) საშუალო პლანი — საერთო პლანის გამსხვილება ან მოახლოება. კადრში მოჩანს უკვე არა მთელი დეკორაცია თუ ობიექტი, არამედ მისი ნაწილი, ხოლო მოქმედი პირები — მთელი სიმაღლით.

გ) მსხვილი პლანი — საშუალო პლანის შემდგომი გამსხვილება და მოახლოება, როდესაც კადრში მოქმედი პირი მოჩანს წეღს ზევით, ან კადრში მარტო სახეა, ან მსხვილად გადაღებული საგანი, დეტალი და სხვ.

ზოგჯერ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე კადრში მოხდეს გამსხვილება, ე. ი. ობიექტის ან ადამიანის მოახლოება. მაშინ ეს უნდა აღინიშნოს ცალკე შენიშვნაში.

საერთოდ, რეჟისორის ყოველგვარი დამატებითი შენიშვნები ამა თუ იმ კადრის გადაღების ხერხის შესახებ, ყოველგვარი პირობის დასუბუტება, ცალკე უნდა იყოს ჩაწერილი სარეჟისორო სცენარში, სადაც ამისათვის სპეციალური სვეტია გამოყოფილი.

ქვემოთ მოვყავს ასეთი ფორმით დამუშავებული სარეჟისორო სცენარი, რომელიც გაკეთებულია ჩვენთვის უკვე ცნობილი ლიტერატურული სცენარის საფუძველზე:

„გული გულს იცნობს“

(სარეჟისორო სცენარი)

შენიშვნა: მიტრავი ყველან მოცემულია 35 მილიმეტრიათი ფირისათვის.

კადრის №	გადაღების ობიექტი და ადგილი	პლანი	შეტრუბი	კადრის შინაარსი	შენიშვნა
1	ნატურა მთის ხეივანი	საერთო შორეული	3	შორეული მყინვარის წვირის შიშის პირველი სხები ექვანა ცაზე მატრად დარჩენილი ღრუბელი გახატდება.	დაბნეულ-ბილან
2	"	"	2	უფრო ახლოს. მთის თბიშზე მიწოლილი ნისლი იწყებს აშლას.	
3	ტყე	საშუალო	3	ტყე. წინა პლანზე რამდენიმე ხე შერბილება. ფოთლები გაიშრიალებს. უკანა პლანი ნისლია. ზიდან ხეზე ჩირტი გადაფრინდება. დაუსტვენს და ისევ მიჩნეულდება.	

4	ტყე	საერთო შორეული	3	ერთ-ერთი ხის ტოტი უფრო ახლოს ჩანს. ფოთლები უფრო ექვანა, ნელ-ნელა ჩამოიშლება და მერჯე ფოთლოვანი დაცემა.	ფეხის ხმა, მაღალი ნე-
5	"	საერთო	5	ხეებს შუა, ნისლი, გამოიწვევს ორი მონადირე. ფეხ-აქრფით მოიან. აქით-იქით იხედებიან.	
6	"	საშუალო	6	მონადირეები უახლოვდებიან ნაპირს; ჩერებიან. ერთმანეთს ხელთ ანიშნებენ რაღაცას. ჩასაფრდება ან მახლობელ ბუჩქებში და თოვებს იმარჯვებენ.	
7	ნაპირი	საშუალო	6	ნაპირიდან დინჯად გამოიშლის ხარი ირემი.	
8	ტყე	საშუალო	3	ირემი, თავადრილი, დინჯად მოაბიჯებს. უახლოვდება ბუჩქს, სადაც მონადირეა ჩასაფრებული, ჩერდება მის წინ.	
9	ტყე	მსხვილი	4	შეჩერებული ირემი უცქირის ჩასაფრებულ მონადირეს, რომელიც თოვდამოშვებული უძრავად ზის (ხელი მონადირის მხრდან იშის მიმართულებით).	ტყის ხმა-ური, ჰრინები ის ჩხა
10	"	"	2.5	საწინააღმდეგო ხელი. ირემის რქებს შუა ჩანს მონადირე. მას გაოცებული სახე აქვს. თვალს არ აშორებს ირემს.	"
11	"	საშუალო	3	ირემი და მონადირე გაიჩრეტული პირისპირ.	"
12	"	მსხვილი	2	შეორე მონადირე თავის საფარში მონადირედან გამოსული შეკვირვებს: — ეს რაღაცეა, ილია, ეს რაღაცეა!	
13	"	მსხვილი	1.5	ილია არ იმბრევა, თვალში ოღონდ გაუფრთხილება.	
14	"	საერთო	2	ირემი მოხატვას, მერჯე უცხებ შეიკუმშება, სწრაფად გადახტება და ტყეში ქრება.	ირემის ფეხის ხმა და ტოტი-ბის ტყე-ცა-ტყე
15	"	საშუალო	2	მეორე მონადირე წამოვარდება ზეზე. წყრბობით წამოიხატება — შენც მონადირეს უწოლები შენს თავს! —	
16	"	მსხვილი	2.5	იგივე მონადირე წყრბობით გახატობს: — ცხირწი იმ ირემი გაგჩერდა, შენ კი ხელიდან გაუშვი!	
17	"	საშუალო	3.5	ილია ფეხზე ამომდგარი. სინანულით ამბობს: — რა უნდა მექნას! ისეთი წლდობით მოვიდა ჩემთან... ამ ღალატუნებელ ვერო წყაროთი ამაყი შეილი.	
18	ტყე	მსხვილი	6	ორივენი მიუახლოვდნენ ერთმანეთს. ილია განჯარბობს: — შენ რომ არ დაეფრთხო, მოვებევილი, აწმარს ვაუტუხავილი ეფროლი სმობს.	(დაბნელება)

როგორც ვხედავთ, მთელი ეს ეპიზოდი მოითხოვს 18 კად-

რის გადაღებას, ე. ი. რ ე ქ ი ს ო რ მ ა, ოპერატორმა და, საერთოდ, კოლექტივის ყველა მომუშავემ, 18-ჯერ უნდა აირჩიონ გადაღების წერტილი, თითქმის ამდენჯერვე დააყენონ აპარატი, დააზუსტონ კადრი, მოარგონ ობიექტივი და დააყენონ ფოკუსი, განსაზღვრონ საჭირო სინათლე, ჩაატარონ კადრის რეპეტიცია და შემდეგ გადაღება.

გარდა ამისა, ეპიზოდის სიგრძე, ანუ სასარგებლო მეტრაჟი, უდრის დაახლოებით 60 მეტრს (ის გაივლის კვრანზე დაახლოებით 2 წუთის განმავლობაში). მაგრამ პრაქტიკა გვასწავლის, რომ ჩვეულებრივ, გადაღების დროს, გაცილებით მეტი ფირი იხარჯება. ზოგიერთ კადრს რამდენიმეჯერ დასჭირდება გადაღება — ან მსახიობის (თუ ცხოველის) მოძრაობა არაზუსტი იქნება, ან ოპერატორს მოუვა რაიმე შეფერხება, ან სხვა რამე შეუშლის ხელს და, მაშასადამე, კადრი ხელახლა იქნება გადასაღები.

ამიტომ გადაღებისათვის საჭირო იქნება ფირის მეტი მარაგი. მხატვრული კინოფილმის გადაღებისას ფირის ხარჯს საშუალოდ ითვლისწინებენ 8-ჯერ მეტს, ვიდრე სასარგებლო მეტრაჟია (1×8). თუ ამ ნორმით ვიხელმძღვანელებთ, მთელი ეპიზოდისათვის დაგჭირდება $60 \times 8 = 480$ მეტრი ნეგატივის ფირი.

თუ მხედველობაში მივიღებთ კინემატოგრაფიაში დადგენილ მუშაობის ნორმებს, უნდა დავაცხნათ, რომ კადრების მიღებული რაოდენობისა და სასარგებლო მეტრაჟის გადაღებას დასჭირდება არა ნაკლებ 2-3 დღისა, რადგანაც საშუალოდ, ზაფხულის ნატურის გადაღებებზე, დღეში შეიძლება 25-35 მეტრის გადაღება, ხოლო პავილიონში (ანუ დეკორაციაში 40-50 მეტრის გადაღება.

მაგრამ ამ ეპიზოდში მონაწილეობს ცხოველი, რაც საშუალო გამომუშავებას დასწევს დაახლოებით 45%-ით, ხოლო თუ გაითვალისწინებთ, რომ გადამღები კოლექტივი მოყვარულებისაგან შედგება და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება აკლია, ეს ნორმა კიდევ 10-15%-ით შეეცირდება.

დოკუმენტური ფილმების გადაღებისათვის გათვალისწინებული ნორმები საგრძნობლად განსხვავდება მხატვრული ფილმების ნორმებისაგან. ნეგატივის ფირის ხარჯი მათთვის მიღებულია ნაკლები რაოდენობით: 1×3 ან 1×4 , ხოლო დღიური გამომუშავება უფრო მეტია.


ჩვენი საუბარი სარეჟისორო სცენარის შესახებ დასრულებული არ იქნება, თუ არ მოვიხსენიებთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფორმას, რომელსაც ეწოდება ნახატი სცენარი.

რამდენადაც სარეჟისორო სცენარში ყოველი კადრი ზუსტად არის გარკვეული, ვიციტ მისი შინაარსი, ხედი, სიდიდე, ადვილად შეიძლება ამ კადრების წინასწარი ჩახატვა.

ამისათვის სარეჟისორო სცენარს უნდა დაერთოს ალბომი ან სახატაკი რეული, სადაც თანმიმდევრობით დაინახება ფანქრით მკირე ზომის კადრები. ეს კადრები შეიძლება ჩაიხატოს თვითონ სარეჟისორო სცენარშიც, თუ კი საამისოდ დატოვებული იქნება ადგილი.

კადრის ფორმა შეესაბამება მის ჩვეულებრივ შეფარდებას (დაახლოებით 2×3 , ხოლო უფრო ზუსტად $2 \times 2,76$), პრაქ-

ტიკულად მიზანშეწონილია ნახატი კადრის სიგრძე და სიმაღლე გაავადილოთ 2-ჯერ.




ამ ზომის ნახატი საკმაო იქნება იმისათვის, რომ მასში სქემატურად ჩაიხატოს კადრის გამოსახულება მისი მთავარი დეტალებით.

მსურველს შეუძლია უფრო დიდი ზომაც აიღოს და კადრის გამოსახულებას მხატვრულად უფრო დასრულებული სახე მისცეს, მაგრამ ეს აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ნახატ კადრში გამოსახული უნდა იყოს მისი საერთო კომპოზიცია აღებული გარკვეული წერტილიდან, აგრეთვე მოქმედი პირების და საგნების განლაგება იმ განზომილებითა და დამორბებით, რაც სარეჟისორო სცენარშია გათვალისწინებული.


სარეჟისორო სცენარი ნახატ ფორმის შემდგენიარ სახეს მიიღებს:



1

შორეული მყინვარის წვერს მზის პირველი სხივი ეცემა ცაზე მარტოდ დარჩენილი ღრუბელი განათდება.

(საერთო პლანი, შორეული)



2

უფრო ახლოს. მთის თხემზე მოწოლილი ნისლი იშლება. (საერთო პლანი, შორეული).

ანიშნებენ რაღაცას. ჩასაფრდებიან მასობებელ ბუჩქებში და
თოფებს იმარჯვებენ. (საშუალო პლანი)



3

ტყე. წინა პლანზე რამდენიმე ხე შერჩევა. ფოთლები
გაიშრიალეხს. უკანა პლანი ნისლშია. ხიდან ხეზე ჩიტი გა-
დაფრინდება. დაუსტვენს და ისევ მიჩუმდება.
(საერთო პლანი).



7

ნაპრალიდან დინჯად გამოდის ხარ-ირეგი.
(საშუალო პლანი).



4

ერთ-ერთი ხის ტოტი უფრო ახლოს ჩანს. ფოთოლს წვეთი
ვცემა, ნელნელა ჩამოიდგრება და მეორე ფოთოლს დაეცემა.
(საერთო პლანი, უფრო ახლო).



8

ირეგი, თავადერილი, დინჯად მოაბიჯებს. უახლოვდება
ბუჩქს, სადაც მონადირეა ჩასაფრებული. ჩერდება მის წინ.
(საშუალო პლანი).



5

ხეებს შუა, ნისლში, გამორჩდება ორი მონადირე. ფეხაკრე-
ფით მოდიან. აქეთ-იქით იხედებიან.
(საერთო პლანი).



9

შერეებული ირეგი უცქერის ჩასაფრებულ მონადირეს,
რომელიც თოფგაშვებული უძრავად ზის (ხედი მონადირის
მხრიდან ირმის მიმართულებით). (მსხვილი პლანი).



6

მონადირეები უახლოვდებიან ნაპრალს. ჩერდებიან. ხელით



10

საწინააღმდეგო ხედი. ირმის რტებს შუა ჩანს მონადირე.

მას გაოცებული სახე აქვს. თვალს არ აშორებს ირემს.
(მსხვილი პლანი).



11
ირემი და მონადირე გაჩერებულნი პირისპირ.
(საშუალო პლანი).



12
მეორე მონადირე თავის საფარში. მოთმინებიდან გამოსული შეპყვირება: — ესროლე, ილია, ესროლე!
(მსხვილი პლანი).



13
ილია არ ინძრევა. თვალები ოდნავ უფართოვდება.
(მსხვილი პლანი).



14
ირემი მოიხედავს, უცებ შეიკუმშება, სწრაფად გადახტება და ტყეში ჭრება. (საერთო პლანი).



15
მეორე მონადირე წამოვარდება ზეზე. წყრომით წამოიძახებს: — შენც მონადირეს უწოდებ შენს თავს!
(საშუალო პლანი).



16
იგივე მონადირე წყრომით განაგრძობს:
— ცხვირწინ ირემი გაგიჩერდა, შენ კი ხელიდან გაუშვი!
(მსხვილი პლანი).



17
ილია ფეხზე წამომდგარი, სინანულით ამბობს:
— რა უნდა მეჭნა? ისეთი ნდობით მოვიდა ჩემთან... ამ ლად ბუნებას ვერ წავეართვი ამაყი შვილი.
(საშუალო პლანი)..



18
ორივენი მიუხსლოვდნენ ერთმანეთს ილია განაგრძობს:
— შენ რომ არ დაგეფრთხო, მოვეგვევოდი, ამბორს გავუგზავნიდი ყვარლის მთებს.
(მსხვილი პლანი). (დაბნელება).



ამგვარად დასურათებულ სცენარს ერთობ თვალაჩინო და ადვილად გასაგებია არა მარტო მის დამდგმელ რეჟისორსა და ოპერატორსათვის, არამედ გადაღები კოლექტივის ყოველი წევრისათვის. ამავი თითქოს უკვე წარმოდგენილია ეკრანზე.

ნახატებიანი სცენარს უადვილებს მოყვარულთა კოლექტივის ფილმზე მუშაობას, როგორც მისი გადაღების, ისე დამონტაჟების პროცესში. მისი დახმარებით, ადვილია გადაღებული მასალის გარჩევა, პლანების ამოკრეფა და თანმიმდევრობით დალაგება.

დამწყებ კინომოყვარულს კადრების ხატვა გამოადგება ჯერ კიდევ იმ სტადიაში, როცა იგი ლიტერატურულ მასალას ირჩევს და მომავალი ფილმის სცენარს ამუშავებს.

მაგალითისათვის გავიხსენოთ იგივე ნაწყვეტი სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობიდან, რომელიც ჩვენ ზემოთ გვქონდა შეხილვის. „დადგა გული მიახის გულის ალაგას; თავის ბუდეში მოისვენა იმ იმდით, რომ ეს არის რაღა, უშველა ღმერთმა. და იპოვა მიზეზი თავის შვილის ავადმყოფობისას ახლა ელის, თუ აი დღეს, აი ხვალ, წამოდგება იმისი შვილი ფეხზე და თავის მძას მუშაობაში მხარს მისცემს. მაგრამ ვაი!“ და ა. შ.

ვერც ერთი ნაწილი აქ მოყვანილი წინადადებებისა ვერ აისახება ნახატ ფორმაში და, როგორც უკვე ვთქვით, ვერაზე ვერ გადავა გამოხატულების სახით.

აქვე უნდა შევინშნოთ, რომ ფილმის გადაღებამ კოლექტივი მხატვრის ყოლა აუცილებელია.

ახლა საჭიროა შევეხოთ კინოფილმის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორცაა დ ი ქ ტ ო რ ი ს ტ ე ქ ს ტ ი.

კინო, უპირველეს ყოვლისა, სანახაობა და ყოველი ნამდვილი კინემატოგრაფისტი უნდა ისწავფოდეს თავისი ჩანაფიქრი ხედვით ფორმაში გამოხატოს, და რაც შეიძლება ნაკლები სიტყვიერი ახსნა-განმარტება გამოიყენოს.

მაგრამ ეს იდეალი ხშირად მიუღწეველი რჩება, თუმცა კი ზოგიერთ ისტატურ ნაწარმოებში მაინც გვხვდება. მაგალითისათვის დავასახელებთ ცნობილი ფრანგ რეჟისორის ედმონ სემანის შესანიშნავ მოკლემეტრაჟიან ფილმს „ოქროს თევზი“, რომელშიც არ არის არცერთი სიტყვა ან წარწერა, მიუხედავად იმისა, რომ ფილმი საკმაოდ რთულია და მასში რაღვენიმე ადამიანი და ცხოველი მონაწილეობს. ფილმს თან სდევს მხოლოდ მუსიკა, მაგრამ მაყურებლისათვის უსიტყვიდაც ყველაფერი გასაგებია.

ასევე უსიტყვიდ მხოლოდ მუსიკისა და ბეგერების თანხლებით, მისი დრამაზინარისაინ იაპონური სურლემეტრაჟიანი ფილმი „შიშველი კუნძული“ (რეჟისორი კანეჟო სინდო), რომელშიც, როგორც ცნობილია, მისკოვის II საერთაშორისო ფესტივალზე საყოველთაო აღტაცება გამოიწვია და უმაღლესი ჯილდო მიიპოვა.

მაგრამ ასეთი ფილმები შედარებით იშვიათია. ჩვეულებრივ, კინოსურათებში სიტყვიერ მასალას სულ უფრო მეტად ხმარობენ (ზოგჯერ ფილმის საზიანდაც).

რა დანიშნულება აქვს ფილმში დიქტორს? მხატვრულ კინოსურათებში იგი შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

ა) დიქტორის პირით ლაპარაკობს სურათის ავტორი, ესაუბრება ვერტი ვოდეზული, ავტორისეული კომენტარი (ან რეზონანსი) რომელიც შეიცავს ამა თუ იმ მოქმედი პირის ან სიუჟეტური ვითარების დახასიათებას (მეტწილად ფილმის დასაწყისში, სანამ ძირითადი მოქმედება არ გაშალა).

ასეთ შემთხვევაში დიქტორის ტექსტი დამატებითი საშუალებაა იმისათვის, რომ მაყურებელი უფრო სწრაფად შევიდეს საქმის კერსში და გაეცნოს გმირებს.

ბ) დიქტორის ხმა გამოხატავს ამა თუ იმ გმირის გულის-თქმას, მის შინაგან ფიქრსა და განცდას (ე. წ. შინაგანი მონოლოგი).

გ) დიქტორის საშუალებით კეთდება სიუჟეტური გადასვლები, როდესაც საჭიროა მოქმედება უცებ გადავიტანოთ სხვა დროში და სხვა ადგილზე.

საერთო ჯამში მაინც უნდა ითქვას, რომ მხატვრულ ფილმებში დიქტორის დიდი დატვირთვა არ უნდა ჰქონდეს, მისი როლი უფრო განსაზღვრულია.

გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს დ ი ქ ტ ო რ ი დ ო კ უ მ ე ნ ტ უ რ ფ ი ლ მ ე ბ შ ი, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ხშირად შინაარსის გახსნის ძირითად საშუალებას წარმოადგენს. ბევრი დოკუმენტური ფილმი თავიდან ბოლომდე დიქტორის ტექსტზეა აწყობილი, ზოგჯერ იმ ზომამდე, რომ დიქტორის გარეშე არც ერთი კადრი არ რჩება.

როგორც წესი, დიქტორის ტექსტის საფუძველი თვით ხედვით მასალაშია ჩაქსოვილი. კარგი კინეკადრები კარგ გამოსავალ წერტილს იძლევიან დიქტორის ტექსტის დასამუშავებლად. ეს პირობა ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ფილმის შემქმნელებს.

დიქტორის ტექსტი იღვრება ავსებს და აღრმავეს გადაღებულ მასალას, აძლეებს მას უფრო მაღალ ჟღერადობას.

განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი ენით ლაპარაკობს დიქტორი — რადგან ზოგჯერ მშრალ დოკუმენტურ მასალას იგი სასოფანი ენით ამდიდრებს, შეაქვს მასში ა ხ ა ლ ი ფ ვ რ ე ბ ი, ი უ მ ო რ ი და ს ი ც ო ც ხ ლ ე.

მაგრამ გვინდა გავფრთხილოთ კინომოყვარულები, რაც შეიძლება მეტი ზომიერება გამოიჩინონ დიქტორის გამოყენებაში.


ფილმი, რომელიც ღარიბია ხედვით მასალით და მილიანად დიქტორის კმაყოფიანება გადასული, ცხადია, ნაკლებად საინტერესო, ზოლო როდესაც დიქტორი გაუჩერებლივ ლაპარაკობს (თუნდაც გალქსილი ენით), ფილმი დამლაღავიც არის.

ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მაშინ, როდესაც დიქტორი არსებითად არაფერს მოგვითხრობს ახალს, არამედ გვიყვება იმას, რასაც თვალთავე კარგად ვხედავთ და რაც არავიფარს ახსნას არ საჭიროებს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ენის სისუფთავეს. გარდა იმისა, თვითონ ტექსტის გიხვაც უნდა დავკვიროს ისეთ პირს, რომელსაც შესაფერისი მონაცემები აქვს — მაგალით მეტყველება, კარგი ხმა, სწორი ინტონაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცუდი წამოთხავი კარგ ტექსტს გააუფუჭებს, ყოველგვარ არს დაუკარგავს.

საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, კოლიგრაფისტი

ოთარ კასრაძე



სტეფანე მელიქიშვილი

ლი ქართველი საზოგადო მოღვაწეები გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი კ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი საზოგადო-საქველმოქმედო საქმიანობასთან ერთად ხელს კიდებენ დ. გურამიშვილის, დ. ჭონჭაძის, ლ. არდაზიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობათა გამოცემის საშეღიშვილო საქმეს.

ყოველ ახალ კულტურულ-საგანმანათლებლო თაოსნობაში მუდამ აქტიურად მონაწილეობდა XIX საუკუნის 60-70-იანი წლების გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. ცნობილი ჟურნალისტი, ქართული წიგნის საგამომცემლო საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და პოლიგრაფიის მცოდნე, სტეფანე გრიგოლის ძე მელიქიშვილი.

სტეფანე მელიქიშვილის წინაპრები წარმოშობით აჭარიდან ყოფილან.

XVI საუკუნეში, როცა თურქეთს აჭარა დაუპყრია და ადგილობრივი მკვიდრი ქართველების ძალდატანე-

ბითი გამაჰმადიანება დაუწყია, მელიქიშვილებს ერთ შტოს რომის კათოლიკური სარწმუნოება მიუღია და ახალციხეში გადახიზნულა. სტეფანე მელიქიშვილი აჭარიდან ახალციხეში გადახიზნულ მელიქიშვილთა შთამომავალია.

სტეფანე მელიქიშვილი 1841 წლის 10 მაისს დაბადებულა. ორი წლისა ყოფილა, როცა მის მშობლებს — გრიგოლ და ანა მელიქიშვილებს ახალციხეში თავიანთი სახლკარი გაუყვიათ და თბილისში გადმოსახლებულან. გრიგოლის, როგორც დიდი პატრიოტის, მრავალი კულტურული თაოსნობისა და საქველმოქმედო საქმის ორგანიზატორის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — პოეტები, მწერალი-პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწეები.

გრიგოლ და ანა მელიქიშვილებს,



ოგორც ცნობილია XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ახალი აღმავლობის ხანა იწყება ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. არსდება ქართული ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულება, ფეხს იდგამს მუდმივი ქართული თეატრი. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოჩენი-



ატყფანეს გარდა, კიდევ სამი შვილი შესძენია. მათ შორის სტეფანეს შემდეგ ყველაზე უფროსი ჩვინი სახელოვანი მცენიერი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილია.

მესამე შვილია ცნობილი საბავშვო მწიგნობარი, გაზეთ „დროების“ და ჟურნალ „ჯეჯილის“ უახლოესი თანამშრომელი ეკატერინე (კეკე), ხოლო სულ უმცროსი — იოსები, მასწავლებელი და ჟურნალისტი. უმცროსი ძმის, იოსების მსგავსად, სტეფანეს სწავლა-განათლება ოჯახში მიუღია. შეძლებულ მშობლებს ფრანგული ენის მასწავლებლად მისთვის არისტორატრიული წრიდან გამოსული, საქართველოში შემთხვევით ჩამოსული ფრანგი ქალი დაუქირავებიათ, ხოლო რუსულის მასწავლებლად „შტაბის გადამწერი“ პკოლია. სივაბუჯის წლებში სტეფანე ახლო ვასცნობია იმხანად პეტერბურგი და ანახლადარბუნელი ი. ჭავჭავაძისა, წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ი. წინამძღვრიშვილს, ნ. და დ. ლომოვრიძეებს და მეგობრული კავშირი დაემყარებია მათთან.

1863 წელს ქართველ ახალგაზრდობას, რომელთა წრეშიაც სტეფანე მელიქიშვილი ტრიალებდა, ი. ჭავჭავაძის ქართულ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, ახალი ქართული გაზეთის „დროების“ დაარსება გადაუწყვეტია. პირველ რიგში პოლიგრაფიული ბაზის — სტამბის შექმნას შესდგომიან, რაშიაც მათთვის სტეფანეს მამას, გრიგოლ მელიქიშვილს, დიდი მატერიალური დახმარება გაუწევია. მალე ახალგაზრდებს, სტეფანეს ინიციატივით, საკუთარი სტამბა მოუწყიათ. თუ რაოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვის სტეფანეს გაზეთ „დროების“ გამოცემის, სტამბის მოწყობისა და ქართული სასრიფტო პურნოების გაფართოების საქმეში, ამისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ მოკლე ამონაწერი სტეფანეს ძმის იოსების წერილიდან „ქართული შრიფტის რეფორმის გარემო“. დ. შვედერნაძის წერილის გამო, რომელსაც 1933 წელს გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნდა.

„1863 წელს, — წერს იოსები, — შეიკრიბნენ რამდენიმე ქართველი ყმაწვილი კაცობა და გადაწყვიტეს დაეარსებინათ ქართული სტამბა. ეს პირნი იყვნენ: სტეფანე მელიქიშვილი, დიმიტრი ზაქარაძე, ვახტანგ თულაშვილი და ნიკოლოზ ლომოვრიძე. შეგაროვეს საჭირო ფული სტამბის დასარსებლად და ამასთანავე განიზრახეს ახალი ქართული შრიფტი შეეღვიანათ. როგორც კი გავრცელდა ეს ამბავი საზოგადოებაში, ორმოცზე მეტი სხვადასხვა ხასიათის ასოები მიაწოდეს მათ სხვადასხვა პირებმა (რასაკვირველია, უსასყიდო ო დ) ამაში იყო ამორჩეული მიხეილ ყიფიანის მიერ შედგენილი ასოები, ეს ასოები შეაკეთა მელიქიშვილის ახანავაგობა და შეუდგინა მათ ცხოვრებაში გამოყენებას“.

1864 წლის დამდეგს სტეფანე მელიქიშვილი, როგორც უცხო ენის სასუქეთში მცოდნე, ვენაში გაემგზავრა საბავშვო მანქანების შესაქმნელად და თან წაღებული ახლად შედგენილი შრიფტების ჩამოსასხმელად. „ეს შრიფტი იყო ორი ხასიათის, — გავმოგვემს იოსები, — ერთა თორმეტი ციკერო და მეორე ოცი — სათაური ასოები. როცა ჩამოსახმევინა ეს შრიფტები, მაშინ მოუვდა აზრად ს. მელიქიშვილს, რომ მართო ამ ორი შრიფტით არ იქნება წარმოება სტამბისა, იქვე, ვენაში, შეიძლება კორპუსი ათი ტანისა, პეტიტო რვა ტანისა, შუუკვეთა და ჩამოსახმევინა სუვეველაფერი, რაც საჭირო იყო სტამბისათვის, შეისყიდა, წაიშოილა. სტეფანეს მიერ ჩამოტანილ ქართულ შრიფტს ვენური ანუ მელიქიშვილი-სული შრიფტი უწოდეს.“

1866 წელს ახლად დაარსებულ სტამბაში გ. წერეთლის რედაქტორობით გამოსვლას იწყებს პირველი ქართული გაზეთი „დროება“, რომლის გამოშვებულადაც 1863 წლამდე სტეფანე მელიქიშვილი ითვლებოდა.

როგორც სამართლიანად შეინშავს ს. ხუნდაძე, „გაზეთ „დროების“ დაარსება ერთა უმესანისშავესი ეპოქის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ქურნალისტიკის ისტორიაში. შეიძლე-

ბა გადაჭრით ითქვას, „დროება“ პირველი ევროპული ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც ვარკვეული პოლიტიკური მოსოფლმხედველობა ახასიათებდა და რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა“¹. „დროების“ გამოცემით აწყება ქართული პოლიტიკური აზროვნების გამოღვივება, ამ დღიდან ეყრება საფუძველი ქართველი ხალხის ეროვნულ-საზოგადოებრივ მისწრაფებათა გამოარკვევას. პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ „დროება“ იყო ერთ-ერთი პირველი ორნაოდ, რომლის მიერ მომზადებული ინადაცე აღმოცენდა ქართველი ხალხის პროგრესული საზოგადოებრივი შეგნება.

სტეფანე მელიქიშვილი ყოველმხრივ დიდ დახმარებას უწყევდა „დროებას“. იმის გარდა, რომ მას მრავალჯერ უსასყიდლოდაც დაუბეჭდავს მატერიალურ გაჭირვებაში ჩავარდნილი გაზეთი, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთ ხანს „დროების“ რედაქცია ბებუთოვის ქუჩაზე, სტეფანეს მამისეულ სახლში იყო მოთავსებული. ამის გამო ძნელი გასარკვევი იყო, სად თავდებობდა გაზეთის პირველი რედაქტორის გ. წერეთლის ან მისი გამოშვების სტეფანე მელიქიშვილის სამუშაო კაბინეტი და სად იწყებოდა ხელგაშლილი მასაანლის გრიგოლ მელიქიშვილის სასტუმრო ოთახი.

„დროების“ გამოცემასთან ერთად სტეფანესეულ სტამბაში იმეჭებოდა აგრეთვე ძველი ქართული წიგნები, რომელთაც ისე მცირე ფასს ადებდნენ, რომ ხელმისაწვდომი ყოფილიყო ფართო მკითხველსათვის. ამით ჩვენი მამულიშვილი ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურის გამოშვებულებისა და გავრცელების საქმეს.

სტეფანე მელიქიშვილი, როგორც დიდი პატრიოტი, სახარულით შეხვდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს. იგი ღრმად იყო დარწმუნებული რუსი ჯარის სიძლიერეში და სწამდა, რომ ამ ომში რუსეთი გამარჯვდება, რის შედეგადაც საქართვე-

¹ ს. ხუნდაძე, „ვიღარაი წერეთელი“, 1927 წ. გვ. 66.



ველოს კვლავ დაუბრუნდებოდა თურქ დამპყრობთა მიერ ძალით მიტაცებული მხარე. ომის დაწყების პირველსავე დღეს ს. მესხი, რომელიც ამ პერიოდში „დროების“ რედაქტორად მუშაობდა, ფრონტზე მიემგზავრება კორესპონდენტობის მოსაწოდებლად, ხოლო სტეფანე კი არაფერს იზურებს გაზეთის უკეთ გაფორმებისა და დროულად გამოცემისათვის.

რუსეთმა გაიმარჯვა, აჭარა კვლავ დაუბრუნდა დედა-სამშობლოს. სტეფანე უსასყიდლოდ ბეჭდავს და ახლადშემოერთებულ აჭარელ ქართველობას უგზავნის მშობლიურ ენაზე აწყობილ წიგნებს, ხოლო 1878 წლის 19 ივნისს, როცა ახალციხიდან თბილისში ჩამოვიდნენ აჭარელი ქართველები შერიგებულ ხიმშიაშვილის მეთაურობით, სტეფანე მელიქიშვილი სოლოლაკში, მამისეულ ოჯახში, სადილს მართავს ძვირფასი სტუმრის საპატივცემულოდ, მიწვეული იყვნენ აგრეთვე იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

1880 წელს სტეფანეს ჯვარი დაუწერია რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებულ, კადეტთა კორპუსის ბედაგოგის პავლე ბერვენკოს ქალიშვილ ნატალიაზე. მალე მათ ორი ქალიშვილი შესძენიათ მარიამი და ანა.

სტეფანესა და ნატალია პავლეს

ასულის მიერ ახლად შექმნილი ოჯახის მუსულრო ცხოვრება დროთა ვითარებაში შერყეულა. „დროების“ უსასყიდლოდ ბეჭდვისა და იაფად ღირებული ქართული წიგნების გამოცემის გამო, სტეფანეს მამისეული საროსაბაბდებელი შემოღვევია, ოჯახი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა. საქმის გამოსწორების მიზნით, 1883 წელს (როცა ს. მესხს ავადმყოფობის გამო „დროების“ რედაქტორობისათვის თავი დაუნებება) სტეფანეს გაზეთის გამოცემა გ. ქართველიშვილისათვის გადაუცა. თვითონ კი აშხაბადში გამგზავრებულია კომერციული საქმიანობისათვის ხელის მოსაკიდებლად. აშხაბადში სტეფანეს კომერციის დიდი ნიჭი ვერ გამოუჩენია. მიუხედავად ამისა, ბევრი წვალეზის გადატანის შემდეგ, ცოტაოდინი ფული მაინც დაუტოროვებია. მაგრამ ღამით ისე გაუძარცვავთ, რომ ყოველდღიური არსებობისათვისაც კი არაფერი დარჩენია. ამის შემდეგ სტეფანეს არაერთხელ გადაუწყვეტია სამშობლოში გამომგზავრება, მაგრამ თავმოყვარეობას ნება არ მიუცია უკან ხელმოცარული დაბრუნებულიყო. გამოუყვალ ეკონომიურ პირობებში ჩავარდნილს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაუმთავრებია.

1887 წელს გაზეთი „ივერია“ ასე გამოხეხაურა სტ. მელიქიშვილის გარდაცვალებას: „ამ რამდენიმე კვირის

წინ ქ. აშხაბადში გარდაიცვალა სტეფანე გრიკოლის ძე მელიქიშვილი, რომელსაც საკმაო ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მწიგნობრობის წინაშე. განსვენებულმა დააარსა თავის ხარკით სტამბა და იყო პირველი გამოცემული გაზეთი „დროებისა“, რომელსაც უსასყიდლოდ ბეჭდავდა ვიდრე გაზეთი ბ. ნ. მაჩაბლის ხელში გადავიდოდა. ქართული ასოები წინათ ვერ იყო საკმაოდ ლაზათიანი, ამიტომაც სტეფანე მელიქიშვილმა სახლგარეკარზე გააკეთებინა ახალი ყალიბები და ჩამოსახმევიანა მსხვილი მრგვალი ასო, რომელსაც სტამბაში დღესაც მელიქიშვილის ასოს უწოდებენ.

შვიწროებულ მდგომარეობისა გამო სტეფანე მელიქიშვილმა დაანება თავი სამშობლო ქალაქ ტფილისს და 1880¹ წელს წავიდა ახალციხეს ბუდის საცდელად. მაგრამ არც იქ გაუღიმა ბედმა და თითქმის სიღარიბეში გამოესაღმა უმადურ სოფელსა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატისას-ნი ქართველო კაცო, რომელმაც არ დაზოგე შენი წვლილი სამშობლოს სამსახურში².

¹ ეს თარიღი სწორი არ არის. 1883 წლამდე სტ. მელიქიშვილი „დროების“ გამოცემულად ითვლებოდა, რასაც აშკარად მოწმობს გაზეთზე რედაქტორთან ერთად არსებული მისი ხელმოწერა.
² იხ. ეურხალი „ივერია“, 1887 წ. 20 დღეებში.



ლაგოდეხის თეატრის წარსულიდან

ელენე მერაბიშვილი



ლაგოდეხის სახალხო თეატრი, ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. მის შემოქმედებით ისტორიაში ბევრი კარგი დადგმა ჩაწერილი. მრავალ ქართველ თეატრალურ მოღვაწეს უმუშავია აქ სხვადასხვა დროს, მათ შორის აღსანიშნავია: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. როსება, რესპუბლიკის დამსახურებული

არტისტები: რ. ქართველიშვილი, ნ. ნინიძე, გ. პატარიძე, გ. ნორაკიძე და აწ განსვენებული მკაც ქართველიშვილი.

პირველი სცენისმოყვარეთა დასი ლაგოდეხში ჯერ კიდევ 1918 წელს ჩამოყალიბდა გერონტი ჩიკაიძის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლაგოდეხის სცენისმოყვარეები ახალი ენერჯით შეუდგ-

ნენ საქმეს. მათ ზედინდელ განახორციელეს ისეთი რევოლუციური სულისკვეთებით გაქვნილი სპექტაკლები, როგორცაა „ლეკის ქალი გულჯავარი“, „რევოლუციის გარიჟრაჟზე“ და სხვ.

1926 წელს დასს სათავეში ჩაუდგა შვიდწლიანი სკოლის დირექტორი პროკლე ჭუმბურიძე, რომელმაც დადგა ე. ნინოშვილის „ქრისტიანე“. სპექტაკლი მონაწილეობდნენ: ეკატერინე ტურიაშვილი, პრ. ჭუმბურიძე, პელო გოზალიშვილი, უშ. ლომიძე, ნინო თუმბარამიშვილი, გ. ღვინია ე. ე. ი. თერთმეტი წლის მოსწავლე მარკო გოგოსაშვილი და სხვ. ამ წლიდან მოყოლებული, ლაგოდეხში სისტემატურად იმართებოდა ქართული წარმოდგენები და მხატვრული საღამოები.

ლაგოდეხის სცენისმოყვარეთა დასის შემოქმედებით ისტორიაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს შალვა დადანს, რომელიც შვირად ჩამოდიოდა აქ თბილისის თეატრალური დასით (დასში იყვნენ: ელენე ანდრონიკაშვილი, ელისაბედ ჯერქეზიშვილი და სხვ.) შ. დადიანის ხელმძღვანელობით ლაგოდეხში ბევრი ღირსშესანიშნავი პიესა დაიდგა. მათ შორის შ. დადიანის „სამინელი შურისძიება“, რომელშიც მონაწილეობდა თვით შ. დადიანი. შ. დადიანმა დადგა აგრეთვე ალ. ყაზბეგის — „ელეონორა“ და სხვ.

ცნობილი ქართველი მწერლის ამ უანგარო ამავე დიდად აფასებდნენ და აფასებენ ლაგოდეხელი მშრომელები. ლაგოდეხელ სცენისმოყვარეთა შორის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ეკატერინე ტურიაშვილი, რომელმაც წლების განმავლობაში ლაგოდეხის სახალხო თეატრის სცენაზე მრავალი საინტერესო სახე განახორციელა და მყურებულთა საერთო აღიარება დაიმსახურა.

1927 წელს თეატრმა მოიწვია რეჟისორი ალიოშა ჯაყელი, რომელმაც მოამზადა შ. დადიანის „გეგეჭკორი“ და „შენი ჭირიმი“. ს. რემონიძის

„ძმები“, ია ეკალაძის „ნომერი 21 ჯვრით“, „რაკ გინახავს, ვეღარ ნახავ“ და ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“.

1933 წელს რეჟისორ მიხეილ იარალმა დადგა გ. დარისპაანაშვილის ოთხმოცმედევიანი დრამა — „ზღვაში“, ვიტალინას — „მაკიტანტკა სიკვარულს“, ნ. შუკაშვილის — „ამერიკელი ძია“ და სხვა. დადგმები მასურებელმა გულთბილად მიიღო. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ ვ. დოდაშვილი, დ. სიღამონიძე, თ. ჯუმბაძე, თ. მოლაშვილი, ი. მარიახინი, ლ. მჭედლიშვილი, თბილისიდან მოწვეული მსახიობი მაცყალა ოზოლაძე და სხვ.

იმავ დროში რეჟისორმა შალვა გოციროძემ დადგა ს. შანშიაშვილის — „ანზორი“ და „ლამარა“. როლებს ასრულებდნენ: შ. გოციროძე, ა. დოდაშვილი, ნ. ზოკერია, გ. მაჭარაშვილი, ი. ნანობაშვილი, უშ. ლომიძე, ალ. ხიდაშვილი.

1935 წელს ლავოჯხში ჩამოყალიბდა მუდმივი თეატრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რეჟისორი ვასო ალუღშვილი. მისი დადგმით მასურებელმა იხილა ნ. ნაკაშიძის „ცინ არის დამნაშავე“ და იბოლიტოვის „სიხარული“. 1936 წლის სეზონში კი სერგო ზაშიფჯანოვმა გ. წერეთლის „სამი სიკვობლე“ მოამზადა.

1937 წლიდან ლავოჯხის სახალხო თეატრი უკვე სახელმწიფო თეატრად იქცა. შეაკეთეს თეატრის შენობა, დადგეს მოძრავი სცენა. რეჟისორად მოიწვიეს პავლე ნორაკიძე, რომელმაც დადგა პ. სასოსონიძის „სალტე“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, დ. ჭონქაძის „სურამის ცაზე“ (ინსცენირებული სიმონ ჰოვარაძის მიერ). პ. კაკაბაძის „კოლმეურნია ქორწინება“ და ქოჩორიანის „ბრმა მუსიკოსი“. აქვე უნდა აღინიშნოს, ის დიდი სიყვარული, რითაც აწ განსვენებული შოთა ჩოღაშვილი სარგებლობდა ლავოჯხელ მასურებლებში ბრმა მუსიკოსის როლის შესანიშნავი შესრულებით.

1939-41 წწ. თეატრალურ კოლექტივის სათავეში ედგა რეჟისორი რობერტ ქართველიშვილი, რომელმაც


დადგა: ა. ცაგარლას „ხანუმა“ და „ციმბირელი“, გ. ბერძენიშვილს „ჩაიბრული ოქრო“, გედევანიშვილის „მსხვერპლი“, გაბისონიას „მათი ამბავი“.

დიდი სამამულო ომის დროს ლავოჯხის თეატრს მუშაობა არ შეუწყვეტია, მხოლოდ ადგილი გამოირეკალა და სოფელ აფენის მ. ცხაკაიას სახელობის საკომუნურნო კლუბში გადაიყვანა. ამ დროს თეატრის დირექტორი და სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი იყო ვ. კაბლელი. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, რაც გამოწვეული იყო ომით, ლავოჯხის თეატრმა 1941-43 წლის სეზონში ვ. კაბლელის დადგმით წარმოადგინა „ვერავოზა და სიყვარული“, „არშიმალ-ალან“, აკ. წერეთლის „კინტო“, სუნდუკიანის — „ზორცის ნაჭერი“, ლეოვის — „სამშობლოსათვის“.

ამ პერიოდში თეატრში მუშაობდნენ მოწვეული მსახიობები: თამარ და შალვა ჩერქეზიშვილები, ქეთევან მაცყაშვილი და სანდრო ჯაღლიაშვილი.

1944-45 წლის სეზონში რეჟისორმა დავით დემელბეგმა დადგა ვალერიან შალვაიშვილის „უნაიდაგონი“, შირვანზადეს „პატოსნებისათვის“ და ვ. გუნიას „და ძმა“.

1945-46 წლის სეზონში, თეატრს კვლავ დაუბრუნდა ომაგადაბლი რეჟისორი რ. ქართველიშვილი, რომელმაც ჩვეული ენერჯითა და სიყვარულით მრავალი ახალი სპექტაკლი მოამზადა. მათ შორის გ. დარისპაანაშვი-



რეჟისორი გვანტია ჩიკვაშვილი


ლის „ძმები“, გ. ქელბაქიანის „ტირიხის ქვეშ“, ტურის და შენიის „ჭილილი“.

1946-49 წწ. ლავოჯხის სახალხო თეატრის ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი გიორგი როსება. მან დადგა აკ. წერეთლის „ზამი-აჩუკი“, გ. ნახტურიშვილის „ნაცარქექია“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, ი. მოსეშვილის „სადგურის უფროსი“.

წლებთან ერთად იზრდება ლავო-

სცენისმოყვარე ეპატორნე ტურიაშვილი





სცენის მოყვარე პელო გოზალაშვილი

დების სცენისმოყვარეთა რიცხვი. თეატრს შეემატნენ ახალგაზრდა სცენისმოყვარეები: მიხეილ და ვახტანგ თანდაშვილები, ი. ჭაბაშვილი, შ. კოტაშვილი, გოდერძი და ფატი მირიანაშვილები, ო. ზედელაშვილი, ი. ჯახიშვილი, ო. გოჩალაშვილი, გ. ჯიბლაძე, თ. მესხიშვილი.

1949 წელს ლაგოდების სახალხო თეატრი გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე. დრამატული კოლექტივის ხელმძღვანელობა დაევალა მსახიობ მარკო გოგოსაშვილს, რომელმაც მოამზადა ა. წერეთლის „პატარა კა-

ხი“, ს. მთვარაძის „სატრაგოს სურვილი“, გ. ბერძენიშვილის „ციხესიმაგრე“ და გოგინაიშვილის „ფიცი“.

1953-56 წლებში ლაგოდების თეატრში რეჟისორად მუშაობდა თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნოდარ დვისიძე. მისი რეჟისორობით დაიდგა: „გლახის ნაამბობი“, „ბაში-აჩუკი“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „მთა წყნეთელი“, „ხევისბერი გონა“, „ჩაძირული ქვები“. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: მ. გოგოსაშვილი, ე. ზორიანი, ვ. კუმელაშვილი, მ. იაკანაშვილი, გ. ჯალიაშვილი და სხვ.

1959 წლიდან ლაგოდების ისევ შეიქმნა სახალხო თეატრი. რეჟისორ ა. ალანისპირელის ხელმძღვანელობით დაიდგა რანეტის პიესა „გზააზნეული შვილი“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებს დამყარების 40 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულისათვის თეატრმა მოამზადა ალ. ყაზბეგის „ციცია“ (დადგმა — მსახიობ მიხეილ თანდაშვილისა).

1960 წელს მეცხრე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, თეატრალური კოლექტივების დათვალიერებასთან დაკავშირებით, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ლაგოდებელმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს კ. კანდელაკის „ერთხელ დახოცილები“. მთავარ როლებს ასრულებდნენ: მ. გოგოსაშვილი, ფ. მირიანაშვილი, მ. თანდაშვილი, ე. კაბლელი, ო. ზედელაშვილი. რეჟისორმა ნ. დღისაძემ და მთავარი როლებს

შემსრულებელმა კარგად გააზრებული დადგმისა და როლების საუკეთესო განსახიერებისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დიპლომები დაიმსახურეს.

1962 წელს ლაგოდების სახალხო თეატრში დაიდგა სტეფანესკის „ჯაბლო“, ლ. მილორაგას „სად იყოს ტყუა“ და „სახიფათო გზაჯვარედინზე“. ო. დებუბაძის და ბერძენიშვილის „სიმართლისათვის“, პრავდინას პიესა „ორჯერ ორი ოთხია“.

ახლანდელ ლაგოდების სახალხო თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა „კაცია-ადამიანი“ ჰიესაში მთავარ როლებს ასრულებდნენ: ვ. თანდაშვილი, მ. თანდაშვილი, ფ. მირიანაშვილი, მ. გოგოსაშვილი და ელ. ზორიანი, რომელიც დღესაც ღიძი წარმატებით გამოდის ლაგოდების თეატრის სცენაზე.

ლაგოდების სახალხო თეატრში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: დ. გვაზაგა, ლ. ნარინდოშვილი, ნ. ხიხაძე, ნ. ურუშაძე, მიხეილ და იროდიონ ალავერდაშვილები, ლ. ჭიჭინაძე, ი. ხუციშვილი, ლ. მჭედლიშვილი, ა. ჯავახია, გ. დინაყაშვილი, მ. ერგენელი, გ. საგინაშვილი, ვ. შალიკაშვილი, შ. ფირცხალაშვილი, ი. გერმანიშვილი, ე. ბეგაშვილი, ა. სარული და სხვები.

მაყურებლები მაღლიერების გრძნობით იხსენიებენ სახალხო თეატრის კოლექტივს და მის ცალკეულ წევრებს, რომლებიც წლების განმავლობაში უანგარო შემოქმედებით ემსახურებიან ლაგოდებელ მშრომელებს.



შ. მასიანიძე


ბაზრობა

პოეტი,

მთარგმნელი,

მწიგნობარი

ანჟელა მიქაძე



რმოც წელზე მეტია საქართველოში ცხოვრობს და მოღვაწეობს

უზუცესი რუსი პოეტი კულტურის შესანიშნავი მოღვაწე და ხელოვნების დიდი მცოდნე პროფესორი ვლადიმერ ელსნერი. კლასიკური ლექსის ფლოზის დიდი ერუდიცია, მხატვრული ფორმის სრულყოფა, ცხოვრების ცოდნა, ადამიანის სულის სიღრმე-

ებში ჩაწვდომის დიდი უნარი, სიუჟეტების აგებისა და წარმტაცი პეიზაჟების ასახვის ნიჭი — ყველაფერი ეს, ვლადიმერ ელსნერს საუკეთესო პოეტთა რიგებში აყენებს.

ელსნერი პოლიტიკური და იდეოლოგიური რეპრესიების წლებში ეზიარა ლიტერატურას. ეს იყო რუსული სიმბოლიზმისა და დეკადენტობის აყვავების წლები, რამაც თავისი დიდი დასვა იმ დროის ყველა პოეტს. მუუხედავად ლიტერატურაზე ასეთი გავლენისა, ვლადიმერ ელსნერი არა-

სოდეს მდგარა სიმბოლისტურ და დეკადენტურ ბოზიციებზე.

1909 წელს ვ. ელსნერის რედაქციითა და მონაწილეობით გამოვიდა „თანამედროვე პოეზიის ანთოლოგიის“ 4 ტომი, სადაც მოთავსებული იყო რუსულ ენაზე თარგმნილი ლექსები ისეთი პოეტებისა, როგორიც არიან: ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, რილკე, სტეფან ცვაიგი და სხვ., ხოლო 1913 წელს გამოვიდა კრებული: „თანამედროვე გერმანელი პოეტები“.



ელსნერი თანამშრომლობდა თავის დროზე ჟურნალებში: „აპოლონ“ და „სტარაიე ვილი“.

ვლადიმერ ელსნერს უყვარს საქართულო, მისი ხალხი და ბუნება. ქართულმა ხელოვნებამ და ქართულმა პოეზიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მის შემოქმედებითს სამყაროში, მუდმივ თემად ახშიანდა პოეტის სულში. ვ. ელსნერის შემოქმედებას სტიმულს აძლევს ცოცხალი კავშირი ქართველ პოეტებთან და ბელეტრის-

ტებთან: მ. ჯავახიშვილთან, პ. იაშვილთან, ტ. ტაბიძესთან, გ. ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან.

ბერის მუშაობს ვ. ელსნერი ქართულ მწერალთა თარგმანებზე და ცდილობს მთელი სიყვარული ჩააქსოვოს ამ თარგმანებში, რათა ქართული ლიტერატურის შედევრები რაც შეიძლება კეთილხმოვანებით აქერადეს რუსულ ენაზე.

ვიორჯი ცვაკარელთან თანამშრომლობით ვლადიმერ ელსნერი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“ და ბარათაშვილის ლექსების თარგმანაზე მუშაობდა.

1957 წ. მწერალთა კავშირის გამოცემულმა „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა ელსნერის ლექსთა კრებული „ქვეყნები და ადამიანები“. ხოლო 1982 წ. „ხელოვნების იერსახეები“ (ორივე ეს ლექსთკრებულები გამოცემულია რუსულ ენაზე. ამ წიგნებში მოცემულია ჩვენი ცხოვრების ფართო ტილოები. ნაწარმოებები აღსავსეა ყოფითი დეტალებით, რომელიც აღებულია სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ეპოქებიდან. ავტორის დაკვირვებულობა, სახეებით აზროვნება, ბუნებისადმი ფაქიზი მიდგომა და ადამიანთა ყოფის ცოდნა, საშუალებას აძლევენ მას მხატვრულად და დამაჯერებლად გადაწყვიტოს მის წინაშე დასმული ამოცანები. აქ მკითხველის წინაშე ჩაივლის მრავალი ქვეყნის ხელოვნებათა ნიმუშები, პორტრეტები, ისტორიული ძეგლები და პოეტის ლირიკული ჩანაფიქრები.

ამ კრებულებში შემაგალი ლექსებიდან ჩანს ავტორის დიდი ერულიცა, მასალისადმი პროფესიული პოეტური მიდგომა. ელსნერის ლექსები— ეს არის დაკვირვებულა და განათლებული მოგზაურის პოეტური ფიქრება.

ლექსთა ამ კრებულებს აქვთ გამოხეული შემეცნებითი ხასიათი, მკითხველი ავტორთან ერთად ერთვარად „მოგზაურობს“ ქვეყნებსა და ეპოქებში, სადაც მას შეხვედრა უხდება მსოფლიო ხელოვნებისა და ლიტერატურის უმრავლეს მხატვრულ იერსახესთან. ავტორის ენა სადაა, ვასავებია და მოუხედავად ზოგი თემის სირთუ-

ლისა, მკაფიო დეკორატიულობით გამოირჩევა.

ვლადიმერ ელსნერის თხზულებებმა დიდი გამოაზილი ჰპოვა ფართო მკითხველ საზოგადოებაში და ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შორის. საქართველოს სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძე მაღალ შეფასებას აძლევდა ელსნერის პოეზიას და აცხადებდა: „ახალგაზრდა პოეტებისათვის სასარგებლოა გაცნობა ელსნერის პოეზიისა, საიდანაც შეუძლიათ ისწავლონ ბევრი რამ“.

ცნობილმა ხელოვნებათმცოდნე ე. მ. შალვა ამირანაშვილმა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა პოეტის შემოქმედება: „ვ. ელსნერი გვევლინება რუსეთის უფროსი თაობის შესანიშნავი მბაღდის, მკაფიო წარმომადგენლად, რომელთა შემოქმედება, ჩამოყალიბებულია ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულაში და მყარად შევიდა საბჭოთა ლიტერატურის სავანეებში.“

პოეტური შთაგონების სიმწიფე, მხატვრული ფორმის სრულყოფა, ერთ სიტყვითა და ერთი მართალი შინაარსი, დაწყებული ლეონარდო და ვინჩიანო, ნ. ბოსხიდან და ბრეველიდან, ფიროსმანიშვილით დამთავრებული ხელოვნების დიდოსტატთა სტილის გადმოცემა, შესანიშნავი ცოდნა ავტორის ღრმა და მრავალმხრივი ინიჭის უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს. პოეტის გაღვივებაში წარსულის დიდი იერსახეები ღრმად და დაკავშირებული ჩვენს თანამედროვეობასთან. გარდაღვივებული უკვდავი სახეები ვლადიმერ ელსნერის შემოქმედებაში პასიური ქვერტისა და ტკიპობის ობიექტს კი არა, არამედ ახალი შემოქმედებები იმ იმთაგონების წყაროს, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის სტიმულს წარმოადგენს. ვ. ელსნერის ლექსები ადამიანში აღვივებენ მღაღლი ჰუმანიზმის გრძნობას, დაუნდობლობისა და ყოველივე რეაქციული-სადმი საძულავის. ვ. ელსნერის ლექსები ყოველგვარი სიმართლისა და რეაქციულის წინააღმდეგ, კაცობრიობის ბედნიერებისათვის საბრძოლველად მოგვაწოდებენ“.





არაგვის ეკლესიის ფრესკა

ქართული და რუმინული ხელოვნების უკრთიერობა

იონ ნანუ

რუმინელი პროფესორი, დოქტორი



I. შესავალი

ახტანგ ბერიძის საფუძვლიანი შრომის „შენიშვნები ქართული ხელოვნების შესახებ“¹ დახმარებით ვასურს მოკლედ გადმოვიცეთ, თუ რაში მდგომარეობს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების არსი. გერ კიდევ პირველ ათასწლეულში ჩვენ ერამდე საქართველოში დიდად იყო განვითარებული ხელოვნება, რასაც მოწმობს ახალგორში ნაპოვნი ვანძი,

¹ აღნიშნული სტატია გამოქვეყნებული იყო რუმინულ ეურნალში Probleme de arta plastică, სახელით ხელოვნების საეთხები, 1959 წ. № 2. ბუქარესტი.

ძვირფასი ნიმუშები იქნა აღმოჩენილი მცხეთაშიც: ოკროს ნაქრობანი მრავალფეროვანი ორნამენტით, რომელიც ელინისტური ხელოვნებისაგან განსხვავდება.

ძველი წილობრივების დასარსება და ახლის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო არსებობდა — ივერია და კოხლია. ამ პერიოდში მცხეთაში აიგო დარბაზი-მწიფი არქიტექტურული ძეგლები. ფეოდალიზმის ნიშნები საქართველოში ჩნდება IV-V საუკუნეებში. ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად ცნობდება IV ს. და მრავალი საუკუნის მანძილზე იგი დაკავშირებული იყო დასავლეთის, ძირითადად, ხელთაშუაზღვის კულტურულ ცენტრთან.

შუასაუკუნეებში ხელოვნებაში წამყვანი იყო ხუროთმოძღვრება, მასზე დაქვემდებარებული მოზაიკა და ფრესკო, აგრეთვე დეკორატიული კანდაკები (პარკლეფი) ფსალღებზე და კანკილებზე. ბრწყინვალე აუცილებას მიაღწია ქართულმა ხუროთმოძღვრებამ VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში. ამ დროს აიგო დიდი მხატვრული ღირებულების არქიტექტურული ძეგლები, როგორცაა გუჯარის ტაძარი (556-604), ბანა და სამწვერისი (VII ს.). საქართველოში არაბების შემოსევის შემდეგ, VII-VIII საუკუნეებში, რამდენიმე შეფერხდა ქართული ხელოვნების განვითარება.

X-III საუკუნეებში, ქართული სამეფოებისა და სამთავროების გაერთიანების შემდეგ, იწყება ხუროთმოძღვრების აუცილების ახალი პერიოდი. ამ დროს აშენდა მთელი რიგი არქიტექტურული ძეგლები: სამოქალაქო, — როგორცაა სასახლები, ციხე-სიმაგრეები, საზოგადოებრივი ნაგებობანი, და საეკლესიო — მოხუშტვრები ტაძრები და ეკლესიები. ამ მშენებლობაში მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობდა. „ორნამენტაცია არაჩვეულებრივად ვითარდება, ქვაზე კვეთის ოსტატობა და სიმდიდრე გასაოცარი“.

ტაძრების გარეთა კედლები ბრწყინვალე იყო მოპირკეთებული ურიცხვი ორნამენტებით, ქვაზე სკულპტურული კვეთით, შინაგანი კი მთლიანად დაფარული იყო ფრესკებითა და მოზაიკით.

ამ პერიოდის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლებია ოშკის, ქუთაისის, მცხეთის, ალავერდის, სამთავისის, ნიკორწმინდის ტაძრები, გელათის სამონასტრო ანსამბლი, ბეთანია, ქვათახევი, პიტარეთი, გიგულის სასახლე და სხვ.

ეკლესიის მხატვრობისა და ფრესკების საუკეთესო ნიმუშებია ატენში, ბეთანიაში, უიწვისში, ვარძაში, გელათში, დავით-გარეჯში. საქართველოში ხატუნების ტექნიკა არმდენადმე განსხვავდებოდა სხვა ხალხების ტექნიკისაგან. თუ სხვა ქვეყნებში ხატები მთლიანად ფერწერული იყო, საქართველოში წინდანის სახე რელიეფით სრულდებოდა და მას ირგვლივ ჰქონდა დეკორატიული მოჩარჩობა, ან რიგი რელიეფური კომპოზიციებისა გამოხატული წინდანის ცხოვრების თემებზე, რომლებიც სახარებაში ან რელიგიურ წიგნებში იყო აღწერილი. მუხანაბის ამგვარ მეთოდს მიზართა ანთიმოზ ივერიელმა მის მიერვე 1718 წელს აგებული ეკლესიისათვის სატაძრო ხატის შესრულებისას. ქართული ხატები საქმაოდ ხშირად ირთვებოდა მხატვრული მინაწერთ.

XI საუკუნეში შეიქმნა ქედური ხატების უველაზე ტიპური ნიმუშები მათი პლასტიურობის თვალსაზრისით. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ლაქაქიძის ხატი, ე. წ. ცაგარის დვიისშობელი, მარტვილის გუჯარი და სხვ.

XII საუკუნის მიკეთვება ცნობილი გელათის მოზაიკა და ხატულის კარელი ხატი. ამავე საუკუნის დასასრულს იღებოდა ოსტატმა ბექა ოიაზრმა შესრულდა აწიხისხატის ბრწყინვალე მოკვდილობა და უდა წყაროსათვის სახარებისათვის.

ძალზე საინტერესოა ან ეპოქის პირს რელიეფები და ხელნაწერთა გაფორმება. XII საუკუნის ზოგი მხატვრული ასობით მინიატურის შეიცავს.

XIII საუკუნის შუა წლებში საქართველოში მონღოლები ბეკონობენ, შემდგომში კი ოსმალები და სპარსელები არბევენ ქვეყანას. იწყება ფეოდალური დაქუცმაცების პროცესი. მიუხედავად ამისა XIV-XVIII საუკუნეებში ხელოვნების განვითარება როდი წლებდა.

ანთიმოს ივერიელის
ეკლესია (1713-1715)




იქმნება მრავალი ნაწარმოები, განსაკუთრებით არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც დიდ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენენ.

რაც შეეხება ხელნაწერებს, დარჩენილია XVII საუკუნის პირები შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნისა“, რომლის ტექსტს შესანიშნავი ილუსტრაციები ახლავს.

„XVIII საუკუნის დასაწყისში, 1700 წელს მესუე ვახტანგ VI თბილისში დააარსა სტამბა (წიგნები ქართულ ენაზე გამოდიოდა

ბეთანია



მანამდე, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო). პირველი მხატვრული, რომელმაც სასუქველი ჩაუყარა სასტამბო საქმეს საქართველოში, იყო რუმინელი მიხეილ უნგროვლახელი. იგი საქართველოში გამოგზავნა ანთიმოს ივერიელმა, წარმოშობით ქართველმა, რომელიც შემდგომში თავისი მეორე საშობლოს — მუნტენის (ვალახიის) დიდი პატრიოტი გახდა და იქაური კულტურის მოღვაწე შეიქმნა. პირველი ქართული წიგნების გრავიურული გაფორმება ძალზე საინტერესოა და განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს².

შევვცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ რუმინეთში დასული ვახტანგ VI-ის დროის ორი ქართული გამოცემის — სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების მხატვრული მხარე.

რუმინელი ხალხი დიდად აფასებს ქართველი ხალხის სამ ათასწლეულის მხატვრულ შემოქმედებას, მითუშტეს, რომ დროთა მსვლელობაში რუმინულ ხელოვნებაშიც შეიქრა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების გავლენა, ერთი მხრივ იმ მხატვრებისა და ისტატების წყალობით, რომლებიც რუმინეთში ცხოვრობდნენ (მაგალითად ანთიმოს ივერიელი და სხვები), მეორე მხრივ რუმინელი მხატვრების შემწეობით, რომლებიც ქართულ ხელოვნებას გაეცნენ ან დაეღწე, ან კონსტანტინოპოლში, სადაც იგი ვაჭრობდა იყო ცნობილი.

ქართული ხელოვნების გავლენა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ვაჭრებდა. ჯერ კიდევ რომანული ხელოვნების პერიოდში დასავლეთ ევროპაში, ძირითადად არქიტექტურაში ვლინდება ქართული ხუროთმოძღვრების ელემენტები², სასულენოა მანძილზე ბევრი მკვლევარი და ხელოვნებისმცოდნე აღნიშნავდა თავის შრომებში ქართული ხელოვნების გავლენის შენახებ მსოფლიო ხელოვნებაზე.

დღევანდლამდე რუმინეთში მხოლოდ ორმა ხელოვნებისმცოდნემ — გ. ბალშა და აკად. პ. კონსტანტინესკუ-იანაშა მოკადა ხელი ქართული ხელოვნების ზოგიერთი პრობლემისა და რუმინულ ხელოვნებაზე მისი გავლენის გაშუქებას, მათ გამოაქვეყნეს თავიანთი შრომები ამ საკითხზე, ჩვენ შევივცდებით გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ ეს პრობლემები, მოვიყენებთ ზოგიერთი სრულიად ახალი მონაცემი.

II. ქართული ხუროთმოძღვრება და მისი ბავშვანა რუმინულ პრეიმპერატურაზე

XIV საუკუნიდან დაწყებული რუმინულ სამთავროებში ხუროთმოძღვრება უმთავრესად საეკლესიო მშენებლობაში განვითარდა, ვინაიდან ეკლესია გაბატონებულ კლასსა და მის ხელმძღვანელობას ეკუთვნოდა.

ძველი რუმინული არქიტექტურის პირველი ელემენტები ბიზანტიური ხელოვნების გავლენით განვითარდა, XV საუკუნეში კი სულ უფრო ხშირად ვლინდება კავასიური, ძირითადად ქართული წარმოშობის, არქიტექტურული დეტალები.

რუმინულ სამთავროებსა და ქართველ ხალხს შორის კავშირი

² ვახტანგ ბერიძე, ქართული ხელოვნების დამახინჯების წინააღმდეგ, თბილისი 1949 წ.

არკუმი





მტკიცდებოდა ბიზანტიისა და ოტომანურ სახელმწიფოთა, აგრეთვე რუსი ხალხის მემკვიდრეობით, რომელმაც რუმინეთს საერთო საზღვარი მქონდა. სახელმწიფოთა სავაჭრო და კულტურული კავშირი ხორციელდებოდა შავი ზღვის ჩრდილო და სამხრეთ სანაპიროებზე, საზღვაო კი ამ ზღვის ნაპირთა გასწვრივ.

მრავალი საუბნის მანძილზე რუმინელი და ქართველი ხალხს საერთო ინტერესი აერთიანებდა — ბრძოლა ოკოპირება თურქეთის უფლის წინააღმდეგ. XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში რუმინელი სამთავროებსა და თურქეთს შორის პოლიტიკური დამოკიდებულება ისეთივე იყო, როგორც საქართველოსა და თურქეთს შორის.

რუმინელი და ქართველი ხალხს შორის კავშირის შესახებ ბევრი წერილობითი საბუთი შემოინახა, მაგრამ ძირითადად ამას მოწმობს უძველესი მხატვრული ტრადიციების მიწვე ქართული ხელოვნების გავლენა რუმინულზე. ამავე ნათლად მტკიცდებენ ჩვენი კულტურული ძეგლები.

საერთომოდგინება

რუმინული ფეოდალური არქიტექტურის ძეგლები, რომლებმაც ჩვენს დრომდე მოაღწიეს თავიანთი პირვანდელი ანდა რესტავრირებული სახით, უმრავლეს შემთხვევაში საეკლესიო ნაგებობებია. ცალკეულ საშენებლო დეტალებში მათ ემჩნევათ როგორც ქართულ, ისე სხვა ხალხთა ხელოვნების გავლენა. ამგვარი გავლენა ელნიდება გეგმაში, შესრულებაში, ფასადების გაფორმებაში, გუმბათობის ფორმასა და შივანს ორნამენტაციაში და სხვ.

ქვემოთ გვაკეთებთ რუმინული ბუროთომოდგინებისა და მასზე ქართული ხელოვნების გავლენის შედარებით ანალიზს, გათვალისწინებთ რა ამასთან არქიტექტურული დეტალების სტეიფიურ შემადგენელ ელემენტებს.

1. შუაობის გეგმა

ჯვაროვან-გუმბათოვანი გეგმა ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდა რუმინული ბუროთომოდგინების წარმოშობისთანავე. ამგვარი სახის დიდი ნაგებობებია: სამთავრო ეკლესია კურტია-დე-არჯეში (XVI ს. პირვ. ნახ.), სამიტროპოლიტო ეკლესია ტირგოვიტეში (XVI ს.) და წმ. დიმიტრის ეკლესია კრაიოვაში (XV ს.). ძალზე საინტერესოა ამ ეკლესიათა ტიპების მსგავსება ქართულ ტაძრებთან ბიჭვინთის, ბედიასა და მოქციში (X ს.), სამთავისთან (XI ს.), ბეთანიასა და პიტაროთან (XII-XIII ს. ს.).

თითქმის სრული მსგავსებაა კრაიოვის წმ. დიმიტრის ეკლესიასა და ბიჭვინთის ტაძარს შორის.

ქართულ სამნავიან გეგმას აქვს ფორმა, რომელიც ჩაწერილია ჯვარისებრ ან სვეტებიან გეგმაში. ჯვარში, ბოხოზგორში, ორთულში, ბაზალაოვიშლაში, დოთ-ჯილისკაში — მრავალფეროვანი ფორმა გარდენაა აღინიშნული. ბაზალაოვისთან კომბინირებულ სამნავიან გეგმას ვხვდეთ ქუთაისის ბაგრატის ტაძარში (1008), კუმურდოსა და ოშკში.

საეკლესიო ნაგებობის სამნავიანი ტიპი, რომელიც საქართველოში გავრცელებულია XI საუკუნეში, რუმინულ სამთავროებშიც ჩნდება XIV საუკუნეში. იგი შემოდის სერბიიდან, ასეთი ტიპის ეკლესიებს აგებდნენ შორავაში, შემდგომ საუკუნეებში სამნავიანი ტიპი ეკლესიათა უველაზე გავრცელებულ ტიპად იქცა ორსავე რუმინულ სამთავროში.

ანთიმოზ ივერიელის დროს (XVII საუკ. დასასრ. და XVIII საუკ. დასაწყ.) საეკლესიო მშენებლობაში თითქმის მხოლოდ სამნავიანი გეგმით სარგებლობდნენ.

ფეოდალიზმის ეპოქაში რუმინელი ბუროთომოდგინის იშვიათად იყენებდნენ კავსიური წარმოშობის წრიულ გეგმას, ჩვენ მხოლოდ ორი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია: ორი სამლოცველო კურტია-დე-არჯეში, სეპისკოპოს ოშოში.

2. ციკლი

საქართველოში, კახეთში ჩნდება არქიტექტურული დეტალი,

რომელსაც ვერ ვხვდებით ვერც რომანულ, ვერც გუთურ ნაგებობებში, ეს არის მსგავსი პრიფილის ციკლი. ეს დეტალი რუმინულ საეკლესიო ბუროთომოდგინებაში ერთ-ერთი დეკორატიული ელემენტია, რომელიც ნაგებობას განსაკუთრებულ სიმყარეს ანიჭებს და ამავე დროს ფართო შესაძლებლობას იძლევა ორნამენტაციისათვის. არჯეში (1512-1517) და დაილულის მონასტრის ეკლესიებს აქვთ ქართული წარმოშობის უველაზე ტიპური ციკლი, და როგორც უმეტეს დავიანახავ, მხოლოდ მხატვრული მნიშვნელობის ეს არქიტექტურული ძეგლები უველაზე კომპლექსური ქართული გავლენის ობიექტებს წარმოადგენენ. ანთიმოზ ივერიელის ეპოქაში მსხვილ ციკლებზე იგებოდა ეკლესიები: კრეკულესკუ (1716-1720), ანთიმო (1718), ვაკარტეში (1716) და წმ. გიორგი-ნოუ (1705).

3. ბ რ შ ი ბ


ბეთანიის, ნიკორწმინდისა და სხვა ქართულ ტაძრებში ვხვდებოდა არშები შედგენილი გრებილისგან, ან სხვა დეკორატიული ფორმისა. არშები ორჯვარი სახისა: პირველი — ორი უწყვეტი ხეული წწილისგან, მეორე — სამისგან, ამასთან ადგილ-ადგილ წწილი ციკლის ხეულის მიმართულებას, არშა შეიძლება მოთავსდეს ფასადის შუა სიმაღლეზე. ისევე როგორც მუნტინიაში, ანდა შუა ნაწილის ზემოთ, — როგორც მოლოდინიაში.

მუნტინიაში არშის უველაზე ღმაში და უძველესი ნიმუში არჯეშის მონასტრის ეკლესიას აშუშვენებს. ის სარტყლად ეკვრის გარს ეკლესიას ხეული წწილის სახით და თითქმის შუაზე ურდეს ფასადს, ქმნის იარუსული ნაგებობის შთაბეჭდილებას. გარდა ამის, უმეტრადილის შესანიშნავი თამაში არღვევს უზარალო ფასადების ერთფეროვნებას ოქროს ბრწყინვალეობა და არშის ორნამენტული ნაქსოვი კი მას კიდევ უფრო ეფექტურს ხდის.

არჯეშის მონასტრის შემდგომი საუკუნეების თითქმის მთელი საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშად იქცა, ქვაზე მდიდრულად კვეთილია არშებმა სრულიყოფილებს მიღწეა კრეკულესკუს, სტავროპოლისის, ვეკერტეშის ეკლესიებში, რომლებიც ანთიმოზ ივერიელის დროს აშენდა.

ტიბილი დახვეული არშის ნიმუში, როგორც საქართველოში

არჯეში



5. შანსურის საინტრიზო

ვერცერთი ხალხიან ვერ შევხვდებით ისეთ ბრწყინვალე სულბურულ ორნამენტს, როგორც ძველი ქართული ხუროთმოძღვრების საინტრიზო. ამ ორნამენტის გავლენა ჩვენთანავე გავრცელდა, კერძო დიპლომის და არაუმის მონასტრის ორნამენტებზე, ხოლო შემდეგ მთელ ქვეყანაში.

საქართველოში ფასადებსა და გუმბათის ელვლე საპირების ეველაზე დამახასიათებელი ორნამენტია კუმურდოში, ნიკორწმინდაში, მცხეთაში, იკორთაში, იშხანში, საბრისში, ბეთანიაში, ფიტარტოში, თბილისის მცეტხეში და სხვ.

ეს ორნამენტი შედგება ფართო ზოლისაგან, რომელიც გარს ევლება ფანჯარას სწორკუთხედის სახით, ან მხოლოდ სამი მხრიდან სწორკუთხედის სახით, ზედა მხარე კი მომრგვალებულია.

ორნამენტი ჰაბიბის გეომეტრიული დეკორატიული ნახატი, თუცა იშვიათად კარბი გვვხვდება მცენარეული ორნამენტისც სტილიზებული ფოთლების ღერებლის და ევკალიპტის სახით. ზოგიერთ შემთხვევაში მთელ საინტრიზო დეკორატიულ საპირისთან ერთად გარს ერტყვის სხვა, უფრო ფართო და მდიდრული სულბურული ორნამენტი, როგორცაა მაგალითად ახტლის ტაძარში. აქ ორი ფართო ხაზით, რომელიც ფოთლების უვკალიპტის და გეომეტრიული ფიგურების სამი ან ოთხ დეკორაციული ევკალიპტის სახითაა შედგება, სარკმელს გარს ერტყვის ღლი გვირგვინის სახით, და მას ღლივებულ მოხდენილ იგრს ანიჭებს.

შინტენიაში პირველი ასეთი მაგალითია დიალღლის მონასტრის ეკლესია, სადაც ფასადის ქვედა სარკმელები სწორკუთხა ფორმისაა და მომარჩობულია ქვის დეკორატიული სულბურული შემუშალი საინტრიზით. მაგარი ეველაზე მხატვრულად შესრულებული საპირები ამ ეკლესიის გუმბათის ელვლებზეა. მხატვრულად შესრულებული ნახატის წყალობით ორნამენტის ზაუთი მდიდარი დეკორატიული ფანტაზიის შაბადებულების ახტენს. მოავარი ფასადის მხრიდან ეს სამი გუმბათის ეკლი თავისი ორნამენტაციით დაუიწყარ სურათს ქმნის და ერთ-ერთი ეველაზე შაბადებულო მხატვრული ოღეშეგია ამ სასულბურეობი ისტორიული ძეგლისა. არაუმის მონასტრის, საპირების ორნამენტების მხატვრული ღრებულების მხრივ, ფასადულებელია. მოავარი გვერდის ფასადების სარკმელები წყალობი წყვილდაა მომარჩობული ქართული სტილის ორზოლიანი ორნამენტით, რომელიც ქვეაზე ნაკვეთი. აღმოსავლეთის ფასადის სარკმელები კი ცალცალკეა ორნამენტით მომარჩობული. გეომეტრიული ფიგურების ზაზობრივი შეფარებები გასაცარი სურათის წარმოადგენს.

